بسم الله الرحمن الرحيم

რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა -626
სახალხო წიგნები -193
სიბრძნის სერია - 4
გამომცემლობის დირექტორი
დრ. ფათიჰ ქურთი
გამომცემლობის კოორდინატორი
ფარუქ გორგულუ
გამომცემელი
პროფ. ჰურიე მართი
საბოლოო რედაქტირება
იუსუფ თურქერი
რედაქტორი
რამაზან ოზალფდემირი
გრაფიკა და დიზაინი
ემრე ილდიზი
ბეჭდვა
აქთაშ ოფსეთის გამომცემლობა
0312 341 56 26
რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება: 24.06.2004/99
ისბნ
2018-34-წ-0003-626
ისბნ: 978-975-19-3602-8
სერთიფიკატის ნომერი: 12931
თ.რ. რელიგიის საქმეთა სამინისტრო
კომუნიკაცია
რელიგიური გამომცემლობის გენერალური სამმართველო
ბეჭდვური გამომცემლობის სახელმწიფო სამმართველო
უნივერსიტელერი. დუმლუფინარის ბულვარი
ნომერი: 147/1. 06800. ჩანქაია/ ანკარა
ტელ: 0312 295 72 93-94 ფაქსი: 0312 284 72 88
ელ-ფოსტა: diniyayinlar@diyanet.gov.tr

muslim georgia international charity foundation
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف جورجيا المسلم الدولي للخدمات
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı
www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ჰაჯის არსი

პროფ. დოქ. ბუნიამინ ერული

დოქ. ექრემ ქელეში

ანკარა 2021

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

შესავალი 9

ჰაჯის გააზრება 15

ა. ჰაჯის სიმბოლოები 16

ბ. ჰირა, გამოცხადება და ღვთიური გზავნილი 52

გ. სევრი და ჰიჯრა 54

ჰაჯის შესრულება 57

ა. თემეთთუ ჰაჯის შესრულება 59

ბ. იფრადი ჰაჯის შესრულება 71

გ. ქირანი ჰაჯის შესრულება 72

დ. მანდილოსნებთან დაკავშირებული სპეციალური პირობები 72

მედინას მონახულება 75

ა. ყუბა 82

ბ. ყიბლეთეინ მესჯიდი 82

გ. უჰუდი 83

დ. ჰენდექი 84

ჰაჯიდან დაბრუნება და შემდგომი ცხოვრება 87

დამატებითი ინფორმაცია 93

1. შუამავლის გამოსამშვიდობებელი ჰაჯი 94

2. ჰაჯის კალენდარი. (თემეთთუ ჰაჯის მიხედვით) 96

3: რამოდენიმე საკითხი, რომლებსაც
ჰაჯის დროს ყურადღება უნდა მიექცეს. 97

ა. ღვთისმსახურება 98

ბ. ქცევები 99

გ. ჯანმრთელობა 100

დ. უსაფრთხოება 101

წყაროები 103

წინასიტყვაობა

მორწმუნე, რომელსაც ღმერთის მიერ მოვლინებული სარწმუნოების სწამს, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს და ამ პასუხისმგებლობას ღვთმსახურებით გამოხატავს. ღვთისმსახურება, თავისი ყველაზე ფართო გაგებით, ადამიანის მთელი ცხოვრების ისე წარმართვას გულისხმობს, როგორიც ღმერთს სურს. რაც შეეხება კოკრეტულ და დეტალურ აღქმას, ღვთისმსახურება ეს არის; ნამაზი, მარხვა, ზექათი, ჰაჯი, მსხვერპლის შეწირვა და სხვა. ყოველ ღვთისმსახურებას თავისი შესრულების ფორმა და მნიშვნელობა გააჩნია, რომელთა ცოდნა, გააზრება და ასე გაცნობიერებულად შესრულება, ღვთიმსსახურებას უფრო მნიშნელოვანს ხდის. მითუმეტეს, როდესაც საუბარია ჰაჯზე, როგორც ღვთისმსახურებაზე, მისი თითქმის ყველა რიტუალი სიმბოლოებითაა დატვირთული და ამ სიმბოლოების შინაარსის ცოდნა, მათი მნიშვნელობის სწორად აღქმა, ისტორიული და კულტურული ფაქტორების ცოდნა, ზნეობრივი ეფექტი, მათი არსის გაგება და შესაბამისი გრძნობით შესრულება უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია.

რელიგიის სამინისტრო წლების განმავლობაში ცდილობს საზოგადოების რელიგიური ცოდნისა და კულტურის ამაღლებას და ასევე ღვთისმსახურების თავისუფლად აღსრულების ხელშეწყობას. ის ასევე ხელს უწყობს ჰაჯის შესრულების მსურველებს და თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, მომლოცველებს განსაკუთრებულ მომსახურებას სთავაზობს.

ჰაჯის ღვთისმსახურების მსურველი მუსლიმები, რელიგიის სამინისტროს ხელშეწყობით, აღნიშნულ ღვთისმსახურებას სასურველ პირობებში ასრულებენ და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ საკითხში ჩვენმა სამინისტრომ მაქსიმალურ წარმატებას მიაღწია. ამ მომსახურების სრულყოფისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადასადგმელად, სამინისტრომ წინამდებარე წიგნის მომზადება გადაწყვიტა. ამ წიგნის მომზადების მიზანი ჰაჯის, როგორც ღვთისმსახურების დროს შესასრულებელი ფარზების, ვაჯიბების, სუნნეთებისა და

მექრუჰების შესახებ ცოდნის ამაღლება და ისლამის სამართლებრივი განზომილებების ახსნა კი არ არის, არამედ ჰაჯის, როგორც ღვთისმსახურების არსის გაგება, ყველა მოქმედების გააზრებულად შესრულება და ზოგადად, ჰაჯის მნიშვნელობის გააზრებაა. შესაბამისად, ამ ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა, ჰაჯის მნიშვნელობასა და არსზე იქნება ყურადღება გამახვილებული.

შესავალ ნაწილში ღვთისმსახურებასა და ჰაჯის შესახებ საყურადღებო რამოდენიმე საკითხზე ვისაუბრებთ, შემდეგ კი ჰაჯის არსის ახსნას შევეცდებით. იმ თავში, სადაც ჰაჯის შესრულების შესახებ იქნება საუბარი, ისლამის სამართლებრივი დეტელების განხილვის გარეშე, მოგიყვებით, თუ როგორ უნდა შესრულდეს ესოდენ მნიშვნელოვანი ღვთისმსახურება, რა არის წარსულის გამოცდილება და ღვთისმსახურების პროცესში რა არის გასათვალისწინებელი. საკითხის შესახებ ისლამის სამართლებრივი დებულებები და დეტალური ინფორმაცია მოცემულია სამინისტროს მიერ მომზადებულ სხვა სახელმძღვანელოში.

„მედინას გათავისება“, ეს არის თავი, სადაც მკითხველს გულითა და გონებით შუამავლის მიერ მედინაში გატარებული წლების არსში ჩავახედებთ. მკითხველი გახდება მისი თანამედროვე, მისი მეზობელი და „ბედნიერების ხანის“ მობინადრე.

წიგნის ბოლო ნაწილში კი ვისაუბრებთ საკითხზე, რომელიც ჰაჯიდან დაბრუნებასა და შემდგომ ცხოვრებას შეეხება. ჰაჯის ვალდებულების შესრულების შემდეგ რა არის მნიშვნელოვანი, რა უნდა გავაკეთოთ და სხვა.

ჩვენი დიდი სურვილია, ამ წიგნის დახმარებით, ჰაჯის შესრულების მსურველთა მხრიდან, ამ წმინდა ადგილებში, ამ ძვირფასი დროის მონაკვეთში ყოფნა მაქსიმალურად შინაარსიანად იქნას გამოყენებული. ჰაჯის გააზრებით, მისი სწორად გაგებითა და იქ მიღებული გამოცდილების შედეგად ცხოვრების ხელახლა დაგეგმარების სურვილით, გისურვებთ წარმატებებს.

ანიფ. დოქ. ბურჰანედინ ერბული

დოქ. ეფრემ ქერეში

შესავალი

„და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის“. *(ზარიათ, 51/56)*

ყველა იმ წესებისა და დებულებების ერთობლიობას, რომლებიც ადამიანის ღმერთთან, ასევე სხვა ადამიანებთან და სულიერ თუ უსულო სამყაროსთან ურთიერთობებს არეგულირებს და ამასთანავე ადამიანის ცხოვრების ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს, სარწმუნოება ეწოდება. რელიგიური გრძნობები ადამიანის ბუნებაში, მისი არსებობის საწყისებშია მოთავსებული. სულისა და ხორცისგან შემდგარ ადამიანს, თავისი გაჩენის თავისებურებებიდან გამომდინარე, სარწმუნოება სჭირდება. ეს საჭიროება ვრცელდება როგორც ფიზიკური მიმართულებით, ისე სულიერი მოთხოვნილებების მიხედვით. ადამიანის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ სარწმუნოების საშუალებით შეიძლება, რომელიც ამავდროულად რწმენის, ღვთისმსახურებისა და მორალის ერთიან სისტემას წარმოადგენს.

ღვთისმსახურება რწმენის პრაქტიკული გამოვლინებაა და ის, როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობისა და სიმშვიდის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. აღნიშნული მდგომარეობა, თავისი ღვთისმსახურების მიმართულებით, ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობას აძლიერებს, ხოლო მასში არსებული სიბრძნით ადამიანის სულის სიჯანსაღესა და სოციალური ურთიერთობების კვებას უზრუნველყოფს. ნამაზის ლოცვა და მარხვა სხეულით შესრულებული ღვთისმსახურებაა, მაგრამ ისინი სულის წრთვნას ემსახურება. ასევე, ზექათი, მოწყალება და მსხვერპლის შეწირვა ქონებით შესრულებული ღვთისმსახურებაა, თუმცა მათი ეფექტი საზოგადოებრივი ურთიერთობების დათბობა და გაუმჯობესებაა. რაც შეეხება ჰაჯს, ის როგორც სხეულით, ისე ფინანსური რესურსების ხარჯვით სრულდება, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ნიშან-თვისებას ატარებს.

მართლაც და, ჰაჯი მრავალმიმართულებიანი ღვთისმსახურებაა. ის არის არა მარტო სხეულით და ფინანსებით შესრულებული ღვთისმსახურება, არამედ მას გააჩნია სხვა განზომილებებიც, როგორიცაა მატერიალური, სულიერი, ამქვეყნიური, საიქიო, პიროვნული და საზოგადო. ჰაჯის დროს მნიშვნელოვანია როგორც დრო, ისე ადგილი. ჰაჯი ერთის მხრივ, საოცრებებით სავსე მოგზაურობაა, ხოლო მეორეს მხრივ, ის სამომავლო მოგზაურობისთვის დახაზული ერთგვარი რუკაა.

ჰაჯი, როგორც ღვთისმსახურება, ერთის მხრივ რწმენის პირობებს აერთიანებს, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანებს ღვთისმოსაობას, მოთმინებას, სიყვარულს, პატივისცემას, ძმობას, თანადგომას, ხელგაშლილობასა და მსგავს დადებით მახასიათებლებს უძლიერებს. ამ მიმართულებით ჰაჯი ერთგვარი სასწავლო ცენტრია, სადაც ისლამის სამართალს, ღვთისმსახურებას და ზნეობას ასწავლიან.

ჰაჯის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მისი საწყისები შუამავალ აბრაამამდე მიდის. ნემრუდთან დაპირისპირების შემდეგ შუამავალი აბრაამი ჯერ პალესტინაში ჩავიდა, მოგვიანებით კი მეუღლესთან და შვილთან ერთად უადაბნოში, ერთ უწყლო და უმოსვალო ადგილას დასახლდა. სწორედ ეს ადგილი იყო დღევანდელი მექა. აბრაამმა ღმერთს შეევედრა, რომ ეს ადგილი ხვავითა და ბარაქით ავსილიყო. (იხ. იბრაჰიმ, 14/35-37).

ღმერთმა აბრაამსა და მის შვილს, ისმაილს უბრძანა, რომ „მისი სახლი“ კერპებისგან გაეთავისუფლებინათ, რათა იქ ადამიანებს ტავაფის გაკეთება და ლოცვა შესძლებოდათ. აბრაამმა და ისმაილმა ქააბას საძირკვლები მიაგნეს და დაიწყეს მისი აღდგენა. ისინი ღმერთს ევედრებოდნენ, რომ ეს ადგილი უსაფრთხო და ბარაქიანი ყოფილიყო და ღმერთს ჭეშმარიტი რწმენის მიმდევრები მოემრავლებინა. (იხ. ჰაჯ 22/26; ბაყარა 2/125-128)

შემდეგ ღმერთმა აბრაამს უბრძანა, რომ წასულიყო და ადამიანები ქააბას მოსალოცად მოეპატიჟებინა, რათა იქ მსხვერპლი შეეწირათ, ერთი ღმერთის რწმენა გაეძლიერებინათ, ცოდვებისგან განწმენდილიყვნენ და ღვთისმოსა-

ობის გზაზე დამდგარიყვნენ, რათა გამჩენის წინაშე არსებული პასუხისმგებლობა გაეთავისებინათ. (იხ. ჰაჯ 22/27-30). ღვთის ბრძანების შესაბამისად, შუამავალმა აბრაამმა ქააბაში მისული მომლოცველებისთვის, იქ შესასრულებელი რიტუალების წესები ჩამოაყალიბა. შემდეგ ხალხს აუხსნა, რომ ამ წმინდა ადგილას წელიწადში ერთხელ უნდა მისულიყვნენ და მოელოცათ, შვილი ისმაილი იქ დატოვა და თავად ისევ პალესტინაში დაბრუნდა. მას შემდეგ მოვლენილი შუამავლები და მათი მიმდევრები ჰაჯის შესრულებას მუდმივად განაგრძობდნენ.

მოგვიანებით ქააბას მმართველობა იემენელმა ბედუინებმა იგდეს ხელთ. მათი მმართველობა ხუთი საუკუნე გაგრძელდა და ამ დროში ქააბაში კერპთაყვანისმცემლობამ მოიკიდა ფეხი. ამრიგად, აბრაამის მიერ დაწესებული ჰაჯის ტრადიციული რიტუალი თანდათანობით შეიცვალა და ამ მნიშვნელოვან ღვთისმსახურებას ურწმუნოთა ტრადიცია შეერია. ამასთანავე, ისლამის წარმოშობის წლებში ქააბას ტავაფი, უმრე, არაფატსა და მუზდელიფში ვაქფეს რიტუალი, მსხვერპლის შეწირვა და მსგავსი რიტუალები, კერპთაყვანისმცემლების რიტუალებთან ერთად გრძელდებოდა.

მექას გათავისუფლების შემდეგ ქააბა და მისი შემოგარენი კერპებისგან გაიწმინდა და ამასთანავე, ყველა ის რიტუალი გაუქმდა, რომლებიც აბრაამის მიერ დადგენილ ჰაჯის რიტუალებს არ შეესაბამებოდა. ჰაჯის შესახებ მოვლენილი აიათებით და შუამავალის „გამოსამშვიდობებელი ქადაგებით“ ჰაჯის რიტუალმა საბოლოო ფორმა შეიძინა და დღემდე ასე გრძელდება.

ჰაჯი, როგორც ღვთისმსახურება არის, ქალაქ მექაში მდებარე წმინდა ადგილის, ქააბასა და მისი ირგვლივ არსებული, ასევე წმინდა ადგილებად მიჩნეული ადგილების კონკრეტულ დროის მონაკვეთში მოლოცვა. ჰაჯის შესრულებისას მომლოცველს მრავალი ვალდებულებისა და რიტუალის შესრულება უწევს. ჰაჯი ისლამის ხუთი პირობიდან ერთ-ერთია და ის, ჰიჯრით მეცხრე წელს გახდა სავალდებულო.

ჰაჯის რუტუალების შესახებ ინფორმაციას ამ წიგნის მეორე თავში მოგაწვდით. ამ შემთხვევაში კი რამოდენიმე წინადადებით შემოვიფარგლებით. ჰაჯი, ისევე როგორც ყველა ღვთისმსახურება, იწყება განზრახვით, რომლის შემდეგაც მომლოცველი შედის „იჰრამში“. შემდეგ ქააბას ტავაფი სრულდება. ჰაჯის სახეობიდან გამომდინარე, თუ „საის“ გაკეთება საჭიროა, მომლოცველები ასრულებენ მას. ამის შემდეგ იფრადი და ქირანი ჰაჯის შემსრულებლები იჰრამში რჩებიან.

შემდეგ მომლოცველები მინაში მიდიან, იქიდან კი არაფატზე ვაქფეს ასრულებენ.შემდეგი ნაბიჯი მუზდელიფში წასვლაა და იქაც ვაქფე სრულდება. ამის შემდეგ მომლოცველები ისევ მინაში ბრუნდებიან და „ეშმაკის ჩაქოლვის“ რიტუალს ასრულებენ. თემეთთუ და ქირანი ჰაჯის შემსრულებლები მსხვერპლს წირავენ და იჰრამიდან გადიან. შემდეგ ქააბაშ მიდიან და ტავაფს ასრულებენ. მომლოცველები მინაში 3-4 დღის განმავლობაში რჩებიან, შემდეგ მექაში ჩადიან და გამოსამშვიდობებელ ტავაფს ასრულებენ.

ჰაჯის ღვთისმსახურება მრავალი ცალკე ღვთისმსახურებისგან შედგება. ესენია: იჰრამი, ნამაზი, თელბიე, ზიქრი, ვაქფე, ისთიღფარი, ტავაფი, მსხვერპლის შეწირვა, მოწყალება და ა.შ. დღევანდელ პერიოდში ასე ინტენსიური ღვთისმსახურება სხვა პირობებში არ ხდება. იქ წასული მომლოცველები ყველა ამქვეყნიურ საქმესა და სადარდებელს ჩამოშორებული არიან და მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმსახურებაზე არის კონცენტრირებული.

ჰაჯი მომლოცველისათვის ღრმა სულიერი გამოცდილებაა. როგორც ყველა სხვა ღვთისმსახურების შემთხვევაში, ჰაჯის დროსაც გააზრებაზე მეტი მნიშნელობა იმას აქვს, თუ რას იგრძნობ, რამდენად გაითავისებ. ყველა ამ ღვთისმსახურებას თავისი ამქვეყნიური და საიქიო სარგებელი გააჩნია, მაგრამ მისი მთავარი არსი ისაა, რომ მორწმუნე ღვთის ნება-სურვილს ასრულებს.

ჰაჯი, გარკვეული ადგილების, ასევე გარკვეულ დროის მონაკვეთში მოლოცვაა. შესაბამისად აღნიშნული ღვთისმსახურება ადამიანებს ადგილისა და დროის ფასს ასწავლის.

მორწმუნე კიდევ ერთხელ იაზრებს, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი დრო და ადგილი გააჩნია. შესაბამისად, ჰაჯი მხოლოდ ერთთვიანი ღვთისმსახურება არ გახლავთ, რადგან მისი ეფექტი ადამიანს მუდმივად გაჰყვება.

ჰაჯი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა, რომელიც მორწმუნეების სულიერ გაძლიერებას, ზნეობრივად ამაღლებას, ღირსების გამყარებას, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და თანამორწმუნე ძმებთან ერთიანობას უზრუნველყოფს. ამ ძვირფას დროს, მუსლიმები ერთმანეთს შორის სიყვარულს, მეგობრობას, თანადგომას, კულტურასა და იმედს ცვლიან.

ჰაჯი ის უნივერსალური მოვლენაა, რომელიც მსოფლიოს ყველა მხრიდან ჩამოსულ მუსლიმებს ერთი მიზნისთვის კრებს და მათში კოლექტიური აზროვნების, ერთიანობის მნიშვნელობას ანვითარებს. მილიონობით მომლოცველი ერთმანეთისგან ეროვნებით, კანის ფერით, კულტურით, ტრადიციით, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით განსხვავდებიან, მაგრამ ისინი ერთი რწმენი, ერთი მიზნის ირგვლივ იკრიბებიან და როგორც ერთი სხეული, ისე მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით ჰაჯი უბადლო შემთხვევაა. აქ ყოფნისას სრულიად უცხო ადამიანებთან გულითადი მეგობრული კავშირები მყარდება, რომელსაც შემდეგ მთელი ცხოვრების მანძლზე ვერ ივიწყებენ. მუსლიმები მართლა ძმების გარემოცვაში ექცევიან და ამ მნიშვნელოვან პლატფორმას ერთმანეთის გასაცნობად და ურთიერთობების განსამტკიცებლად იყენებენ.

ამრიგად, ჰაჯი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სოციალურ კავშირებს ამყარებს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის სილამაზეს უფრო ღრმად და შინაარსიანად გრძნობენ, ერთმანეთს იმედს აძლევენ და ერთიანობის სილამაზეს აფასებენ.

ჰაჯის გააზრება

ჰაჯი, სულის ღმერთამდე ამაღლების
სიმბოლოს ატარებს, ამიტომ ქააბა
არა მიზანი, არამედ ამ სულიერი
ამაღლების, ამ უსასრულობის დასაწყისია.
ჰაჯის ყოველი რიტუალი გარედან
დანახვისას სიმბოლური მოქმედებებია,
მაგრამ მათი მთელი არსი მორწმუნის
სულიერად აღზრდას და
გათვითცნობიერებას ემსახურება.

ა. ჰაჯის სიმბოლოები

„აი ასე! და ვინც განადიდებს ალლაჰის რიტუალურ სიმბოლოებს, ეს ხომ გულითადი ღვთისმოშიშობაა“.

(ჰაჯი 22/32)

ღვთისმსახურების შესრულება მხოლოდ იმ ფორმით შეიძლება, როგორც ღმერთმა ბრძანა და როგორც შუამავალი გვასწავლის. ღვთისმსახურებას მორწმუნე აღავლენს. მორწმუნისათვის ღვთისმსახურება არის სულიერი სიამოვნების მომნიჭებელი მოთხოვნილება და არა ტვირთი. მორწმუნე ამ მოთხოვნილებას ღვთისა და შუამავლის მიერ ნასწავლები გზით იკმაყოფილებს. შესაბამისად, ღვთისმსახურების ფორმა და შესრულების გარეგნული მხარე თუ განმარტებას დაექვემდებარება, ჩვენ მხოლოდ მის აღწერას შევძლებთ. ღვთისმსახურების ფორმებთან დაკავშირებით შეიძლება კითხვები დაგვებადოს და ამ კითხვების პასუხებს ისევ და ისევ ძირითად წყაროებში ვპოულობთ. შუამავალი ბრძანებს: „მე როგორც ვლოცულობ ნამაზს, თქვენც იგივენაირად ილოცეთ“. (ბუჰარი, „ედებ“ 27). ჰაჯის შესრულებასთან დაკავშირებული წესები (მოქმედებები და ქცევები) ჩემგან აიღეთ“. (იხ. ნესაი, „მენასიქ“ 220). შესაბამისად, აღნიშნული ღვთისმსახურება ისე უნდა შესრულდეს, როგორც შუამავალი გვასწავლის.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღვთისმსახურებას გარეგნული მხარის გარდა გააჩნია შინაგანი მხარე, რომელიც მრავალ სიბრძნეს შეიცავს. აქედან გამომდინარე, ღვთისმსახურების შესრულების სწავლასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი შინაარსის გაგება. განსაკუთრებით ეს ეხება ჰაჯს, რომელიც მრავალ სიმბოლურ რიტუალს

ჰაჯი ხომ თავიდან ბოლომდე სიმბოლური რიტუალებით სავსე
ღვთისმსახურებაა. ის, როგორც წესი, სიმბოლოების რუკაა.
ტავაფი, საი, ეშმაკის ჩაქოლვა, არაფატზე დგომა და
სხვა მსგავსი რიტუალები სიმბოლურ
მნიშვნელობას ატარებენ.

მოიცავს. მისი არსისა და სულიერების გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჰაჯი ხომ თავიდან ბოლომდე სიმბოლური რიტუალებით სავსე ღვთისმსახურებაა. ის, როგორც წესი, სიმბოლოების რუკაა. ტავაფი, საი, ეშმაკის ჩაქოლვა, არაფატზე დგომა და სხვა მსგავსი რიტუალები სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებენ.

ჰაჯი, სულის ღმერთამდე ამაღლების სიმბოლოს ატარებს, ამიტომ ქააბა არა მიზანი, არამედ ამ სულიერი ამაღლების, ამ უსასრულობის დასაწყისია. ჰაჯის ყოველი რიტუალი გარედან დანახვისას სიმბოლური მოქმედებებია, მაგრამ მათი მთელი არსი მორწმუნის სულიერად აღზრდას და გათვითცნობიერებას ემსახურება.

1- მოწოდება

„აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც!“ *(ჰაჯი, 22/27)*

ამ მოწოდების ავტორი თავად ღმერთია. ბრძანების ადრესატი კი, რომელსაც ხალხისადმი მოწოდება დაევალა, ჯერ იყო შუამავალი აბრაამი. მოწოდების ადრესატი ყველა ადამიანია, ხოლო ვინც ამ მოწოდებას დაეთანხმება, ისინი არიან მორჩილნი. ღმერთმა აბრაამს ქააბას აღდგენა, ყოველგვარი ცრურწმენის ნაკველევისგან გაწმენდა და ღვთისმსახურების აღსავლენად ხალხის მიპატიჟება უბრძანა. უკანასკნელმა შუამავალმა მუჰამმედმა კი ეს მოწოდება განაახლა და მუდმივად აქცია.

ჰაჯის შესახებ მოვლენილ აიათებს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ღმერთმა მოგვმადლა წყალობა და ჩვენ ამ წყალობის გამო მადლიერება უნდა გამოვხატოთ. როდესაც ვწირავთ შესაწირს, ჩვენ ვუმასპინძლდებით ღარიბებს, ვუნაწილებთ ლუკმას და ეს ერთის მხრივ სოციალური თანასწორობისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამასთანავე ცოდვებისგან განწმენდის ფუნქციაც გააჩნია.

ქააბას მოლოცვისკენ მოწოდება მრავალ სიბრძნეს შეიცავს. ეს არის განსაკუთრებული ადგილების, განსაკუთრებულ დროის მონაკვეთში მოლოცვა, რომელიც ერთი ღმერთის რწმენის ასეთი დემონსტრაციული გამოხატულებაა. მოწოდება ჰაჯის შესრულებისათვის დიდი ხნის წინათ, შუამავალ აბრაამის დროს გაკეთდა. შემდეგ კი, შუამავალმა მუჰამმედმა, თავის გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში იგივე მოწოდება განაახლა. თუ მუსლიმს ჰაჯის შესრულების შესაძლებლობა გააჩნია, ეს მოწოდება სწორედაც რომ მისთვისაა და მან ეს მოწოდება უნდა მიიღოს. ღმერთი ბრძანებს:

„იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა. (ალი იმრან 3/97). ამრიგად, ვისაც სურს, რომ ამ მოწოდებას ყური ათხოვოს, უნდა დაფიქრდეს, ვინ მოუწოდებს და რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ღვთისმსახურება. თუ ადამიანი ამ მოწოდებას ყურს არ ათხოვებს, მას მოუწევს უკანასკნელი მოწოდების მიმართ გულისხმიერება და ეს უკანასკნელი „მოწოდება“ სიკვდილია. მაშინ მიხვდება ადამიანი თუ რა დაკარგა.

ეს მოწოდება ყოველწლიურად მეორდება. მომლოცველები ამ მოწოდების პასუხად ამბობს: „ლებბეიქ“. მორწმუნემ იცის, რომ ამ მოწოდებაზე თანხმობა და მექაში წმინდა ადგილების მოსალოცად წასლვა რომელიმე რიგითი მოგზაურობა არ გახლავთ. ეს მოწოდება უკიდურესად განსაკუთრებული მოწოდებაა და ამ მოწოდებაზე თანხმობით, მორწმუნე ღმერთის რჩეულთა შორის ხვდება. მომლოცველი იაზრებს, რომ ღვთის წინაშე უნდა წარსდგეს, ამიტომ

ამ მოწოდების შედეგად ხვდება, რომ რისთვის და სად იბარებენ.

2. მოგზაურობა

...„გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი!“ (ბაყარა 2/197)

მექას გარეთ მცხოვრები მომლოცველებისათვის ჰაჯის შესრულება მოგზაურობასთან ასოცირდება და აქ მანძილს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მგზავრობის საშუალება რაც არ უნდა იყოს, მოგზაურს თავისი შფოთვა, სტრესი, დაღლილობა და სირთულეები მაინც ექნება. მომლოცველლს მოთმინება მართებს და მომლოცველს იქნებ ამ მოთმინების უმეტესი ნაწილის დახარჯვა სწორედ რომ გზაში მოუწევს. თანამედროვე ეპოქაში მოგზაურობა ძალიან გაიოლებულია. თუ წარმოვიდგენთ, საუკუნეების განმავლობაში როგორ ახერხებდნენ მომლოცველები მექაში ჩასვლას. მათ უწევდათ უკიდეგანო უდაბნოში თვეობით მოგზაურობა, სადაც გაუსაძლისი სიცხე იყო. უძლებდნენ წყურვილს, შიმშილს, დაღლილობას და სხვა სიძნელეებს. ახლა კი რამოდენიმე საათიანი ფრენის შემდეგ მექაში ჩავდივართ.

როგორც ყველა მოგზაურობისთვის, ჰაჯისთვისაც დიდი მზადებაა საჭირო. გამგზავრების წინ მომლოცველები ვალებს იხდიან და თანამორწმუნე ძმებს თუ რამ აწყენინეს, პატიებას სთხოვენ. მომლოცველები მთელი გულწრფელობით ინანიებენ ჩადენილ ცოდვებს და ვდრებისა და ლოცვის თანხლებით საცხოვრებელ ადგილს ტოვებენ. მომლოცველები ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ იმ ორგანიზაციის შერჩევას, რომელმაც ეს მოგზაურობა უნდა უზრუნველყოს. მგზავრობა რომ კარგად წარიმართოს, მომლოცველები ამისათვის ყველა ღონეს ხმარობენ, ყველას მიმართ კეთილდამოკიდებულებაში არიან, ეხმარებიან თანამგზავრებს და ა.შ. ისინი აცნობიერებენ ამ მოგზაურობის მნიშვნელობას, ისე ფიქრობენ, თითქოს ეს მათი უკანასკნელი მოგზაურობა იყოს. სინამდვილეში ეს მდგომარეობა ყველა მოგზაურობისთვის აქტუალური უნდა იყოს, რადგან ადა-

მიანებმა არ ვიცით, რა დროს რა მოგვივა. სიკვდილი ხომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოვიდეს. მომლოცველმა არ იცის ჩააღწევს თუ არა მექამდე და არც ის იცის უკან თუ დაბრუნდება. ზოგადად ადამიანის ცხოვრებაა ასეთი, არ ვიცით, რა დროს, რა მოგველის.

აქედან გამომდინარე, ცხოვრების მოგზაურობასთან შედარებით, ჰაჯის მოზაურობა გაცილებით ხანმოკლეა, ამიტომ თუ ჰაჯისთვის ასე ვემზადებით და ესოდენ გულისყურით ვეკიდებით, ცხოვრებასაც ეგეთი დამოკიდებულებით უნდა შევხედოთ და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მის ამაოებაზე ვფიქრობდეთ. ვთქვათ ადამიანი 70 წელს ცოცხლობს, ამ დროის განმავლობაში ჰაჯისთვის მოგზაურობას მხოლოდ 3-4 კვირა სჭირდება. თუ ის ამ 3-4 კვირაში სიმბოლურად ღმერთისკენ მიილტვის და მას უახლოვდება, რელურ ცხოვრებაშიც ხომ დაბადებიდან ასეა. მისი ცხოვრებაც ხომ სიკვდილისკენ მიდის და ბოლოს ღვთის წინაშე უნდა წარსდგეს. ჰაჯის მაგალითით, მორწმუნემ უნდა გაიაზროს ეს და მისი რეალური სამზადისი ამ დიდი მოგზაურობისკენ უნდა მიმართოს.

ყურანშიც ადამიანის ცხოვრება აღწერილია, როგორც გზა და ადამიანი დროებითი მგზავრია. შუამავლის ჰადისებშიც იგივეა ნათქვამი. (იხ. ბუჰარი, „რიქაქ“ 3). ცხოვრების მგზავრმა კარგად უნდა იცოდეს გზაზე მოქცევის პირობები და ისიც, თუ რა ელოდება გზის დასასრულს. მორწმუნეს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ის პასუხიმგებლობა უნდა ახსოვდეს, რომელიც ღმერთმა დააკისრა. ამრიგად, ჰაჯზე წასული მოგზაური ამ დამოკიდებულებას გაიზრებს და ცხოვრების მოგზაურობაში გადმოაქვს.

ჰაჯზე წასული მომლოცველი, ერთის მხრივ შუამავალ აბრაამისა და შუამავალ მუჰამმედის ეპოქაში ხვდება, ხოლო მეორეს მხრივ ამ მოგზაურობისგან მიღებული გამოცდილებით სამომავლო ცხოვრებას გეგმავს. ამ მოგზაურობის წყალობით მომლოცველი თითქოს „დროის მანქანის“ წყალობით ჯერ შუამავალ აბრაამის შემდეგ კი შუამავალ მუჰამმედის ცხოვრების პიეროდში ხვდება.

ბოლოს კი, მომლოცველი იმ ნანატრ ადგილამდე აღწევს, რომლისკენაც მთელი ცხოვრების მანძლზე ლოცულობდა.

ის უკვე სულ ახლოს, საკუთარი თვალებით ხედავს ქააბას და ნამაზს ლოცულობს. ეს ის მოგზაურობაა, რომლის აღწერაც შეუძლებელია. ის ადამიანმა თავად უნდა გამოსცადოს, რათა ამ მოგზაურობისგან მოტანილი სიტკბოება იგრძნოს.

3. მიქათი

„და როცა მუსა მოვიდა ჩვენს დანიშნულ დროს, მისი ღმერთი დაელაპარაკა მას. უთხრა: ღმერთო ჩემო! გამომეცხადე, რათა გიხილო!...“ *(არაფ 7/143).*

მიქათი არაბული სიტყვაა და ქართულად დროს ნიშნავს. ყურანში ეს სიტყვა რვაჯერაა ნახსენები. ეს სიტყვა „დათქმულ დროს, შეხვედრის დროს“ აღნიშნავს. ზემოთ დაწერილ აიათში მოცემული „დანიშნული დრო“ მიქათის აღმნიშვნელია. აიათში საუბარია შუამავალ მოსეს მიერ დანიშნულ დროს ღმერთთან „შეხვედრაზე“. შუამავალი მოსე ღმერთს სთხოვს, რომ გამოეცხადოს, რათა დაინახოს. გარდა ამისა, ადამიანთა მოდგმის ღვთის წინაშე ერთიანი წარდგომის დღეც, მიქათის სახელითაა მოხსენიებული. (იხ. ნებე 78/11; დუ-ჰან 44/40)

ყოველ შეხვედრას, გარკვეულ დროსთან ერთად, გარკვეული ადგილიც გააჩნია. მიქათი ჰაჯის დაწყების დროსა და ადგილს გამოხატავს. შესაბამისად, როდესაც მომლოცველი მიქათის სზღვრებს მიაღწევს, იქიდან უკვე მისი მოგზაურობა იწყება, რომელიც ჰაჯის სახელითაა ცნობილი და სადაც მომლოცველი სიმბოლურად ღმერთს ხვდება. როგორც კი მომლოცველები მიქათის საზღვრებს მიაღწევენ, იმ მომენტიდან მილიონობით მომლოცველი ღვთისმოსაობის მარათონში ებმება.

მიქათის საზღვრები შუამავლის მიერაა დაწესებული და ეს საზღვრები „დიდი შეხვედრის ადგილს“ მოასწავებენ. მომლოცველი უკვე იმ დროსა და იმ ადგილასაა, რომელსაც წლების განმავლობაში ასე ელოდა. მიქათის საზღვრებში შესული მომლოცველი თავს ისე უნდა გრძნობდეს, როგორც მოსე, რომელიც ღმერთთან საუბარს ელოდებოდა. ამ დროს მომლოცველი წუხს, ნეტა როგორ მიმიღებს ღმერთი? როგორ გამოხატავ მისდამი უსაზღვრო მადლიერე-

ბას? როგორ ვიქცევი მისი სიდიადის წინაშე? ეს და მსგავსი ფიქრები მომლოცველის თანმხლებია. მომლოცველი ამ საზღვრებს მიღმა შეღწევას განკითხვის დღეს ადარებს. ფიქრობს, რომ ამ მოგზაურობიდან შეიძლება დაბრუნდეს, მაგრამ ის ხომ „უდიდესი შეხვედრაა“ და იქიდან უკან დაბრუნება ხომ შეუძლებელია. ნეტა, იმ დღეს რა ელოდება? ნეტა, მართალთა შორის იქნება თუ ცოდვილებში მიუჩენენ ადგილს? ამ და სხვა მსგავსი ფიქრობით, მომლოცველი დიდ გაკვეთილს ღებულობს და ამ დროებითი „შეხვედრის“ შედეგად იმ, ყველაზე დიდი შეხვედრისთვის ემზადება.

ყოველი დაგეგმილი შეხვედრისას, შეხვედრის დრო და ადგილი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. დროცა და ადგილიც შეხვედრისთვის საჭირო საშუალებებია. აქ უმთავრესი არის შეხვედრის მიზანი. რა შედეგი მოყვება ამ შეხვედრას? შესაბამისად, მიქათის საზღვრების გადალახვისთანავე ჰაჯი დაწყებულია, ხოლო შედეგს მოიტანს სხვა უმნიშნელოვანესი ფაქტორები, როგორიცაა წრფელი განზრახვა, მოთინება, ღვთისმსახურება, გულწრფელობა, ამაღლებული სულიერი ატმოსფერო და სხვა. ეს ყველაფერი თუ შინაარსიანად იქნა გამოყენებული, მაშინ ჰაჯი შედეგიანი იქნება.

4. იჰრამი

„ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოშიშობის სამოსელი , სწორედ ესაა უკეთესი. აი, ესაა ალლაჰის აიათები, ეგების გულისხმაჰყონ მათ!“ *(არაფ 7/26)*

იჰრამი გულისხმობს იმ აკრძალვებსა და შეზღუდვებს, რომლებიც ჰაჯისა და უმრეს შემსრულებელთა მიმართ არის დაწესებული, გარკვაული პერიოდით. აღნიშნული აკრძალვები გაზრახვის დადასტურებისა და იჰრამში შესვლისთანავე იწყება. იჰამში შესული მამაკაცები ქუდს იხდიან და ტანზეც სპეციალურ სამოსელს ირგებენ. ქალბატონებისათვის განსხვავებული და განსაკუთრებული სამოსელი არ არსებობს, ისინი წესისამებრ იმოსებიან. ქალებს, როგორც წესი, სახე უჩანთ, ხოლო მამაკაცები თავზე არ იფარებენ. (იხ. დარექუთნი, „სუნენ“ 2, 294).

იჰრამი ამქვეყნიური სამოსელისგან, მდგომარეობისა და სტატუსისგან გათავისუფლებაა. მომლოცველები იჰრამშ შესვლისთანავე ყველა ამქვეყნიურ მდგომარეობას, პრივილეგიას, სტატუსს, ფორმას, ყველა ნიშანს, რაც სხვეისგან გამოარჩევს, ტოვებენ და ერთიან, მომლოცველთა კატეგორიაში ხვდებიან. ისინი ღვთის წინაშე თანასწორნი არიან და მათი ამქვეყნიური, მატერიალური თუ თანამდებობრივი განსხვავება უკანა პლანზე გადადის. მომლოცველები ერთნაირ, მარტივ სამოსელში ეხვევიან და ამ მნიშვნელოვან ღვთიმსახურებას ასე ესწრებიან. იჰრამი, უპირველეს ყოვლის, ნიშნავს, რომ ამქვეყნიურ უპირატესობას, ქონებას, სიმდიდრეს, თანამდებობას, გვარიშვილობას და სხვა პრივილეგიებს ღვთის წინაშე არანაირი ფასი არ გააჩნია და იქ ყველა თანასწორია, ყველა თანამორწმუნე ძმაა, ყველა მომლოცველია. არ არსებობს რაიმე მატერიალური წინაპირობა, რომელიც ერთს მეორისგან გამოარჩევს. სამოქალაქო ტანისამოსი ყველას გახდილი აქვს და მხოლოდ პიროვნებები რჩებიან. შეიძლება მათ პიროვნულობას, ხასიათს და ზოგადად რეალობას მათი ტანისამოსი და ამქვეყნიური მდგომარეობა ფარავდა, მაგრამ აქ ყველაფერი სხვაგვარადაა. აქ ყველას ერთნაირი თეთრი მატერია აქვს შემოხვეული და ყველა თანასწორია. ეს შემოსახვევიც მხოლოდ იმისთვისაა, რომ სიშიშვლე დაფარონ. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მიქათის საზღვრებს რომ გავცდებით, იქ პასუხისმგებლობის „ტანისამოსი“ უნდა ჩავიცვათ. პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა შევიმოსოთ, რათა ჰაჯის ნამდვილ არსს ჩავწვდეთ. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოშიშობის სამოსელი , სწორედ ესაა უკეთესი. აი, ესაა ალლაჰის აიათები, ეგების გულისხმაჰყონ მათ!“ (არაფ 7/26).

დიახ, ღვთისმოშიშობის სამოსელი უკეთესია.

მომლოცველი თავს იხდის, ფეხშიშველ მდგომარეობაში, არაფერია აბადია, გარდა იჰარამის სამოსელისა და ასე უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე. ყველაფრის ჭეშმარიტი მესაკუთრე ხომ მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ღმერთია.

ადამიანი კი უმწეოა, ამიტომ ის ამ მდგომარეობაში მყოფი შედის იჰრამის ტერიტორიაზე და ღვთის წინაშე წარსდგება. ამასთანავე, მომლოცველთა ეს მდგომარეობა კაცობრიობის საწყისს გამოხატავს. ყველას წინაპარი ჰზ. ადამი იყო და კაცობრიობა მას შემდეგ დაიყო გვარებად, ტომებად, ერებად, რასებად და ა.შ.

იჰრამში შესვლისთანავე გარკვეული აკრძალვები იწყება. მომლოცველი ღმერთთან შესახვედრად ემზადება, ინანიებს ცოდვებს, ასრულებს რეკომენდაციებს და იქცევა უკიდურესი მოკრძალებით. მომლოცველისათვის ეს ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყებასთან ასოცირდება. იქ მყოფი ადამიანი ანგელოზის მდგომარეობას უახლოვდება. მომლოცველები ყველა წესს უსიტყვოდ და დიდი გრძნობით ასრულებენ. მათ უკან მოიტოვეს ყოველგვარი ამქვეყნიური სურვილები და ცდუნებები. ისინი უზენაესის წინაშე არიან და აქ ყოფნის გამო სულიერ აღმავლობას განიცდიან.

სრულიად თეთრ სამოსში გახვეული მომლოცველები, თითქოს მშვიდობის დროშები გაუშლიათო, ასე მშვიდობიანად ლოცულობენ და როგორც მშვიდობის მტრედები, ისე გამოიყურებიან. ისინი ხომ ჰარემის ტერიტორიაზე არიან, იქ, სადაც არც ომის, არც კონფლიქტის, არც რაიმე უსიამოვნების გამოვლინება ხდება. აქ მოსვლით თითოეულმა მათგანმა განაცხადა, რომ მშვიდობა სურს, მშვიდობას განასახიერებს და მშვიდობისთვის იღწვის.

იჰრამის სამოსი მშვიდობის სიმბოლოა და ამასთანავე ის ეშმაკისა და ადამიანის შინაგანი ბუნების ნაკარნახევი ცდუნებების წინააღმდეგ მომართული ფარია. ჩვეულებრივი ფარი გარედან მომდინარე საფრთხისგან გვიცავს, მაგრამ იჰრამი ისეთი ფარია, რომელიც ჩვენშვე არსებული საფრთხის შეკავებას უზრუნველყოფს. დიახ, იჰრამი ძლიერი დამცავია, რომელიც ცდუნებებს, ცოდვებისაკენ მიდრეკილებებს ანეიტრალებს.

ჰაჯის კიდევ ერთი განზომილება ისაა, რომ ის სიკვდილს, მერე აღდგომასა და განკითხვას გვახსენებს. თეთრ სუდარებში გახვეული მუსლიმები, თითქოს სიკვდილს, სიკვდილის შემდგომ ხელახლა აღდგომასა და იმქვეყნიურ

ცხოვრებას განასახიერებენ. მიუხედავად სტატუსისა, მდგომარეობისა და ნებისმიერი კუთვნილებისა, ყველა მომლოცველი ერთნაირად, თეთრადაა შემოსილი. ამით ისინი ერთმანეთის მიმართ და ღვთის წინაშე თანასწორობას გამოხატავენ. იჰრამში შესული მომლოცველები სიმბოლურად სიკვდილს იგემებენ, შემდეგ კი არაფატზე აღდგებიან, განკითხვას გამოცდიან და ამ განწყობით ღვთის წინაშე წარსდგებიან. ისინი ერთის მხრივ „სიკვდილამდე სიკვდილს“ გაიაზრებენ, ხოლო მეორეს მხრივ სულიერი განახლების სიხარულს ეზიარებიან. მომლოცველები თავიანთ ნებისყოფას მნიშვნელოვან გამოცდას უტარებენ და ღმერთის უზენაესი ნების წინაშე მოწიწებით ქედს იხრიან.

გარდა ამისა, იჰრამი მიცვალებული მუსლიმის სუდარას (ქეფინი) სიმბოლოა. ჰაჯზე წასული მომლოცველის სამოსი მიცვალებულის სამოსს გავს, ამიტომ იჰრამში მყოფი მომლოცველი გრძნობს, რომ ამქვეყნიურს დაშორდა და სხვა საფეხურზეა. ეს გრძნობა მისი სულის სიღრმეებამდე აღწევს. მომლოცველი სიცოცხლეშივე იმოსება სიკვდილის სამოსით და განკითხვის დღისთვის ასე ემზადება. თუ კი რამე ღირებულების საზომად მიაჩნდა; სიმდიდრე, თანამდებობა, სტატუსი, ეროვნება, სქესი და ნებისმიერი მატერიალური კეთილდღეობა, ყველაფერი იჰრამის ფერმა შთანთქა და მომლოცველი მთელი არსებით გრძნობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის მონაა. თეთრ სუდარებში გამოწყობილი მომლოცველები, ერთის მხრივ საფლავებიდან აღმდგომას და განკითხვის დღისთვის მზადებას გვაგონებენ. ჰაჯის გააზრება ამგვარი სცენარის გათამაშებით უფრო ეფექტური ხდება და მომლოცველი გრძნობს, რომ რეალური სიკვდილისა და აღგომის, ხოლო შემდგომში განკითხვისათვის უნდა მოემზადოს. ამრიგად მის გულში გაცოცხლება და განახლება დგება.

იჰრამში შესული მომლოცველები სუდარაში ეხვევიან, სხეულებს მიქათის საზღვრებთან ტოვებენ და სულებით ჰარემის საზღვრებს შიგნით მოგზაურობას აგრძელებენ. ისინი ყველა ეგოისტურ მისწრაფებებს მიქათის საზღვრებთან ტოვებენ. ისინი ერევიან თეთრ მასას და ყველანი, როგორც ერთ სხეულად ქმნილნი ქააბასკენ მიდიან.

ამრიგად, იჰრამი მხოლოდ გარეგნულად ტანისამოსის შეცვლა არ გახლავთ, ის ცხოვრების სტილისა და ქცევების ძირფესვიანად შეცვლას გულისხმობს. იჰრამის ფორმის მატარებებელ მომლოცველს მთელი რიგი ისეთი შეზღუდვები უწესდება, რომლებიც ჩვეულებრივ, სხვა დროისათვის ლეგიტიმურია. ამგვარი ქმედებით ადამიანი ყველა არასასურველი ჩვევების ჩამოშორებისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს და რწმუნდება, რომ თუ მოიწადინებს, ეს შესაძლებელია. ამავდროულად , ამ მდგომარეობაში მყოფი მომლოცველი საკუთარ თავთან შეკითხვებს სვამს და თვითკრიტიკის რეჟიმში ექცევა.

ჰაჯის დროს მუსლიმები ჩვეულებრივი, საერო ტანისამოსისგან თავისუფლდებიან და თეთრად იმოსებიან. ასე თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი მომლოცველები ყოველგვარი თავმომწონეობის მიღმა სამყაროში გადადიან, სადაც არც ძვრიანი ტანსაცმლითა და სამკაულებით უპირატესობის გამოხატვის საშუალება არ არის. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მუსლიმები ადამიანთა თანასწორობასა უსვამენ ხაზს. ამავდროულად ისინი ყველა მავნე ჩვევას ივიწყებენ და ყველა ცდუნებას უმკლავდებიან. ამით ისინი ერთგვარ ნებისყოფის წრთვნას გადიან. იჰრამში შესული მომლოცველისათვის ნებისმიერ სულიერზე რაიმე ზიანის მიყენება აკრძალულია. ამით ისინი ყველა ცოცხალი არსების მიმართ შემწყნარებლობასა და სიკეთეს გამოხატავენ. სიძნეების მიმართ გამძლეობა, შეზღუდვების მიმართ შემგუებლობა და სხვა პირობების ატანა მათთვის დისციპლინის უნარის გამომუშავებას უწყობს ხელს. ამრიგად, მუსლიმები ათვითცნობიერებენ, რომ სხვებს ზიანი არ უნდა მოუტანონ და ამავდროულად ყველასთვის სასარგებლონი იყვნენ.

იჰრამში შესული მომლოცველის მიერ ყოველდღური ტანისამოსის მიტოვება და ორი ნაჭერი თეთრი მატერიით შემოსვა, ყველაფერ ამქვეყნიურის უკან მიტოვებას და მხოლოდ ღვთის წინაშე წარდგომის გამოხატულებას წარმოადგენს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მომლოცველი უფრო მკაფიოდ გრძნობს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალი და ფუჭია და ის სამყაროს რეალური მფლობელის წინაშე ამ გრძნობით დგას. მომლოცველი გრძნობს, რომ მისი ფასი მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობაშია.

ჰაჯის დროს იჰრამში შესვლის მსურველი მომლოცველი, რომელსაც სულიერი განახლება აქვს გადაწყვეტილი, იჰრამში შესვლისას ტანსაცმელთან ერთად ყველა იმ სულიერ „ჭუჭყსაც“ ტოვებს, რომელიც მის სულს ამძიმებს. მომლოცველი მთელ ამქვეყნიურ შფოთვას უკან იტოვებს და სულიერი განწმენდისათვის ზრუნავს. მომლოცველი, ტანსაცმელთან ერთად, ყველა იმ ნეგატივისგან თავისუფლდება, რომლებიც მის სულს ამძიმებს და როგორც მისი სამოსელია თეთრი და ულაქო, სწორედ ისეთი სულით ცდილობს ჰაჯზე წარმოქმნილი სულიერი ატმოსფეროს გათავისებას.

5. აკრძალვები

„ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს *(ქალს)*, ***არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს იქმთ, ამას უწყის ალლაჰი“.*** *(ბაყარა 2/197)*

მომლოცველი, რომელიც იჰრამში შედის, გარკვეულ შეზღუდვებს უნდა დაექვემდებაროს და ეს შეზღუდვებიც ღვთისმსახურების სახელით ხორციელდება. მაგალითად, ნამაზის დაწყებისას მლოცველი თექბირს წარმოთქვამს და იმ მომენტიდან ჩვეულებრივ ყოფაშ მიღებული გარკვეული ქმედებები ეზღუდება. ასევე შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ მარხვაც, როგორც კი მარხვას იწყებს ადამიანი, იმ წუთიდან გარკვეული ქმედებები, როგორიცაა ჭამა, სმა, და სხვა, ეზღუდება. ჰაჯის შემთხვევაშიც იჰრამში შესულ მომლოცველს გარკვეული ქმედებები ეზღუდება. ყურანში სამი სახის აკრძალვაზეა საუბარი:

1- სქესობრივ სურვილებთან დაკავშირებული აკრძალვები, მათ შორის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საუბარიც კი აკრძალულია.

2- ნებისმიერი ცოდვის, სიგლახის და დანაშაულის ჩადენა კატეგორიულად აკრძალულია.

3- ჩხუბი, კამათი, სიტყვიერი შეურაცხყოფა და მსგავსი კონფლიქტები.

თუ დავაკვირდებით, ამ შეზღუდვებიდან პირველი ადამიანის ცდუნებებისადმი მიდრეკილებებს ეხება, მეორე-

მის შინაგან ბუნებას და ცოდვებს, ხოლო მესამე სხვათა მიმართ კეთილდამოკიდებულებასა და უსაფრთხოების დაცვას. ზოგადად, ადამიანები ცოდვებს სწორედ ამ სამი მიმართულებით სჩადიან. შესაბამისად ცოდვებმა ჰაჯს, როგორც ღვთიმსახურებას, ჩრდილი არ უნდა მიაყენოს და ამასთანავე, მომლოცველი სწავლობს, თუ როგორია სწორად ცხოვრება და როგორც უნდა შეიკავოს თავი ცოდვების ჩადენისგან. შუამავალი მომლოცველებს სასიხარულო ინფორმაცია აწვდის და ეუბნება, რომ ვინც ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჰაჯის ღვთისმსახურებას აღასრულებს, ისეთივე უცოდველი გახდება, როგორც ახალშობილი. (იხ. ბუჰარი, „ჰაჯ“ 4).

გარდა ყურანში მოცემული ამ ძირითადი აკრძალვებისა, ჰადისებში ასევე მოცემულია იჰრამთან დაკავშირებული სხვა აკრძალვებიც. მამაკაცებს მხოლოდ თეთრი მატერიის შემოსახვევი და ფეხზე ჩუსტები უნდა ეცვათ, სხვა რაიმის ჩაცმა მიუღებელია. ასევე აკრძალულია ცოცხალ არსებებზე ზიანის მიყენება, მათ შორის მცენარეებზეც. აკრძალულია ნადირობა. ჰარემის ტერიტორიაზე ასევე კატეგორიულად აკრძალულია სისხლის დაღვრა; დაჭრა, მკვლელობა და სხვა. აკრძალულია მოპარვა ან ნახული ნივთის მითვისება. ნივთის ნახვის შემთვევაში შესაბამისი მომსახურების ოფისს უნდა მივმართოთ და ნანახი ჩავაბაროთ.

იჰრამთან დაკავშირებული შეზღუდვები არამარტო ადამიანებზე, არამედ სულიერ და უსილო, ყველაფერზე ვრცელდება. ყველა ცხოველი, მცენარე და საერთოდ ღმერთის გაჩენილი ბუნება სრულად დაცულია. მომლოცველი ვალდებულია ყველა და ყველაფერს გაუფრთხილდეს და არცერთ სულიერ არსებას და არც უსულო საგნებს რაიმე ზიანი არ მიაყენოს. ჰარემის ტერიტორიაზე ბალახისა და ყვავილის მოწყვეტაც არ შეიძლება. ჩიტების შეშინება და დაფრთხობას აკრძალულია. ასევე აკრძალულია გაბრაზება, რისხვის გამოხატვა, მუქარა, უხეში ლაპარაკი, დაცინვა და ა.შ. მომლოცველები მომღიმარი სახით, ტკბილი სიტყვით ურთიერთობენ. ეს ყველაფერი ჰაჯის ნაწილია.

მოკლედ, ჰაჯის დროს საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევა, არეულობის შეტანა და ყველა ის ქმედება, რომელიც

უკან მოტოვებული ყოველდღურობისთვისაა დამახასიათებელი და ადამიანის სიმშვიდეს არღვევს, მის სულიერ განვითარებას ხელს უშლის, მიუღებელია. შესაბამისად, მომლოცველი უნდა შეეგუოს და ხელი შეუწყოს ჰაჯისთვის დამახასიათებელი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

6. თელბიე

„ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ!
ლებბეიქე ლა შერიქე ლექე ლებბეიქ!
ინნელ ჰამდე ვენ ნიღმეთე!
ლექე ველ მულქ, ლა შერიქე ლექე!

თელბიე ჰგავს მდგომარეობას, როდესაც ჯარისკაცი საბრძლო მზადყოფნაშია, ყველა მოსამზადებელი პროცედურა უკვე გავლილი აქვს, ფორმა აცვია, იარაღი მზად აქვს და ბრძანების მოლოდინში მეთაურს ეუბნება: „როგორც მიბრძანებთ, მეთაურო!“. იჰრამში შესული მომლოცველიც ყველანაირ მზადყოფნას გამოხატავს და ღმერთს ეუბნება “მიბრძანე ღმერთო!“ მომლოცველი გრძნობს, რომ ღმერთმა მას აქ მოსვლა უბრძანა და ისიც მის წინაშეა. „მივიღე შენი მოწოდება, მივყევ შენს ბრძანებას, შენს წინაშე ვარ, მთელი ჩემი არსებით შენს განკარგულებაში ვარ!“ - ამბობს მომლოცველი და ყველა მოქმედებით ამ სიტყვების განმტკიცებას ცდილობს. ამ სიტყვებს სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოსული, განსხვავებული წარმომავლობის, კანის ფერისა და სტატუსის მქონე მილიონობით მუსლიმი ერთხმად წარმოთქვამს და ეს სიტყვები მთელი ჰაჯის პერიოდში მუდმივად ისმის. თელბიეს წარმოთქმით მომლოცველი ადასტურებს, რომ ერთი ღმერთის რწმენის ერთგულია და ღმერთის გარდა სხვა არაფერს ეთაყვანება.

„ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ!
ლებბეიქე ლა შერიქე ლექე ლებბეიქ!
ინნელ ჰამდე ვენ ნიღმეთე!
ლექე ველ მულქ, ლა შერიქე ლექე!

„მიბრძანე ღმერთო, მიბრძანე!
მიბრძანე ღმერთო! შენ არ გყავს თანაზიარი!

მიბრძანე ღმერთო! უეჭველად შენ ხარ განდიდების ღირსი! შენია წყალობა, შენია მეუფება. შენ არ გყავს თანაზიარი!“

ღმერთმა მომლოცველებს მოუწოდა და ისინიც მრავალი სიძნელეების გადალახვის შედეგად მის წინაშე წარსდგნენ. ისინი ამ ვალდებულებას ისე ასრულებენ, როგორც შუამავალმა გვასწავლა და ყველა მოქმედებით ღმერთის სადიდებელს გამოხატავენ. მომლოცველები ღვთის ბრძანებების წინაშე კრძალვით ქედს იხრიან და ამით საკუთარი ცდუნებების ტყვეობისგან თავისუფლდებიან. „გვიბრძანე ღმერთო, გვიბრძანე!“ - წარმოთქვამენ მომლოცველები და ამ განწყობას ქცევითაც ადასტურებენ.

მომლოცველები ჰაჯის შესრულების პროცესში თელბიეს გარკვეულ ადგილებში და ასევე გარკვეულ დროს წარმოთქვამენ. ჰაჯის შემდეგ კი მომლოცველები ამ განწყობას ცხოვრებაში გადმოიტანენ და ღმერთის მოწოდებების შესასრულებლად მუდმივ მზადყოფნას გამოხატავენ. ნამაზი, მარხვა, ზექათი, პატიოსნება, სანდოობა, სამართლიანობა, ერთგულება და ყველაფერი სხვა, რასაც ღმერთი ჩვენგან ითხოვს, აუცილებლად შესასრულებელია და ჩვენ მის ბრძანებას სიხარულითა და კრძალვით უნდა დავემორჩილოთ.

7. ქააბა

„ალლაჰმა ქააბა, სახლი ნაკრძალი** (წმინდა)**, თვე ნაკრძალი, და შესაწირი ცხოველი და აქლემები სამკაულებშებმული ადამიანთა არსებობისთვის დაადგინა. ეს იმისთვის, რომ იცოდეთ, ალლაჰი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; და რომ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა“. *(მაიდე 5/97)*

როდესაც მომლოცველი ქააბას დაინახავს, თითქოს დრო ჩერდება, თითქოს გარემოს შეგრძნებას კარგავს ადამიანი და უსასრულობაში იკარგება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომლოცველი პირველად ხედავს მას.

ქააბა იმ ტერიტორიის ცენტრია, სადაც ჰაჯის ღვთისმსახურება ტარდება. ღმერთმა ამ წმინდა ადგილს „ჩემი სახლი“ უწოდა და ამდენად უდიდესი მნიშვნელობით აღჭურვა.

ქააბა და მისი შემოგარენი ჰარემის ტერიტორიაა, სადაც გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული.

ყველა ის შეზღუდვა, რომლებიც ქააბასა და მის შემოგარენში მოქმედებს, ღვთისადმი პატივისცემას, კრძალვას და თაყვანისცემას, მისი ბრძანებების შესასრულებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნას უკავშირდება. აქ ყველა დაცულია; ადამიანიდან დაწყებული, ცხოველები, ფრინველები, მწერები, მცენარეები და საერთოდ ყველაფერი ღვთიური მფარველობის ქვეშაა.

ქააბა დედამიწის პირველი სალოცავია. ამასთანავე ეს არის ადგილი, რომელიც ნამაზის, ჰაჯის და სხვა ღვთისმსახურების შესრულების დროს განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ქააბა ლოცვის მიმართულებაა და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფი მლოცველი სახით ქააბასკენ ლოცულობს. ამასთანავე, ჰაჯისა და უმრეს დროს ერთ-ერთი რიტუალი ტავაფი ქააბას ირგვლივ სრულდება. გარდა ამისა, ქააბას აქვს თვისება ყველა მუსლიმი გააერთიანოს და ერთი მიმართულებით წარმართოს. ამრიგად მას მუსლიმთა გამაერთიანებელი ფაქტორის როლი გააჩნია. ყურანში ნაბრძანებია:

„იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა.“ (ალი იმრან 3/97).

როდესაც მომლოცველი ქააბას ხედავს, ისეთი გრძნობა იპყრობს, თითქოს ქააბას გამჩენს ხედავდეს. შუამავალი გვასწავლის, რომ თუ ჩვენ ვერ ვხედავთ ღმერთს, ის ყოველთვის გვხედავს. (იხ. ბუჰარი, „იმან“ 37). მორწმუნე ამ გრძნობით უყურებს ქააბას და მადლიერებით განმსჭვალული ღმერთს ევედრება.

მომლოცველი უკვე საკუთარი თვალებით ხედავს ქააბას, რომლის მიმართულებითაც წლების მანძილზე ლოცულობდა. მანძილი აღარ აშორებს და ნანატრი ოცნება ასრულებულია. მომლოცველის მიერ ქააბასთან შეხვედრა ღმერთის წინაშე წარდგომის ემოციას ანიჭებს. ვინ იცის როდის,

სად და რა მდგომარეობაში მოუწევს ღვთის წინაშე წარდგომა? ჯერ უაკანსაკნელ ამოსუნთქვამდე მიღწევა, შემდეგ ხელახლა გაცოცხლება და აღდგომა, შემდეგ კი მის წინაშე განკითხვა... ნეტა, რითი წარსდგება, რა ნამოქმედარით?!...

მომლოცველი ქააბასთან ყოველთვის განბანილ მდგმარეობაში მიდის. იქ ყოფნისას ლოცულობს, ღმერთს ევედრება, ცოდვებს ინანიებს, ღვთის სადიდებლებს იმეორებს, ცდილობს არ ილაპარაკოს, სხვები არ შეაწუხოს, მოძრაობა არ შეაფერხოს, ეს და სხვა მსგავსი წესები ჰაჯის, როგორც ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ჰაჯზე მყოფი მომლოცველები „ღმერთის სტუმრებად“ იწოდებიან. დიახ, მომლოცველები ამ რამოდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში ძვირფასი სტუმრებია რიან. შესაბამიად, მომლოცველები ამ განწყობით უნდა იქცეოდნენ. ისინი მასპინძლის წინაშე უკიდურესი კრძალვით უნდა მოიქცნენ და ასევე დიდი პატივისცემით უნდა მოეპყრონ სხვა სტუმრებს.

ქააბა სიმბოლოა. ამ სიმბოლოსთან ჩვენი სიახლოვით ღმერთთან სიახლოვე უნდა გავზომოთ. აქ საკითხი ქააბასთან ფიზიკური სიახლოვეს და იქ ყოფნას არ ეხება, აქ მთავარია ადამიანი რამდენად ახლოს გრძნობს თავს ღმერთთან. ჰაჯი კი იმის საშუალება უნდა იყოს, რომ ღმერთთან სულიერი სიახლოვის განცდა ავიმაღლოთ. აქ ყოფნის შედეგად ადამიანმა უნდა მიაღწიოს ისეთ სულიერ მდგომარეობას, რომ სადაც არ უნდა იყოს, ღმერთის წინაშე გრძნობდეს თავს.

დედამიწის პირველი სალოცავის გარშემო, მომლოცველებს შეუძლიათ ნახონ ღვთისმსახურების საუკეთესო გამოვლინების მაგალითები. აქ აღვლენილი ვედრება ადამიანის გულიდან მოდის. მუსლიმი უკიდურესი გულწრფელობით ევედრება ღმერთს, რომ მიუტევოს.

8. ტავაფი

„მერე კი დაიცვან თავიანთი წესები, აღასრულონ აღთქმა და შემოუარონ უპირველეს სახლს** (ქააბას)**!“ *(ჰაჯი 22/29)*

ტავაფი რაიმის გარშემო შემოვლას ნიშნავს. სამყაროში უმცირესი ნაწილაკებიდან, ატომებიდან დაწყებული, გალაქ-

ტიკებით დამთავრებული, ყველაფერი ტავაფის მდგომარეობაშია. ატომში არსებული ელექტრონები ატომის ბირთვის ირგვლივ ტრიალებენ, გალაქტიკები კი მილიარდობით თანავარსკვლავედი, მილიარდობით ვარსკვლავი, გალაქტიკის ცენტრის ირგვლივ წარმოუდგენელი სისწრაფით ტრიალებენ. თითქოს ისინიც გამჩენის წინაშე ღვთისმსახურებას აღავლენენ. ყურანში ნაბრძანებია, რომ თითოეული მათგანი თავის ორბიტაზე დადის. (იხ. იასინ, 36/40).

ქააბას ირგვლივ ათიათასობით მომლოცველის ტავაფი ქმნის ისეთ სანახაობას, რომელიც გალაქტიკაში მილიარდობით ვარსკვლავის ბრუნვას გავს. ამრიგად, ტავაფის დროს საჭირო სულიერი განცდის მისაღებად მომლოცველი ქააბას ირგვლივ ორბიტას უნდა მიჰყვეს. ქააბას ირგვლივ არსებულ მიზიდულობაში მოქცეული მომლოცველი იმ სულიერ დინებას მიჰყვება და ამ მორწმუნეთა ზღვაში, როგორც ერთი წვეთი, სულიერ სიტკბოებას განიცდის. ქააბას ირგვლივ ტავაფის შესრულება სამყაროსა და გაჩენის არსს, გამჩენზე უპირობო მინდობას, მისდამი თაყვანისცემას განასახიერებს.

მამაკაცები ტავაფის დროს პირველ სამ წრეზე უფრო ენერგიულად მოძრაობენ, ამას „რემელი“ წოდება, ხოლო მარჯვენა მხარის მოშიშვლებას - „იზდიბა“. ამ რიტუალს თავისი ისტორიული მიზეზები გააჩნია. მექელი მუსლიმები მედინაში საცხოვრებლად გადასვლის (ჰიჯრა) შემდეგ ფიზიკურად დასუსტდნენ, რადგან მედინას ჰაერმა მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა. ჰიჯრიდან შვიდი წლის გასვლის შემდეგ მუსლიმებს სამი დღით მექასა და ქააბას მონახულების უფლება მიეცათ. მექლმა მუჰაჯირებმა ეს ამბავი შუამავალს შესჩივლეს, მან კი უბრძანა, რომ ადგილობრივი მოწინააღმდეგის თვალში ენერგიულები და ძლიერები უნდა წარმოჩენილიყვნენ, ამიტომ მათ მხარეს გავლისას უფრო ენერგიულად უნდა ევლოთ. მათაც მისი ეს ბრძანება შეასრულეს.

რა თქმა უნდა, მაშინდელი მუსლიმების ამგვარი ქცევა სრულებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ უფრო ძლიერები წარმოჩენილიყვნენ. დღეს რა ხდება?! როგორ უნდა წარმოვაჩინოთ თავი უფრო ძლიერად? ფიზიკური ძალაა

საჭირო, სულიერი, მორალური თუ რომელი? რა, როდის და როგორ დავკარგეთ და როგორ უნდა დავიბრუნოთ? ჰაჯზე ყოფნისას ამ ყველაფერზეც უნდა ვიფიქროთ.

იბნი აბბასის გამოცემით, თავდაპირველად, ტავაფის დროს, მომლოცველები ყურაიშების დასანახად ასრულებდნენ რემელს, მაგრამ გამოსამშვიდობებელი ჰაჯის დროს შუამავალმაც პირველ სამ წრეზე იგივე გააკეთა, ამიტომ ის უკვე სუნნეთი გახდა. მოგვიანებით ჰზ. ომარიც აღნიშნავდა, რომ რემელის გაკეთების იმდროინდელი მიზეზი აღარ არსებობდა, მაგრამ რაც შუამავალს გაუკეთებია, ჩვენ მისი მიტოვება არ გვსურსო. (იხ. ბუჰარი, „ჰაჯ“ 57). მართალია მუსლიმთა მტრები აღარ იყვნენ, მაგრამ შუამავლის მიერ შესრულებული ქმედება ისევ ისეთნაირად გრძელდებოდა.

ტავაფის დროს ქააბა მომლოცველების მარცხვნივ მდებარებს. ამასაც სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ამგვარად შესრულებული ტავაფის დროს ადამიანის გული ქააბასკენ უფრო ახლოსაა. ამ მიმართულებით ქააბასა და ადამიანის გულს შორის საყურადღებო კავშირია. შესაბამისად ტავაფის დროს ადამიანის გული ქააბას მხარესაა. აქვე არის მინიშნება, რომ ტავაფი გულით უნდა შესრულდეს.

ქააბას გარშემო მორწმუნეობის სიტკბოება იგრძნობა. მომლოცველს ღმერთთან სიახლოვის საოცარი განცდა ეუფლება. სხვა ადგილას ესოდენ მძაფრი განცდების მიღება ძალიან რთულია. აქ მყოფი მორწმუნე თითქოს საკუთარ სახლში გრძნობს თავს, რადგან მთელი ცხოვრება ამ მიმართულებით ლოცულობდა და ეს ყველაფერი მისთვის ძალიან ნაცნობი და შინაურია.

როგორც ნამაზის ლოცვისას, ისე ქააბას ირგვლივ ტავაფის შესრულებისასაც ადამიანებს შორის სრული თანასწორობაა. აქ არის ერთი ღმერთის რწმენის ირგვლივ ჩამოყალიბებული ერთიანობა. აქ მორწმუნეთა ზღვაში უნდა ჩაიკარგო და ამ მასაში აითქვიფო...

ქააბას ირგვლივ ტავაფი მის მიმართ გულითად კავშირს, მასზე დამოკიდებულებას და მისთვის ყველაფრის გაწირვას გამოხატავს. ქააბას ტავაფი ღვთისადმი ერთგულების,

მხოლოდ მისდამი თაყვანისცემის, მხოლოდ და მხოლოდ მასზე დამოკიდებულების გამოხატულებაა.

მომლოცველი ტავაფის დროს ღვთის წინაშე ყოფნის ცნობიერებას უნდა ატარებდეს. ამ დროს უკიდურესი მოკრძალება, პატივისცემა, შიშსა და იმედს შორის არსებული სიყვარული უნდა ეტყობოდეს. როგორც აბრაამმა და ისმაილმა ეს სალოცავი ააგეს, მომლოცველმაც ისე უნდა ააგოს რწმენა და სიყვარული. ქააბა ღმერთის სახლია და ადამიანთა გულები მისი სამყოფელი. მომლოცველი, იქ ყოფნისას, მუდმივად ქააბას უყურებს, ფიქრობს და ღვთის სიდიადეს გულით გრძნობს. მე-16 საუკუნის ცნობილი პოეტიბაღდადელი რუჰი შუარას სურას 88-ე აიათის საფუძველზე წერს, რომ იმ დღეს, როდესაც ვერაფერი მატერიალური სარგებელს ვერ მოგიტანს, ღმერთი არა ოქროსა და ვერცხლს, არამედ მასზე მინდობილ გულებს ისურვებს.

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება,

გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“ (შუარა 26/88)

როდესაც შუამავალი ქააბას ტავაფს აკეთებდა, ბრზანა: „რა სასიამოვნო ხარ და რა საოცარია შენი სურნელება! რაოდენ მაღალია შენი სახელი!“ (სრულად იხ. იბნ მაჯე, „ფითენ“ 2).

ვისაც სურს, რომ ქააბაში ყოფნით რწმენა და გული გაიძლიეროს, მან უნდა იცოდეს, რომ მორწმუნე ძმას გული არ უნდა ატკინოს, რადგან მორწმუნეთა გულები ხელშეუხებელია.

9. ჰაჯერი ესვედ

„ვიცი, რომ შენ ქვა ხარ. არც ზიანი მოგაქვს და არც სარგებელი. რომ არ დამენახა, რომ შუამავალი შეგეხო, მეც არ შეგეხებოდი“. *(ჰზ. ომარი)*

ჰაჯერ-ი ესვედი ის ცნობილი ქვაა, რომელიც ქააბას კედელშია მოთავსებული. გარდა იმ პრაქტიკული დანიშნულებისა, რომელიც ტავაფის ამ ადგილიდან დაწყებას გულისხმობს, ამ ქვასთან დაკავშირებით მრავალი ინფორ-

მაცია არსებობს. ამ ვარაუდებიდან ზოგი სუსტია, ზოგი ძლიერი, ზოგიც კიდე- სიმბოლური. ამ ვარაუდებიდან ზოგიერთის მიხედვით ეს ქვა ადრე თეთრი იყო, მაგრამ ადამიანთა ცოდვების გამო გაშავდა, ის სამოთხიდანაა ჩამოსული, წარღვნის დროს ებუ ქუბეისის მთაზე ინახებოდა და ჰზ. აბრაამმა იქიდან მოიტანა და ქააბაში იმ ადგილას მოათავსა, სადაც ამჟამად არის და სხვა.

ჰაჯერი ესვედზე მისალმება ნიშნავს, რომ მორწმუნე ოდითგანვე ღმერთზე მიცემულ პირობას განაახლებს. ადამიანმა ჯერ კიდევ სულების სამყაროში ყოფნისას ღმერთს შეჰფიცა ერთგულების ფიცით და აქ, ქააბაში ყოფნისას, თავისი კონკრეტული მოქმედებებით და ამ მისალმებით აღნიშნული ფიცის ერთგულებას ადასტურებს.

ჯერ კიდევ მაშინ, სანამ შუამავალი შუამავლობის მისიას მიიღებდა, მექელებმა ქააბას რეკონსტრუქცია ჩაატარეს. კედლების გაკეთებისას შეიქმნა პრობლემა. დავის მიზეზი კი ის იყო, რომ ვერ გადეწყვიტათ თუ ვის უნდა მოეთავსებინა ეს ქვა კედელში. დავა გასერიოზულდა და გვარებს შორის დაპირისპირების მმიზეზი გახდა. მექელებმა მომრიგებლად შუამავალი აირჩიეს, რადგან ყველაზე სანდო და სამართლიან ადამიანად ის ითვლებოდა. შუამავალმა მატერიის ნაჭერი მოატანინა, ქვა ზედ დადო და ყველა გვარის წარმომადგენელმა ნაჭერს ხელი მოჰკიდა. ასე ერთად ასწიეს ქვა და შუამავალმა საკუთარი ხელით თავის ადგილზე მოათავსა. (იხ. თაბერი, „ისტორია“ 1. 526).

შუამავალი ტავაფის დაწყების წინ, თუ შესაძლებლობა იყო, ჰაჯერულ ესვედს ეამბორებოდა, ან ხელით ესალმებოდა და ტავაფს ისე იწყებდა. ერთხელ მან ჰზ. ომარი გააფრთხილა, რომ ჰაჯერულ ესვედზე კოცნის გამო ხალხმრავლობაში არ შესულიყო და ადამიანები არ შეეწუხებინა, რადგან ჰზ. ომარი ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და ასეთ ხალხმრავლობაში ფიზიკურად სუსტ ადამიანებს შეაწუხებდა. ამის შემდეგ ჰზ. ომარი ხალხმრავლობაში აღარ შედიოდა და ჰაჯერულ ესვედს შორიდან ესალმებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ისეთი ხალხმრავლობა და ჭედვა არ იყო, როგორიც დღეს არის, შუამავალი ადამანებს მაინც ურჩევდა, რომ ხალხმრავლობის შემთხვევაში

ერთმანეთი არ შეეწუხებინათ და ჰაჯერულ ესვედს შორიდან მისალმებოდნენ. დღეს კი მილიონამდე მომლოცველი იყრის თავს და წარმოუდგენელი ხალხმრავლობა იქმნება. ასეთ დროს იქ მიახლოების გამო თანამორწმუნე ძმების შეწუხება და მასიური ჭყლეტის შექმნა მიუღებელია. მითუმეტეს, სუნნეთი მასზე მისალმებაა და არა მასზე კოცნა. ჰაჯერი ესვედზე კოცნის გამო მორწმუნე ძმების ბიძგვა, წაქცევა და ტკივილის მიყენება მიუღებელია. ამ სიტუაციაში საჭიროა შუამავლის რჩევის გათვალისწინება. თუ ხალხმრავლობაა ჰაჯერი ესვედზე შორიდან მისალმებაც საკმარისია.

ერთხელაც, ჰაჯერი ესვედზე მისალმებისას, ჰზ. ომარმა ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „ვიცი, რომ შენ ქვა ხარ. არც ზიანი მოგაქვს და არც სარგებელი. რომ არ დამენახა, რომ შუამავალი შეგეხო, მეც არ შეგეხებოდი“. ამით ჰზ. ომარმა გამოხატა, რომ ამგვარი რიტუალი უმეცრების ხანის გადმონაშთი არ იყო და იმიტომ ასრულებდა, რომ ეს შუამავლის სუნნეთი იყო. საბოლოო ჯამში, ჰაჯერი ესვედზე მისალმება იმ პირობის განახლებაა, რომელიც ადამიანმა ღმერთს ოდითგანვე მისცა.

10. მულთეზემ

მულთეზემი ჰაჯერი ესვედსა და ქააბას კარებს შორის დარჩენილი ადგილია. ეს არის ადგილი, სადაც ზოგი მომლოცველი თვალცრემლიანი ლოცულობს და ვედრებას აღავლენს. ქააბას კართან, კედელთან ან მახლობლად ნებისმიერ ადგილზე მომლოცველთა გულამოსკვნილი ტირილი და მიტევების ვედრება იმ ბავშვის მდგომარეობას გავს, რომელმაც რაღაც დააშავა და ახლა დედის კალთას მობღაუჭებული ტირის და პატიებას ითხოვს. მას სურს, რომ დედამ გაუღიმოს და მიიღოს. შეიძლება დედამ ჯერ არ მიიღოს მისი ხვეწნა-მუდარა, მაგრამ ბოლოს შვილის ესოდენ გულწრფელ სინანულს ვეღარ გაუძლებს და მიუტევებს. ღმერთი ხომ ყოვლად მოწყალე და შემწყნარებელია. ნუთუ ქააბას კედლებთან მოტირალ და გულწრფელი მონანიებით მავედრებელ მსახურებს არ მიუტევებს?! მომლოცველები ამ განწყობითა და იმედით ქააბასთან მიახლოებას და იქ ვედრების აღვლენას ცდილობენ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხმრავლობის დროს ჭყლეტას ხელი არ უნდა შევუწყოთ.

11. მაყამი იბრაჰიმ

***„და აკი, დავადგინეთ ჩვენ ეს სახლი ხალხის შესაკრებად** (მადლის შესაძენად) **და უსაფრთხოდ მათთვის: აიღეთ იბრაჰიმის სადგომი სამლოცველოდ! და ჩვენ აღთქმა დავუდეთ იბრაჰიმსა და ისმაილს: განწმინდეთ ჩემი სახლი მათთვის, ვინც გარშემომვლელია, ღვთისმოსავია, რუქულისა და სეჯდეს შემსრულებელიაო“.** (ბაყარა 2/12)*

ქააბას კარიდან რამოდენიმე მეტრში არის ქვა, რომელსაც „იბრაჰიმის სადგომი“ ეწოდება. მიიჩნევა, რომ ჰზ. აბრაამი და ჰზ. ისმაილი ქააბას მშენებლობის დროს ამ ადგილზე ქვების ასაწევ დანადგარს აკეთებდნენ და ქააბას აშენებდნენ. ასევე მიიჩნევა, რომ შუამავალმა აბრაამმა ჰაჯის შესრულებისაკენ მოწოდება სწორედ ამ ქვაზე მდგომმა გააკეთა.

ამ ორი მოსაზრებიდან ორივე მართალიც რომ იყოს, ჩვენი კუთხიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ერთხელ ჰზ. ომარმა ინატრა, ნეტა, იბრაჰიმის ადგილას ნამაზს ვილოცავდეთო. ამ ნატვრის შემდეგ შუამავალს სწორედ ის აიათი მოევლინა, რომელიც ამ თავის დასაწყისში შემოგთავაზეთ. შუამავალიც სალოცავად ამ ადგილს, ან მახლობლად რომელიმე ადგილს ირჩევდა. ცნობილია, რომ შუამავალი ტავაფის შემდეგ აქ მოდიოდა და ორ მუხლ ნამაზს ლოცულობდა. ნამაზის ლოცვის დროს ქაფირუნისა და იჰლასის სურას კითხულობდა. თუ ჰაჯის დროს ბევრი ხალხია, მაშინ აღნიშნული ორი მუხლი ნამაზის ლოცვა მოშორებით, უფრო თავისუფალ ადგილას, უფრო მისაღებია.

აქ მოსული მომლოცველი, ნამაზის ლოცვამდე და ლოცვის შემდეგაც, უნდა დაფირქდეს თუ როგორ ააგოს თავისი სულიერების კედლები, რას დაეყრდნოს და რითი გაამყაროს. აბრაამი ამ ქვაზე შედგა და ხალხს ღვთისმსახურებისკან მოუწოდა, რაც შედეგის თვალსაზრისით საკმარისი აღმოჩნდა. მომლოცველი უნდა დაფიქრდეს, სარკმარისია თუ არა რასაც აკეთებს, რასაც ფიქრობს, რასაც განიცდის. აქ შედგომისთვის რა სჭირდება; რწმენა? ზნეობა? ცოდნა? სიმდიდრე? ერთგულება? შრომა?...

იქნებ ყველაფერი ერთად საჭიროა.

12. ზემზემი

„ზემზემს ის სარგებელი მოაქვს, რისთვისაც სვამენ“. *(იხ. იბნ ჰანბელი, მუსნედ, 3, 357)*

ზემზემი იმ წყაროს სახელია, რომელიც ღმერთმა ჰაჯერსა და ისმაილს უწყალობა. შუამავალმა აბრაამმა ღმერთისგან გზავნილი მიიღო და ამ გზავნილის შესაბამისად მეუღლე ჰაჯერი და ჯერ კიდევ ჩვილი ისმაილი დღევანდელი მექას ტერიტორიაზე დატოვა. მაშინ იქ არავინ ცხოვრობდა და ეს ადგილები უკაცრიელ უდაბნოს წარმოადგენდა. (იხ. იბრაჰიმ 14/37). მალე დედა-შვილს სასმელი წყალი გაუთავდათ და ჰაჯერმა წყლის მოსაძებნად აქეთ-იქეთ სირბილი დაიწყო. ის ორ გორაკს შორის მიმოდიოდა. ამ გორაკებს საფა და მერვე ერქვათ. როდესაც გორაკებს შორის დაბლობზე ჩადიოდა სირბილს იწყებდა, რადგან ამ დროს შვილს ვერ ხედავდა. ძებნამ შედეგი გამოიღო და ღმერთმა დღევანდელი ქააბას გვერდით წყარო გააჩინა. სწორედ ეს წყაროა ზემზემი.

ზემზემი ქააბადან დაახლოებით 20 მეტრშია. 2003 წელს ტავაფის ტერიტორიის გაფართოების მიზნით ზემზემთან ჩასასვლელი გააუქმეს, ხოლო ტავაფის ადგილის გარშემო ზემზემის სასმელი წერტილები გააკეთეს.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, შუამავალი ზემზემის შესახებ ამბობს: „ზემზემს ის სარგებელი მოაქვს, რისთვისაც სვამენ“. (იხ. იბნ ჰანბელი, მუსნედ, 3, 357). სხვა და სხვა გადმოცემების მიხედვით კი საუბარია ზემზემის განსხვავებულ თვისებებზე, როგორიცაა დანაყრება და სამკურნალო თვისებები. ასევე ცნობილია, რომ მედინაში გადასახლების შემდეგ, შუამავალმა, ზემზემის წყალი ჩაატანინა.

როგორც აბრაამმა და ისმაილმა ქააბა ააგეს და გაწმინდეს, რათა იქ მომლოცველებს ლოცვა აღევლინათ, მომლოცველებმაც თავიანთი გულები უნდა განიწმინდონ და რწმენის კედლები გაიმყარონ. მომლოცველი თავის გულის ლაქებს აქ ანადგურებს და სულიერ განწმენდას აღწევს. როდესაც მომლოცველი ამ დალოცვილი წყლით წყურვილს მოიკლავს, ამის შემდეგ უნდა ეცადოს, რომ არამი ლუკმა აღარ შეჭამოს, საეჭვო წარმომავლობის საკვებს თავი აარიდოს და ა.შ. ის სვამს ამ წყალს და არამით კვების დაავადების-

გან იკურნება. სიხარბეს სძლევს. იმდენჯერ სვამს, სანამ სინდისი მხოლოდ ღვთისადმი თაყვანისცემის გრძნობით არ განიმსჭვალება. მომლოცველი პირობას დებს, რომ არც თავად მიიღებს არამს და არც ცოლ-შვილის გამოკვებისთვის იკადრებს უსამართლო სარჩოს მოძიებას.

13. საი

„უეჭველად, საფა და მერვე ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია; და ვინც ჰაჯობა აღასრულოს ამ სახლში, ან უმრა შეასრულოს, ცოდვად არ ჩაეთვლება თუ გარს შემოუვლის ორივეს; და ვინც თავისი სურვილით სიკეთეს იქმს, ალლაჰი, უეჭველად, მადლიერია, ყოვლისშემძლეა!“

(ბაყარა 2/158)

საი სირბილს, სწრაფად სიარულს ნიშნავს. ის ძებნას, ძიებას გამოხატავს. როგორც რელიგიური რიტუალი, ეს არის საფასა და მერვეს გორაკებს შორის მი-მოსვლა. სვლა საფას გორაკიდან იწყება და საბოლოო ჯამში, მომლოცველები საფადან მერვეს გორაკამდე მანძლს ოთხჯერ გადიან, ხოლო იქიდან ფასას გორაკამდე სამჯერ უწევთ იგივე მანძილის დაფარვა. საფასა და მერვეს გორაკებს შორის დაბლობზე ჩასვლისას მომლოცველები უფრო სწრაფი ნაბიჯებით ან სირბილით მიდიან.

აღნიშნული რიტუალი ჰაჯერის მიერ წყლის ძებნას უკავშირდება. მოგეხსენებათ, ჰზ. ჰაჯერს შვილი ისმაილი ჯერ კიდევ ძუძუზე ჰყავდა, როდესაც ამ ადგილას მარტო დარცენა მოუხდა და ის საფასა და მერვეს გორაკებს შორის წყალს ეძებდა. ეს ისტორია ასევე გამოხატავს, თუ რაოდენ დიდია დედის ამაგი და თავგანწირვა. ამ რიტუალით მომლოცველები დედა ჰაჯერის მიერ იმ დროისათვის შესრულებულ მოძრაობებს იმეორებენ და ამით როგორც მოვლენას, ისე დედის სახელს მიაგებენ პატივს. საფასა და მერვეს გორაკებს შორის მი-მოსვლით მომლოცველები დიდი განცდების ქვეშ ექცევიან. მომლოცველებს სურთ ჰაჯერის მსგავსად ღვთიურ წყალობას ეზიარონ.

საი ჰაჯის ერთ-ერთი რიტუალია და მომლოცველის მოვალეობებში შედის, ამიტომ ის ღვთისმსახურების მნიშვ-

ნელობას ატარებს. ამასთანავე, მუსლიმები ერთად, ერთი მიმართულებით, ერთი მიზნითა და განზრახვით სიარულს გამოცდიან და მის მნიშნელობაზე ფიქრობენ.

მომლოცველი საის შესრულებისას ჰზ. ჰაჯერის მსგავსად დარბის და სიმბოლურად ხსნას ეძებს. მომლოცველი მატერიალურ სამყაროს გაურბის და ღვთურ წყალობას ეძებს. ის გარბის და გრძნობს, თუ რაოდენ ახლოსაა ღმერთი მასთან. ჰზ. ჰაჯერი მთელი იმედითა და თავგანწირვით წყალსდაეძებდა და ბოლოს იპოვა კიდეც. ასეთ იმედითა და თავგანწირვით ცდილობს მომლოცველიც, რომ ღვთიურ წყალობას ეზიაროს.

საი ისეთივე ძიებაა, როგორც ჰზ. ჰაჯერი ეძებდა წყალს, რათა მცხუნვარე მზის ქვეშ დატოვებული შვილი გადაერჩინა. იქ მყოფი მომლოცველები ჰაჯერის როლს განასახირებენ. ისინი შვიდჯერ გაივლიან გორაკებს შორის მანძილს, რათა იპოვონ მაცოცხლებელი წყარო და საკუთარი ისმაილები იხსნან. მომლოცველები ცდილობენ სულიერ წყაროს მიაგნონ და გულები მორწყონ, როგორც ეს მიწა, რომელსაც თვეების განმავლობაში წვიმა არ უნახავს და გვალვისგან დამსკდარია. შედეგად გულები გაიხარებს, აყვავდება ზნეობა, სულეირება, ცოდნა, სიკეთე, რწმენა, ჭეშმარიტება და ყველაფერი სასარგებლო. თუ მომლოცველი სიცოცხლის წყაროს ვერ იპოვის, შეიძლება ფიზიკურად სიცოცხლე გააგრძელოს, მაგრამ სულიერად კვდომას დაიწყებს.

ჰზ. ჰაჯერის შვილი ისმაილი იმით გადარჩა, რომ ღმერთის ბრძანებით მთავარანგელოზმა ჯებრაილმა მიწიდან წყალი ამოადინა. ჩვენი სულებიც ანგელოზ ჯებრაილის მიერ, არა მიწიდან, არამედ ზეციდან მოტანილი სიცოცხლის წყაროთი, ყურანით უნდა გადავარჩინოთ. რაოდენაც დაეწაფება ადამიანი ამ მაცოცხლებელ წყაროს, რაოდენაც მიიღებს მისეულ ზნეობას, რაოდენაც გაითვალისწინებს ბრძანებებსა და აკრძალულებს, რაოდენაც მოახერხებს მისით ცხოვრებას, იმდენად იპოვის სიცოცხლეს და იმდენად გადარჩება. თუ იქ ყოფნისას სიმბოლურად შვიდჯერ უნდა გაირბინოს, ცხოვრებაში სიცოცლის წყაროს მოსაძებნად მუდმივი მცდელობა და გარჯა სჭირდება. მორწმუნემ მა-

ნამდე უნდა ეძიოს სიცოცხლის წყარო, მაცოცხლებელი ყურანის მოძღვრება, სანამ სულიერ დანაყრებას არ შეიგრძნობს და სანამ არ გადარჩება.

14. არაფატი

"ჰაჯი არაფატია" *(იხ. იბნ მაჯე, „მენასიქ" 57)*

სიტყვა არაფატის ძირი შემდეგი სიტყვებისგან მომდინარეობს: ცოდნა, გაგება, ცნობა და კარგი სურნელება. მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოსული მომლოცველები აქ ხვდებიან ერთმანეთს, ეცნობიან, აღიარებენ ცოდვებს, ითხოვენ მიტევებას და ცოდვებისგან განწმენდის შემდეგ ღვთის წინაშე უფრო კარგები, უფრო კარგი სურნელებით შემკულნი არიან.

ჰაჯი როგორ უნდა შევასრულოთო, ჰკითხეს შუამავალს. მან კი პასუხი მოკლედ გასცა: „ჰაჯი არაფატზე ყოფნაა". ჰაჯი ჭეშმარიტების აღქმა, გააზრება, მისი შეცნობაა. ჰაჯი განწმენდაა. ეს არის გარდაცვალების შემდეგ ხელახალი გაცოცხლება, განკითხვა, განკითხვის წინა ლოდინი, სიკვდილამდე სიკვდილი, განკითხვამდე განკითხვაა. ვინც არაფატის მნიშვნელობას გაიგებს სულიერ განახლებას ეზიარება. არაფატი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის შეცნობის ადგილია. ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, ის გამჩენსაც შეიცნობს. ჯერ საკუთარი თავი უნდა გავიცნოთ, რათა გამჩენის გაცნობა შევძლოთ.

ვინც ღმერთს ივიწყებს, მას საკუთარი თავი დავიწყებული აქვს და საიქიოში ღვთისგან დავიწყებული მივა. (იხ. ჰაშრი 59/19). არაფატზე მყოფნი საკუთარ თავს და ღმერთს შეიცნობენ, საიქიოში კი ღმერთი მათ დააჯილდოვებს.

არაფატზე ყოფნის რიტუალი ყველაზე ბარაქიან დროს, არაფა დღეს იმართება. ამავდროულად ეს ადგილი ყოვლად დალოცვილია. როგორც შუამავალი აკეთებდა, ამ დროს და ამ ადგილას მომლოცველები სახით ქააბასკენ დგებიან და ვედრებას აღავლენენ. ისინი ღვთის წყალობას ევედრებიან, დარდების შემსუბუქებას, ცოდვების მიტევებას, უმეცრებისგან გათავისუფლებას და სულიერ განწმენდას.

მომლოცველის მიერ არაფა დღეს, არაფატზე იჰრამით დგომა მუსლიმისთვის ერთ-ერთი უდიდესი წყალობაა. ამ დალოცვილ ადგილას და ამ ძვირფას დროს აღვლენილი ვედრება ფუჭად არ ჩაივლის. აქ მყოფი მუსლიმი ყველა ამქვეყნიურ საზრუნავს ივიწყებს და მთელი გულით ღმერთს მიენდობა. ის ხელაპყრობილი ევედრება ღმერთს, იხსნებს ცოდვებს და ცრემლების თანხლებით მიტევებას თხოულობს. ის ყველას ავედრებს; ცოლ-შვილს, მშობლებს, ახლობლებს, ყველას.

აქ მდგომი მომლოცველები თავიანთი სამოსითა და მდგომარეობით გამოხატავენ, რომ ამქვეყნიური ყველაფერი უკუაგდეს, მოსული არიან განკითხვაზე და აქ ლოდინით სიმბოლურად განკითხვის დღეს განასახიარებენ. მომლოცველები გრძნობენ ღვთის წინაშე დგომის უდიდეს პასუხისმგებლობას, ხვდებიან რომ ამქვეყნიური პრივილეგიები აქ ფუჭია და უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობაა.

15. ვაქფე

„აქ არაფატია, აქ ის ადგილია, სადაც ვაქფე სრულდება“.

(იხ. იბნ ჰანბელი, 3, 326).

ვაქფე დგომას, ლოდინს ნიშნავს. არაფატზე დგომა ერთს მხრივ დედამიწაზე ფეხის დადგმას, ხოლო მეორეს მხრივ განკითხვის დღეს, ღვთის წინაშე წარდგომას გამოხატავს. ეს არის დგომა, ლოდინი. ეს არის დილიდან საღამომდე შიშსა და იმედს შორის არსებული მღელვარებით ლოდინი. არაფატი არ არის ის ადგილი, სადაც რაღაც დროით გაჩერება და დროის სასამოვნოდ გატარება შეიძლება. ეს ღვთის წინაშე დგომაა. ეს მღელვარებით, შიშითა და იმედით სავსე დგომაა. ეს არის დიდებული დგომა, რომელიც მთელი თანამორწმუნე ძმების ერთობასა და ერთიანობას გამოხატავს.

შუამავალმა თავისი ცნობილი გამოსამშვიდობებელი ხუტბა არაფატზე წაიკითხა. აღნიშნული ქადაგება მუსლიმებისთვის ერთგვარ „ადამიანის უფლებათა დეკლარაციას“ წარმოადგენს. იმ დღეს შუამავალს ასი ათასი მორწმუნე უსმენდა.

1. მუსლიმთა სიცოცხლე და ქონება ხელშეუხებელია.

2. ქალები ღვთისგან მობარებული ამანათები არიან. მათდამი მოქცევისას მათი უფლებები, ღირსება და მოთხოვნილებები უნდა იქნას გათვალისწინებული.

3. სისხლის არება, მევახშეობა და მსგავსი უმეცრების ხანის გადმონაშთები აკრძალულია.

4. მუსლიმებს მოევლინათ წმინდა წიგნი ყურანი, რათა მიჰყვნენ მას და გზას არ ასდნენ.

შუამავალმა არაფატზე შუადღისა და სამხრობის ნამაზი ერთად ილოცა და შემდეგ წყალობის გორისკენ გაემართა. შემდეგ სახით ქააბასკენ დადგა და მზის ჩასვლამდე ვედრებას აღავლენდა. ის სამყაროს წყალობად მოვლენილი ელჩი იყო. ვინ იცის, შუადღიდან საღამომდე რამდენი ევედრე ღმერთს...არაფატზე დგომისას მთელი პასუხიმსგებლობა, სინანული, გულწრფელობადა კრძალვა გვმართებს, რათა იქ ყოფნის მნიშვნელობა გავიაზროთ.

არაფატზე დგომის რიტუალი უბადლო თავყრილობაა, სადაც მთელი მსოფლიოს მუსლიმთა წარმომადგენლები იკრიბებიან. ის ერთგვარი „მსოფლიო მუსლიმთა კონგრესია“. ეს არ არის პირდაპირი მნიშვნელობით მუსლიმთა კონგრესი, სადაც შეკრებილი ადამიანები სხვა და სხვა სფეროს შესახებ საუბრობენ და შეთანხმებებს აღწევენ. აქ მუსლიმთა სულები და გულებია გაერთიანებული. მათ განსხვავებული ეროვნება, ენა, კულტურა გააჩნიათ, მაგრამ მათი რწმენა, გრძნობები, სურვილები და ვედრება ერთნაირია. ვინ იცის ამდენ მომლოცველს შორის რამდენი მართალი, რამდენი ღრმადმორწმუნე, რამდენი ჭეშმარიტი ღვთისმოსავია. ვინ იცის რამდენი მომლოცველია მათ შორის, რომელთა ვედრება ფუჭად არ ჩაივლის. ვინ იცის რამდენის ღვთისმსახურება და ეს ჰაჯი ღვთის წინაშე მიღებულია.

16. მუზდელიფე მეშღერი ჰარამი

***„...და როცა დაიძვრებით არაფატიდან , ახსენეთ ალლაჰი მეშღერი ჰარამთან** (ქუზაჰის მთასთან)**“.** (ბაყარა 2/198)*

მუზდელიფე ჰარემის ტეროტორიის საზღვრებში, კერძოდ კი ააფატსა და მინას შორის მდებარეობს. მომლოცველები ღამით აქ იკრიბებიან და საღამოსა და ღამის ნამაზებს გაერთიანებულად ლოცულობენ. მომლოცველები მეორე დღეს ეშმაკის სიმბოლურად ჩაქოლვისათვის საჭირო ქვებს უმეტესწილად, აქ აგროვებენ. აქაც მეორეჯერ სრულდება ვაქფე, რომელიც ღვთის წინაშე დგომის განცდას კიდევ უფრო ამაღლებს.

„ცოდვა არ გექნებათ, თუ ეძიებთ სარგებელს თქვენი ღმერთისგან. და როცა დაიძვრებით არაფატიდან , ახსენეთ ალლაჰი მეშღერი ჰარამთან (ქუზაჰის მთასთან). და გაიხსენეთ იგი, როგორ დაგადგინა ჭეშმარიტ გზას, თუმცა კი ადრე გზასამცდარნი იყავით თქვენ“. (ბაყარა 2/198).

აიათში ასევე ნახსენებია „მეღშერი ჰარამიც“ აქ მდებარეობს. როგორც აიათშია მითითებული ეს ადგილი ღვთის ხსენებისა და განდიდებისთვისაა. არაფატიდან მუზდელიფეში ჩასული მომლოცველები გათენებამდე ლოცვა-ვედრებას აღავლენენ. ამრიგად, მუზდელიფეში ყოფნის დრო, ღმერთის ხსენებისა და მისდამი სადიდებლების აღსავლენად ერთ-ერთი საუკეთესო დროა. არაფატზე ვაქფე დღის განმავლობაში, ხოლო მუზდელიფეში ღამით სრულდება.

შუამავალმა არაფატიდან აქ მოსვლის შემდეგ საღამოსა და ღამის ნამაზები გაერთიანებულად ილოცა. შემდეგ დაისვენა და დილის ნამაზის შემდეგ ვაქფე შეასრულა.

17.მინა

„შემდეგ დაიძარით იქით, საითაც ხალხი დაიძრა და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ. უეჭველად, ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია!“ *(ბაყარა 2/199)*

მუზდელიფეს შემდეგ მომლოცველები მინასკენ იღებენ გეზს. ამ დროს მარჯვნივ რჩება ის დაბლობი, სადაც ქააბას დანგრევის მიზნით, ებრეჰემ მრავალრიცხოვანი ჯარი და სპილო მოიყვანა. სურა ფილში აღწერილია თუ რა მოუვიდა ებრეჰეს ჯარს. ისინი ფრინველების გუნდმა ქვებით გაანადგურა.

მინა მძაფრ სურვილს ნიშნავს. მინა არის ადგილი, სადაც ღმერთმა შუამავალი აბრაამი და მისი ვაჟი ღვთისადმი რწმენასა და სიყვარულში გამოსცადა. გამოცდა სერიოზული იყო. აბრაამმა ნახა სიზმარი, სადაც მას უბრძანეს, რომ საკუთარი შვილი მსხვერპლად უნდა შეეწირა. მამამ და შვილმა ეს მძიმე გამოცდა ჩააბარეს. ერთის მხრივ ღვთისდმი რწმენა და მორჩილება, მეორეს მხრივ კი საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვა. ამ მოვლენის შესახებ ყურანში შედეგი რამაა მოთხრობილი:

„როცა მიაღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?“ მიუგო: „მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!“ (საფფათი 37/102).

შვილის პასუხის შემდეგ აბრაამმა ის მინაში წაიყვანა. მან დაამტკიცა, რომ ღვთისადმი სიყვარული და მორჩილება ყველაზე მაღლა იდგა, ამიტომ საყვარელი შვილის მსხვერპლად შეწირვა საბოლოოდ გადაწყვიტა. ამავდროულად ეშმაკიც არ კარგავდა დროს და მოქმედებდა. მან აბრაამს ეჭვები გაუჩინა. ამის მიუხედავად აბრაამმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და ღვთიური ბრძანების შესრულება ამჯობინა. გზა და გზა კი ეშმაკს ქვებს ესროდა, რომელიც მის გადარწმუნებას ცდილობდა. ბოლოს ღმერთმა მიიღო მათი ქმდება, მათ მორჩილება და რწმენა, რის შემდეგაც აბრაამს სამსხვერპლე ცხვარი მოუვლინა, ხოლო შვილის სიცოცხლე აჩუქა. ყურანში ნაბრძანებია:

„როცა ორივე დამორჩილდა და მას შუბლი დაადებინა ძირს,

მაშინ ვუხმეთ: ჰეი, იბრაჰიმ!

„უთუოდ, ერთგულება გამოიჩინე სიზმართან მიმართებაში“. უეჭველად, ჩვენ ასე მივუზღავთ კეთილის მქმნელთ!

უეჭველად, ეს ცხადი გამოცდაა!

და გამოსასყიდად ვუბოძეთ მას უდიდესი შესაწირი“. (საფფათი, 37/103-107)

ეს არის მინა. ადგილი, სადაც ადამიანი ყველაფერ ამქვეყ-

ნიურს; სიცოცხლეს, ქონებას, ოჯახს, ცოლ-შვილს, ძმას, თანამდებობას და. ა.შ. უკანა პლანზე აყენებს და მხოლოდ და მხოლოდ ღვთისადმი სიყვარულს გამოხატავს. აქ მყოფი მომლოცველი ფიქრობს: ღვთის სიყვარული თუ ამქვეყნიური სურვილები? ამქვეყნიურმა წყალობამ ღვთის სიყვარულამდე უნდა მიგვიყვანოს თუ ამ სიყვარულში ხელი უნდა შეგვიშალოს და წარმავალისკენ წაგვიღოს? რწმენა და ღვთისადმი სიყვარული თუ ეშმაკის მიერ შემოთავაზებული სიტკბოებანი?

აბრაამისა და მისი შვილის გამოცდა ახლაც გრძელდება. აბრაამმა ეს გამოცდა ჩააბარა. ჩვენც უნდა დავფიქრდეთ, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას. თუ აღმოვაჩენთ, რომ ამქვეყნიურის მიმართ მეტი სიყვარული გაგვაჩნია, მაშინვე უნდა მოვინანიოთ.

მომლოცველები მოინანიებენ შეცდომებს, ღმერთს პატიებას სთხოვენ, გულში ღვთიურ სიყვარულს განიმტკიცებენ და შემდეგ ეშმაკისა და მისი მომხრეების სიმბოლური ჩაქოლვისთვის ემზადებიან.

18. ეშმაკის ჩაქოლვა

„...ეშმაკმა მათ შეულამაზა მათი საქმეები და გზიდან ააცდინა... „ *(ანქებუთი 29/38)*

ეშმაკის ჩაქოლვა, რომელსაც მომლოცველები ასრულებენ, აბრაამის მიერ ეშმაკზე ქვების სროლის სიმბოლური გამოხატვაა. აბრაამი შუამავალი იყო, მაგრამ ეშმაკი მაინც ცდილობდა შეეცდინა ის და ღვთიური ბრძანების შესრულებაში ხელი შეეშალა

. აღნიშნული სიმბოლური რიტუალი თავად შუამავალსაც აქვს შესრულებული.

ეშმაკის ჩაქოლვის რიტუალი ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავს. მომლოცველი თითოეულ ქვას ეშმაკს, ცდუნებებსა და საკუთარ სურვილებს ესვრის. ის ცდილობს საკუთარი შეცდომების სათითაოდ მონანიებასა და ამ შეცდომების გამომწვევი მიზეზების განადგურებას. მორწმუნე ებრძვის სიამაყეს, ამპარტავნებას, ქონების სიყვარულს,

ეგოიზმს და მსგავს ნეგატიურ ფაქტორებს, რომლებიც მორწმუნეობრივ ცხოვრებას ხელს უშლის.

დღეს, როდესაც მომლოცველი ეშმაკის ჩაქოლვის რიტუალს ასრულებს, ერთის მხრივ აბრაამის როლშია, ხოლო მეორეს მხრივ შუამავალ მუჰამმედის სუნნეთს მიჰყვება. მართალია მომლოცველის მიერ ნასროლი ქვები კედელს ხვდება, მაგრამ მომლოცველი ამ დროს უნდა ფიქრობდეს თავის იმ სისუსტეებზე, საიდანაც ეშმაკი იოლად სძლევს და ყოველი ნასროლი ქვა ამ სისუსტეს უნდა ესროლოს, ამაზე უნდა ფიქრობდეს. ყველა ადამიანმა კარგად იცის, თუ რას სცოდავს, რას აშავებს, რა ცოდვებს სჩადის და რა არის მისი სისუსტე. სიმბოლურად, ყოველი ნასროლი ქვა სწორედ ამ პრობლემებს უნდა ესროლოს. მუსლიმი მუდმივად ღმერთს ევედრება: „განდევნილი, ჩაქოლილი ეშმაკის ზიანისგან შენ მოგეკედლები“. „ეღუზუბილლაჰი მინეშშეიტანი რეჯიმ“ - წარმოთქვამს მუსლიმი და ამავდროულად გულითაც იგივეს ფიქრობს. განდევნილი ეშმაკისგან გარბის და მწყალობელ ღმერთს ეკედლება. მორწმუნე მუდმივად უნდა იაზრებდეს ამას. ეშმაკთან მუდმივი ბრძოლაა საჭირო. როგორც შუამავალი ბრძანებს: „ის ისე მოძრაობს ადამიანის სხეულში, როგორც ძარღვებში სისხლი“. (იხ. ბუჰარი, „იტიქაფ“ 11-12)

19. მსხვერპლი

„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა“. *(ჰაჯი 22/37)*

მსხვერპლშეწირვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა, რომლითაც მორწმუნე ღვთიურ ბრძანებას ასრულებს. იჰრამში ყოფნისას ბალახის მოწყვეტაც კი აკრძალულია, მაგრამ ღვთიური ბრძანების შესაბამისად, მასზე მინდობისა და თავგანწირვის დასატასტურებლად, მორწმუნეები ბაირამის დღეს მსხვერპლს წირავენ.

მსხვერპლის შეწირვით მომლოცველი გამოხატავს მადლიერებას, რადგან მან შეძლო და ჰაჯი შეასრულა. როგორც რამადანის დასრულებისას მორწმუნეები მარხვის

დასრულებას ბაირამით აღნიშნავენ, ჰაჯის დასრულებაც ბაირამით აღინიშნება და მსხვერპლი იწირება. ჰაჯის ღვთისმსახურების დროს მომლოცველები შემდეგ ეტაპებს გადიან: მოთმინება, ბრძოლა, გამარჯვება და მადლიერება. მომლოცეველები არაფატზე ცოდნას ეზიარებიან, მეღშარში შემეცნებას, მინაში სიყვარულს, ხოლო ჯემერათში გამარჯვებას. ამის შემდეგ ისინი მსხვერპლს სწირავენ და ამით მადლიერებასა და ღვთისმოშიშობას გამოხატავენ.

მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის პერიოდში მორწმუნეები თექბირს წარმოთქვამენ, რომელსაც „თეშრიყ თექბირი“ ეწოდება. ღვთის სახელითა და ღვთის გულისათვის შეწირული მსხვერპლი მადლიერების, კრძალვის, მისდამი მინდობისა და მორწმუნეთა ძმობის გამოხატულებაა. შესაწირი ამავდროულად ჩვენს თანამორწმუნე ძმებთან დაახლოების საშუალებაა. ეს არის ღვთით ბოძებული წყალობის გამო მადლიერების გამოხატულება. შესაწირი სიკეთისა და თანადგომის გავრცელებაა. მისი საშუალებით ერთმანეთთან სიახლოვესა და თანაგრძნობას გამოვხატავთ, შედეგად კი სიყვარული და ძმობა ძლიერდება. შესაწირი გეოგრაფიულ არეალებს სცილდება და მთელ მსოფლიოში უპრეცენდენტო დახმარებისა და თანადგომის ხიდებს აგებს. ამ დღეებში მორწმუნეებს შეუძლიათ სრულებით უცნობი ადამიანების გულები გაახარონ და ეს დღეები გაულამაზონ. ამ ყველაფერით ჩვენი, როგორც „უმმეთის“ ერთიანობა ძლიერდება.

მსხვერპლის შეწირვისას მომლოცველი საკუთარ სდუნებებს, მავნე მისწრაფებებსა და ვნებებს კლავს. დიახ, მორწმუნემ უნდა შეძლოს და ღვთის გულისათვის ყველა მავნე მიდრეკილება გულიდან ამოიგდოს. ეს ბაირამი ღმერთთან დაახლოების ბაირამია. ეს არის დღესასწაული, რომლის დროსაც მუსლიმები სხვა და სხვა ქვეყნებში, სრულიად უცნობ ადამიანებს ეხმარებიან და გულს უხარებენ.

ყურანში ნაბრძანებია:

„აქლემები დაგიდგინეთ ალლაჰისთვის ზვარაკად შესაწირი, რიტუალურ სიმბოლოდ. მათ მოაქვთ თქვენთვის სიკეთე. მაშ, წარმოთქვით მათზე ალლაჰის სახელი , როცა დგანან მწკრივად და როცა გვერდზე დაეცემიან; ჭამეთ მათგან

და უწილადეთ იმათ, ვინც მცირედითაა კმაყოფილი და ვინც ითხოვს სიღატაკის გამო. ასე დაგიმორჩილეთ ისინი, ეგებ შეიქმნეთ მადლიერნი!“ (ჰაჯი 22/36)

„მერე კი დაიცვან თავიანთი წესები, აღასრულონ აღთქმა და შემოუარონ უპირველეს სახლს (ქააბას)!“ (ჰაჯი 22/29)

როდესაც მომლოცველი მსხვერპლს წირავს, ის ასევე აბრაამის სუნნეთს ასრულებს. მოგეხსენებათ, აბრაამმა ღვთიური ბრძანების შესაბამისად საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვა გადაწყვიტა, ღმერთმა კი ასეთ ერთგულებისთვის სამსხვერპლე პირუტყვი მოუვლინა, რომელიც აბრაამმა შვილის მაგივრად შესწირა. მომლოცველმა იცის, რომ ოჯახი, ქონება და სხვა ამქვეყნიური სიკეთენი ღმერთთან დაახლოების საშუალებებია და არა მასთან სიახლოვის გზაზე არსებული დაბრკოლებები. მორწმუნე იაზრებს ამ ჭეშმარიტებას და მთელი ცხოვრება მისი განხორციელებისთვის იბრძვის.

20. თმის შეკრეჭა

„ღმერთო, მოჰმადლე წყალობა მათ, ვინც თმას შეიკრეჭს“.

(ბუჰარი, „ჰაჯ“ 127)

მომლოცველი ეშმაკის ჩაქოლვის შემდეგ მსხვერპლს წირავს, ხოლო მოგვიანებით თმებს იკრეჭს, რითიც სიმბოლურად საკუთარი სხეულის ნაწილის შეწირვას გამოხატავს. თმების შეკრეჭა ასევე სიმბოლოა იმისა, რომ მომლოცველი მზადაა ღვთის გულისათვის სიცოცხლე გაწიროს და ასევე ყოველი ძირს დავარდნილი ბეწვი სიმბოლოა ცოდვებისგან გათავისუფლებისა.

შუამავალმა დალოცა ისინი, ვინც თმას შეიკრეჭს. (იხ. ბუჰარი, „ჰაჯ“ 127). ზოგიერთმა მეგობარმა შუამავალს სთხოვა ისინიც დაელოცა, ვინც თმებს დაიმოკლებდა. შუამავალმა ისინიც დალოცა. ამის შემდეგ ზოგმა თმა მთლიანად გადაიპარსა, ხოლო ზოგმა დაიმოკლა.

თმების შეკრეჭა ერთგვარი თავაზიანობისა და მოკრძალების გამოხატულებაა. რაც შეეხებათ ქალებს, ისინი თმის ბოლოებიდან მცირე ნაწილს იჭრიან, რაც აღნიშნული რიტუალის შესრულებისთვის სრულებით საკმარისია.

21. მონახულება და გამოსამშვიდობებელი ტავაფი

„როდესაც დაასრულებთ თქვენს ღვთისმსახურებანს (წესებს), გაიხსენეთ ალლაჰი ისე, როგორც თქვენს მამებს გაიხსენებდით ან უფრო მხურვალედ“. *(ბაყარა 2/200)*

წიგნის დასაწყისიდან მოყოლებული ჰაჯის რიტუალებს აღვწერთ, რომლებიც მრავალფეროვანი ქცევებისა და მოქმედებებისგან შედგება. ჰაჯის ბოლოს კი ქააბას მონახულება და გამოსამშვიდობებელი ტავაფი სრულდება. ცდუნებებზე, ამქვეყნიურ მისწრაფებებსა და ეშმაკზე გამარჯვებული მომლოცველი ღვთის წინაშე წარსდგება და ამ გამარჯვებას ახარებს. მომლოცველმა არაფატზე დგომისას განკითხვის დღე განასახიერა, შემდეგ მინაში წავიდა და ღვთს წინაშე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სიცოცხლეს, ქონებასა და მთელ ყველაფერს მისთვის გაწირავს და დარჩენილ ცხოვრებასაც ამ გადაწყვეტილებით იცხოვრებს. ახლაც ქააბას წინაშე მდგომი იმ პირობას განაახლებს, რომელიც ოდითგანვე ღმერთს მისცა.

მომლოცველი ჰაჯის შესრულებით უსაზღვროდ კმაყოფილია. მან შეასრულა ის ვალდებულება, რომელიც ღმერთმა უბრძანა. ის მთელი გულით მადლიერებას სწირავს ღმერთს და თან ევედრება. ამ უკანასკნელი ტავაფით ჰაჯის ღვთისმსახურება სრულდება.

მომლოცველი დღეების განმავლობაში მრავალი სახის ღვთისმსახურებას აღავლენდა. აქ გამოიხატებოდა მისი რწმენა, თაყვანისცემა, მორჩილება და ამ გამოსამშვიდობებელი ტავაფით მომლოცველი ღვთის წინაშე ბოლო ანგარიშს წარადგენს. მომლოცველმა ეშმაკი უკვე დაამარცხა, საკუთარი სურვილები მოთოკა, ცდუნებები დაიმორჩილა, ცოდვებისგან განიწმინდა, რწმენა განაახლა, გული ყოველგვარი მავნე მიდრეკილებებისგან გაწმინდა და ამ ყველაფრის დასადასტურებლად ღვთის წინაშე კიდევ ერთხელ წარსდგა. მისი ცნობიერება ღვთისმოსაობითაა განმსჭვალული და გამოსამშვიდობებელ ტავაფს ასე ასრულებს.

გამოსამშვიდობებელი ტავაფი იმ ფიცის, იმ პირობის მიმართ ერთგულად დარჩენის გამოხატულებაა, რომელიც

ადამიანმა ოდითგანვე ღმერთს მისცა. ის ამ ფიქრითა და განწყობით ემშვიდობება ქააბას და ხელახლა ხილვის სურვილით ცრემლები მოსდის. როგორც ყოველი მოკვდავის სიცოცხლე ერთ დღეს აუცილებლად დასრულდება, ისე ამ წმინდა გარემოში ყოფნის დასასრულიც მოსულია.

სამშობლოში დაბრუნების წინ ქააბასთან გამოსამშვიდობებლად ტავაფის შესრულებას „გამოსამშვიდობებელი ტავაფი“ ეწოდება. სახელწოდება შინაარსიდან გამომდინარეა. ყოველ გამომშვიდობებას დარდი ახლავს თან. ადამიანს განსაკუთრებით მასთან უჭირს განშორება, ვინც უყვარს. მომლოცველი რამოდენიმე დღის განმავლობაში „მწყალობელის სტუმარი“ იყო და ახლა უკვე ეს უაღრესად საპატიო მდგომარეობა სრულდებოდა. რამოდენიმე დღით ადრე მომლოცველის გული ქააბას ხილვის მოლოდინით ფეთქავდა, ახლა კი მასთან განშორების სევდა აქვს შემოწოლილი. თითქმის ყველა მომლოცველი ერთიდა იგივე განწყობითაა და ერთი იგივეზე დარდობს: ნეტა მეღირსება კიდევ ერთხელ ვიხილო ქააბა? ნეტა, ესოდენ წყალობის მომნიჭებელი, უზენაესი საიქიოშიც შემიწყალებს? სწორედ ასეთ მდგომარეობაში, მღელვარებასა და იმედს შორის მყოფი მომლოცველი ქააბას ემშვიდობება. მომლოცველი მორწმუნეობრივ ცხოვრებას აქ მიღებული გამოცდილების მიხედვით აგრძელებს. ამ დღეების განმავლობაში გული სრულად ქააბასთვის ჰქონდა მიძღვნილი და ეს განწყობა სამშობლოში მიაქვს.

ღვთისმოსაობით განმსჭვალული მომლოცველები, მართალია, ფიზიკურად ტოვებენ ქააბას, მაგრამ ყოველდღურად, ხუთი დროის ნამაზის დროს, ისინი გულითა და სულით მასთან არიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მომლოცველმა აქ მიღებული სულიერი მდგომარეობა არ დაკარგოს და მუდმივად შეინარჩუნოს.

ბ. ჰირა, გამოცხადება და ღვთიური გზავნილი

ჰირას გამოქვაბულის მონახულება, ან სინათლის მთაზე

ასვლა, სადაც ეს გამოქვაბული მდებარეობს, მომლოცველებისთვის სავალდებულო არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, მექაში მყოფი მომლოცველი სინათლის მთას შორიდან მაინც უყრებს და იცის, რომ ყურანის პირველი გზავნილი ამ ადგილას იქნა მოვლენილი.

სინათლის მთა მექადან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 5 კილომეტრში მდებარეობს. შუამავალი 35 წლის ასაკიდან ამ მთაზე სისტემატიურად ადიოდა და გამოქვაბულ ჰირაში ე. წ. მედიტაციას ეწეოდა. შუამავალი დღეების განმავლობაში რჩებოდა იქ და ღმერთზე, სამყაროზე და ჭეშმარიტებაზე ფიქრობდა. ერთ-ერთ ასეთი განმარტოებისას ანგელოზი გამოეცხადა და ალაყის სურას პირველი 5 აიათი გააცნო.

ისლამის სწავლულთა ნაწილი შუამავლის მიერ ჰირას გამოქვაბულში განმარტოებას მოსეს მიერ თურის მთაზე ასვლას ადარებენ და ასევე აღნიშნავენ, რომ რწმენის თვალსაზრისით „თეფექქურს“ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. შუამავალი ჭეშმარიტებას ეძებდა და ამის გამო განმარტოებისა და ფიქრისკენ მიილტვოდა. იმ პერიოდში მექას კერპთაყვანისმცემლები მართავდნენ. ის გაურბოდა იმდროინდელ ურწმუნო საზოგადოებას და საკუთარ თავში ჩაღმავებული ღმერთსა და სამყაროზე ფიქრობდა. შემდეგ მას გამოეცხადა ანგელოზი და ღვთიური გზავნილი გადასცა, რითიც შუამავალმა როგორც საკუთარი თავი, ისე სამყაროს ღმერთი გაიცნო. „წაიკითხე! წაიკითხე შენი გამჩენი ღმერთის სახელით“, - ასეთი იყო პირველი გზავნილი.

იმ დროინდელი მექა, რა თქმა უნდა, განსხვავებული იყო. დღეს მომლოცველს უფრო დიდ ხალხმრავლობაში უწევს ყოფნა. ამასთანავე, თანამედროვე ცხოვრება ისეა გადატვირთული, რომ ადამიანები განმარტოებისა და ფიქრის საშუალებას თითქმის ვერ პოულობენ. ადამიანები ვერც საკუთარ თავზე, ვერც გამჩენსა და სამყაროზე სიღრმისეულად ფიქრს ვერ ახერხებენ. ყოველდღიურად ცოტა დრო ნამაზს ეთმობა და ამის გარდა მორწმუნეები საკუთარი თავისა და ღმერთის გაცნობის მიზნით ფიქრის დროს ვერ პოულობენ. თანამედროვე ეპოქამ და მისმა დაჩქარებულმა ტემპმა ადამიანებს ფიქრის საშუალება შეუზღუდა. ამ პრობლემის მქონე ადამიანებისთვის ჰაჯზე წასვლა და იქ

ყოფნა ძალიან ხელსაყრელია. მექას მოლოცვა, რიტუალების შესრულება, ჰირას ნახვა და დაფიქრება, მორწმუნეთა სულიერი ამაღლებისთვის დიდად მნიშვნელოვანია. ჰირას გამოქვაბულშ მოვლინებულმა წიგნმა შუამავალის ცხოვრება შეცვალა. ამ წიგნმა ჩვენი ცხოვრებაც უნდა შეცვალოს და საბოლოოდ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანოს.

გ. სევრი და ჰიჯრა

... იგი ორთაგან ერთ-ერთი იყო, როცა გამოქვაბულში იყვნენ, უთხრა თავის მეგობარს : „ნუ სწუხხარ! უეჭველად, ალლაჰი ჩვენთანაა“. (იხ. თევბე 9/40)

სევრის გამოქვაბულის მონახულება მომლოცველის აუცილებელ მოვალეობებში არ შედის. სევრის მთა მექადან 5 კილომეტრის მოშორებით იემენის გზაზე მდებარეობს. როდესაც შუამავალმა გაიგო, რომ მექელებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, სახლიდან გავიდა და ებუ ბექირთან მივიდა. შუა დღე იყო. პაპანაქება სიცხე იდგა და ამ დროს ყველანი შუადღის ძილში იყვნენ. შუამავალმა ებუ ბექირს აუხსნა, ღვთიური ბრძანება მივიღე და მედინაში უნდა წავიდეთო. საჭირო სამზადისის შემდეგ გზას დაადგნენ და სევრას მთის მწვერვალზე ავიდნენ. სევრას მთა მედინას მიმართულებით არ იყო. აქ იმიტომ ამოვიდნენ, რომ მდევარი დაებნიათ.

ღვთის შუამავალმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველანაირი წინდახედულება გამოიჩინა და ყველაფერი წინასწარ გათვალა. თანამგზავრად ჰზ. ებუ ბექირი აირჩია და თან აქლემიც გამოართვა, რომელშიც შესაბამისი საფასური გადაუხადა. საგზალი და სასმელი წყალიც მომარაგებული ჰქონდათ. ასევე ჰყავდათ შიკრიკი, რომელსაც მექადან ამბები მოჰქონდა. ისინი სევრას მთაზე დაბანაკდნენ. მათი სამალავი სამი მხრიდან ღია, ნახევრად გამოქვაბულის ტიპის ადგილი იყო, სადაც გარეშე თვალისგან მოფარება შეიძლებოდა. მექელები სამი დღის განმავლობაში ეძებდნენ და ბოლოს სევრას მთის მწვერვალსაც მიადგნენ. ერთი შეხედვით მდევრებს აუცილებლად უნდა ენახათ ისინი, მაგრამ ღმერთმა ისინი დაიფარა. ეს მომენტი ყურანში შემდეგნაირადაა მოთხრობილი:

„და თუ არ შეეწევით მას, ალლაჰი შეეწია უკვე, როცა გამოაძევეს იგი მათ, რომელთაც უარყვეს, იგი ორთაგან ერთ-ერთი იყო, როცა გამოქვაბულში იყვნენ, უთხრა თავის მეგობარს : „ნუ სწუხხარ! უეჭველად, ალლაჰი ჩვენთანაა“. მაშინ ალლაჰმა გარდმოუვლინა სიმშვიდე და შეეწია მეომრებით , რომლებიც უჩინარნი იყვნენ თქვენთვის. ალლაჰმა ურწმუნოთა სიტყვა დაამდაბლა , რამეთუ მხოლოდ ალლაჰის სიტყვაა უზენაესი. და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!“ (თევბე 9/40)

აიათიდან ჩანს, რომ ებუ ბექირს შეეშინდა, მექელმა ურწმუნოებმა შუამავალს არაფერი დაუშავონო, მაგრამ შუამავალმა ის დაამშვიდა და უთხრა, რომ ღმერთი მათთან იყო. მართალია შუამავალმა და მისმა მეგობარმა ყველანაირი წინდახედულება გამოიჩინეს, მაგრამ მდევრებმა ისინი მაინც მიაგნეს. ღმერთმა დაიფარა ისინი და მდევრებისგან გადაარჩინა. მდევრები უკან გაბრუნდნენ, ხოლო შუამავალმა და მისმა ერთგულმა მეგობარმა ეს წმინდა მოგზაურეობა გააგრძელეს.

სევრის გამოქვაბულის ამბის სწორად აღსაქმელად შუამავალს კარგად უნდა ვიცნობდეთ. ის ყოველმხრივ საუკეთესო მაგალითი იყო. ეს მოვლენაც მის სამაგალითოებას ადასტურებს. ამ მოგზაურობისა და საფრთხის პირობებში მან ყველანაირი პრევენციული ღონისძიებები გაატარა და ბოლოს შედეგს ღმერთისგან დაელოდა. დიახ, ის გვირჩევს და გვიჩვენებს, რომ რაც შეგვეძლება ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და შედეგს ღმერთისგან დაველოდოთ. მან ხომ იცოდა ღმერთი მას დაიცავდა. ამის მიუხედავად აქლემზე არ ამხედრდა და პირდაპირ არ წავიდა. ის სხვა გზით წავიდა, სამი დღე სევრას გამოქვაბულში დაჰყო და გზა შემდეგ გააგრძელა. ღმერთ მორწმუნეებს ისედაც ეხმარება. ეს მისი უცვლელი კანონია, მაგრამ სევრას მთის მოვლენა ბევრ რამეს გვასწავლის. ამრიგად, მორწმუნემ ჯერ უნდა იზრუნოს, იბრძოლო, შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი გააკეთოს და შედეგს ღმერთისგან დაელოდოს.

ჰაჯის შესრულება

„ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ!
ლებბეიქე ლა შერიქე ლებბეიქ!
ინნელ ჰამდე ვენნიღმეთე ლექე ველ მულქ,
ლაა შერიქე ლექ!“

„ჰაჯთან დაკავშირებული მოვალეობები ჩემგან შეისწავლეთ“. (ნესაი, „მენასიქ“ 220)

ჰაჯის შესრულების დრო, „ჰაჯის თვეებად“ წოდებული პერიოდია, რომელიც ჰიჯრის წეთაღრიცხვის მიხედვით

შევვალისა და ზილყადეს თვეები და ზილ ჰიჯჯეს თვის პირველი ათი დღეა.

რაც შეეხება უმრეს, რომელიც სტუმრობას ნიშნავს, კონკრეტულ დროზე არ არის დამოკიდებული და წლის ნებისმიერ დროს სრულდება. კერძოდ, მორწმუნე შედის იჰრამში, ასრულებს ქააბას ტავაფს, საფასა და მერვეს გორაკებს შორის საის, შემდეგ თმებს იკრეჭეს და გამოდის იჰრამიდან.

ჰაჯის დაწყება შევვალისა და ზილყადეს თვეებშიც შეიძლება, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, როდესაც გადაადგილების საშუალებები მრავალგვარია და თან ძალიან სწრაფი, ჰაჯს ზოგადად ზილ ჰიჯჯეს თვის პირველ ათ დღეში ასრულებენ. ჰაჯი სამის ახისაა: იფრადი, თემეთთუ და ქირანი.

ამათგან იფრადი არის მოლოცვის ფორმა, რომელიც უმრეს გარეშე სრულდება. როდესაც მომლოცველი ჰაჯის თვეებად წოდებულ პერიოდში, მანამდე უმრეს შესრულების გარეშე, იჰრამში შედის და მხოლოდ ჰაჯს ასრულებს, ეს „იფრად“ ჰაჯია. რაც შეეხება „თემეთთუ“ ჰაჯს, მომლოცველი ჰაჯის პერიოდში ჯერ უმრეს ასრულებს, შემდეგ იჰრამიდან გამოდის, ხელახლა იჰრამში შედის და ჰაჯს ასრულებს. „ქირანი“ ჰაჯის შემთხვევაში მომლოცველი ერთი იჰრამით ჰაჯსაც ასრულებს და უმრესაც.

ჰაჯის შესრულების დრო, „ჰაჯის თვეებად“ წოდებული პერიოდია, რომელიც ჰიჯრის წეთაღრიცხვის მიხედვით შევვალისა და ზილყადეს თვეები და ზილ ჰიჯჯეს თვის პირველი ათი დღეა. რაც შეეხება უმრეს, რომელიც სტუმრობას ნიშნავს, კონკრეტულ დროზე არ არის დამოკიდებული და წლის ნებისმიერ დროს სრულდება. კერძოდ, მორწმუნე შედის იჰრამში, ასრულებს ქააბას ტავაფს, საფასა და მერვეს გორაკებს შორის საის, შემდეგ თმებს იკრეჭეს და გამოდის იჰრამიდან.

ა. თემეთთუ ჰაჯის შესრულება

აღნიშნული ჰაჯის დროს მომლოცველები პირდაპირ მექაში მიფრინავენ, ხოლო მანამდე კი, აეროპორტშივე იჰრამში შედიან. ის მომლოცველები, რომლებიც ჯერ მედინაში მიდიან, იჰრამში შესვლას არ საჭიროებენ. ისინი მედინადან მექასკენ რომ გაემგზავრებიან მედინადან დაახლოებით ათი კილომეტრის მანძილზე მყოფ სპეციალურ ადგილზე შედიან იჰრამში.

1. იჰრამი

იჰრამში შესვლის წინ ზოგადი ჰიგიენული პროცედურები ტარდება, როგორიცაა ფრჩხულების მოჭრა, თმისა და წვერის მოწესრიგება, დაბანა, სასიამოვნო სუნამოების პკურება, აბდესთი და სხვა. ამ შემთხვევაში დაბანას ჰიგიენური სისუფთავის მიზანი გააჩნია, ამიტომ ქალებს, რომლებსაც „სპეციფიკური პერიოდი“ აქვთ, შეუძლიათ დაიბანონ.

მამაკაცები სრუულად შიშვლდებიან და მხოლო ორი სპეციალური ნაჭრით იმოსებიან. ამ ნაჭრებს იზარი და რიდა ეწოდება. იზარი და რიდა თეთრი ფერის და სუფთა უნდა

იყოს. მამაკაცებს თავზე არაფერი ახურავთ და ასევე არც წინდები და ფეხსაცმელები უნდა ეცვათ. ისინი ფეხზე სპეციალურ ჩუსტებს იცვამენ. ქალბატონები ჩვეული ტანისამოსით ასრულებენ ჰაჯს და ასევე შეუძლიათ წინდების, ფეხსაცმელებისა და ხელთათმანების გამოყენება.

იჰრამში შესვლის მომენტში თუ „მექრუჰი დრო“ არ დაემთქვა, მომლოცველები ორ მუხლ იჰრამის ნამაზს ლოცულობენ. კარგი იქნება თუ ამ ნამაზის პირველ მუხლზე ზემმისურედ სურა ქაფირუნს, ხოლო მეორე მუხლზე იჰლასს წაიკითხავენ. ნამაზის შემდეგ მომლოცველები ასრულებენ განზრახვას და თელბიეს თანხლებით იჰრამში შედიან.

ა- განზრახვა

განზრახვა ეს არის მომლოცველის მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომ მან ჰაჯი უნდა შეასრულოს. თუ მომლოცველი „თემეთთუ“ ჰაჯს ასრულებს, ის თავდაპირველად უმრეს განზრახვას აკეთებს. განზრახვას ზოგადად ასე წარმოთქვამენ: „ღმერთო! შენი კმაყოფილებისთვის უმრეს შესრულება მსურს. გამიადვილე და მიიღე შენს წიაღ“. განზრახვისთვის შინაგანი გადაწყვეტილებაც საკმარისია, მაგრამ მისი წარმოთქმა უკეთესი იქნება. განზრახვის შემდეგ მომლოცველები თელბიეს წარმოთქვამენ.

ბ- თელბიე

„ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ!

ლებბეიქე ლა შერიქე ლებბეიქ!

ინნელ ჰამდე ვენნიღმეთე ლექე ველ მულქ,
ლაა შერიქე ლექ!“

თელბიეს შინაარსი შემდეგია, რომელსაც მომლოცველები მთელი გულწრფელობით წარმოთქვამენ:

„მიბრძანე ღმერთო, მიბრძანე!

მიბრძანე ღმერთო! შენ არ გყავს თანაზიარი!

მიბრძანე ღმერთო! უეჭველად შენ ხარ განდიდების ღირსი!

შენია წყალობა, შენია მეუფება. შენ არ გყავს თანაზიარი!“

გ. იჰრამის აკრძალულები

იჰრამში შესვლის მომენტიდან ჰაჯის დასრულებამდე მომლოცველებს გარკვეული შეზღუდვები უწესდებათ, რომლებსაც იჰრამის შეზღუდვები ეწოდება.

გარდა ყურანში მოცემული ამ ძირითადი აკრძალვებისა, ჰადისებში ასევე მოცემულია იჰრამთან დაკავშირებული სხვა აკრძალვებიც. მამაკაცებს მხოლოდ თეთრი მატერიის შემოსახვევი და ფეხზე ჩუსტები უნდა ეცვათ, სხვა რაიმის ჩაცმა მიუღებელია. ასევე აკრძალულია ცოცხალ არსებებზე ზიანის მიყენება, მათ შორის მცენარეებზეც. აკრძალულია ნადირობა. ჰარემის ტერიტორიაზე ასევე კატეგორიულად აკრძალულია სისხლის დაღვრა; დაჭრა, მკვლელობა და სხვა. აკრძალულია მოპარვა ან ნახული ნივთის მითვისება. ნივთის ნახვის შემთვევაში შესაბამისი მომსახურების ოფისს უნდა მივმართოთ და ნანახი ჩავაბაროთ.

იჰრამთან დაკავშირებული შეზღუდვები არამარტო ადამიანებზე, არამედ სულიერ და უსილო, ყველაფერზე ვრცელდება. ყველა ცხოველი, მცენარე და საერთოდ ღმერთის გაჩენილი ბუნება სრულად დაცულია. მომლოცველი ვალდებულია ყველა და ყველაფერს გაუფრთხილდეს და არცერთ სულიერ არსებას და არც უსულო საგნებს რაიმე ზიანი არ მიაყენოს. ჰარემის ტერიტორიაზე ბალახისა და ყვავილის მოწყვეტაც არ შეიძლება. ჩიტების შეშინება და დაფრთხობას აკრძალულია. ასევე აკრძალულია გაბრაზება, რისხვის გამოხატვა, მუქარა, უხეში ლაპარაკი, დაცინვა და ა.შ. მომლოცველები მომღიმარი სახით, ტკბილი სიტყვით ურთიერთობენ. ეს ყველაფერი ჰაჯის ნაწილია.

აღნიშნული შეზღუდვების უგულებელყოფა და ჰაჯის წესების დარღვევა შესაბამის სასჯელს იმსახურებს. მსუბუქი სასჯელი შეიძლება მოწყალების გაღებით გამოხატოს, ხოლო მძიმე სასჯელის შემთხვევაში მომლოცველი ჰაჯიდან მოიხსნას. მომლოცველებს ამ წესების შესწავლა შესაბამისი ლიტერატურიდან შეუძლიათ და ასევე შეუძლიათ მომართონ ჰაჯობაზე დასაქმებულ მაეგულირებელ პიროვნებებს.

დ- იჰრამში ყოფნისას ნებადართული ქცევები

იჰრამში მყოფს შეუძლია დაიბანოს, გამოიყენოს უსუნო

საპონი, გაიხეხოს კბილები, ამოიღოს კბილი, მოიშოროს მოტეხილი ფრჩხილი ან ისეთი ბეწვი, რომელიც ზიანს აყენებს. ასევე შეუძლია სისხლის ტესტის გაკეთება, ნემსის გაკეთება, ჭრილობაზე სახვევის დადება. ასევე ნებადართულია მაჯის საათის, ბეჭდისა და სამაჯურისა და ქამრის ტარება. შეუძლია ასევე ატაროს ჩანთა და ტანსაცმელი, იმ პირობით თუ არ ჩაიცვამს.

2. წმინდა გარემოში შესვლა

იჰარმში შესული მომლოცველები თელბიეს, თექბირებსა და სხვა და სხვა ლოცვების თანხლებით გზას აგრძელებენ. მექას მიღწეულები ღმერთს მადლობას სწირავენ, რათა ესოდენ წყალობა ერგოთ.

მექაში სასტუმროში დაბინავების შემდეგ, კონკრეტული ჯგუფის პროგრამის მიხედვით, ქააბას მოსანახულებლად მიდიან. ტავაფის დაწყებამდე ისევ თელბიეს, თექბირებსა და ლოცვებს აღავლენენ. ამის შემდეგ უმრეს ტავაფი სრულდება.

3. ტავაფი

ტავაფის რიტუალი ქააბაზე შვიდჯერ შემოვლას გულისხმობს. მომლოცველები ტავაფს ჰაჯერი ესვედიდან იწყებენ და ქააბას შვიდჯერ გარს უვლიან. ტავაფის დაწყებამდე მამაკაცები იზდიბას ასრულებენ, რაც, მათი მხრიდან, მარჯვენა მხარის მოშიშვლებას ნიშნავს. ეს ეხება ტავაფს, რომლის დროსაც საი უნდა შესრულდეს. ტავაფის დასრულებისთანავე მამაკაცები მხრებს ისევ იფარავენ.

თემეთთუ ჰაჯის შემსრულებელი მომლოცველი ჯერ უმრეს ტავაფს ასრულებს.ჰაჯერი ესვედს რომ გაუსწორდება შესაბამისი განზრახვით ტავაფს იწყებს.

ტავაფის დროს ქააბა მომლოცველების მარცხვნივ მდებარებს. ამასაც სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ამგვარად შესრულებული ტავაფის დროს ადამიანის გული ქააბასკენ

უფრო ახლოსაა. ამ მიმართულებით ქააბასა და ადამიანის გულს შორის საყურადღებო კავშირია. შესაბამისად ტავაფის დროს ადამიანის გული ქააბას მხარესაა. აქვე არის მინიშნება, რომ ტავაფი გულით უნდა შესრულდეს.

ქააბას გარშემო მორწმუნეობის სიტკბოება იგრძნობა. მომლოცველს ღმერთთან სიახლოვის საოცარი განცდა ეუფლება. სხვა ადგილას ესოდენ მძაფრი განცდების მიღება ძალიან რთულია. აქ მყოფი მორწმუნე თითქოს საკუთარ სახლში გრძნობს თავს, რადგან მთელი ცხოვრება ამ მიმართულებით ლოცულობდა და ეს ყველაფერი მისთვის ძალიან ნაცნობი და შინაურია. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ისეთი ხალხმრავლობა და ჭედვა არ იყო, როგორიც დღეს არის, შუამავალი ადამანებს მაინც ურჩევდა, რომ ხალხმრავლობის შემთხვევაში ერთმანეთი არ შეეწუხებინათ და ჰაჯერულ ესვედს შორიდან მისალმებოდნენ. დღეს კი მილიონამდე მომლოცველი იყრის თავს და წარმოუდგენელი ხალხმრავლობა იქმნება. ასეთ დროს იქ მიახლოების გამო თანამორწმუნე ძმების შეწუხება და მასიური ჭყლეტის შექმნა მიუღებელია. მითუმეტეს, სუნნეთი მასზე მისალმებაა და არა მასზე კოცნა. ჰაჯერი ესვედზე კოცნის გამო მორწმუნე ძმების ბიძგვა, წაქცევა და ტკივილის მიყენება მიუღებელია. ამ სიტუაციაში საჭიროა შუამავლის რჩევის გათვალისწინება. თუ ხალხმრავლობაა ჰაჯერი ესვედზე შორიდან მისალმებაც საკმარისია.

ტავაფის დროს ხმამაღლა, ყვირილით ვედრება მიღებული არ არის. ასეთ შემთხვევაში სხვა მომლოცველები შეწუხდებიან. მნიშვნელოვანი ისაა, რომ მორწმუნე თავისით, გულწრფელად ლოცულობდეს. ჩვენ ხომ ღმერთს ვევედრებით, ის კი ჩვენთან ძალიან ახლოა და ყველაფერი ესმის.

როდესაც ტავაფის დროს მომლოცველები იემენის კუთხს მიაღწევენ, კარგი იქნება, თუ აქას მიესალმებიან. ჰაჯერი ესვედიდადნ იემენის კუთხემდე მორწმუნეები ისევ და ისევ ვედრებას აღავლენენ.

ჰაჯერი ესვედიდან დაწყებული ტავაფის პირველი წრე, 360 გრადუსით ბრუნდება და ისევ ჰაჯერი ესვედთან მთავრდება. მომლოცველები ისევ ესალმებიან ჰაჯერი ესვედს და შეუჩერებლად მეორე წრეზე მიდიან. ყველა დანარჩენი შე-

მოვლაც იგივენაირად სრულდება. ტავაფის დასრულების შემდეგ მომლოცველები იქვე, „მაყამი იბრაჰიმ“-ად წოდებული ადგილის სიახლოვეს ორ მუხლ ნამაზს ლოცულობენ. თუ ადგილი არ არის, მომლოცველს შეუძლია სადაც თავისუფალ ადგილს ნახავს იქ ილოცოს. თუ აკრძალული დრო არ ემთხვევა, ტავაფის ნამაზი ტავაფის შემდეგ, მაშინვე რომ შესრულდეს უმჯობესია.

ტავაფი შეუჩერებლად უნდა შესრულდეს. გამონაკლისი მხოლოდ ის შემთხვევებია, როდესაც ტავაფისთვის შეუსაბამო მდგომარეობა შეიქმნება. ტავაფის ნამაზის ლოცვის შემდეგ მომლოცველები ვედრებას აღავლენენ და ზემზემის წყალს სვამენ.

4. საი

მომლოცველი, რომელიც საის შესრულებას აპირებს საფას გორაკისკენ მიდის. „ღმერთო! შენი კმაყოფილების მოპოვებისათვის უმრეს საის შესრულება მსურს. გამიოლე და მიიღე შენს წიაღ“, -წარმოთქვამს და ქააბასკენ ბრუნდება. იქ ლოცვა-ვედრებას აღავლენს და მერვეს გორაკისკენ მიდის.

საის შესრულებისას მამაკაცები მწვანედ განათებულ ბოძებს შორის აჩქარებული ნაბიჯით, ძუნძულით მიდიან. ამ ბოძებს შორის ყოველი გავლა გამოვლისას შემდეგ ვედრებას აღავლენენ: „ღმერთო! მოგვიტევე ცოდვები. შეგვიწყალე. შენ ჩვენი ყველა ის ნაკლოვანებები იცი, რაც ვიცით და რაც არ ვიცით. მოგვიტევე ისინი. შენ ხარ ყოვლისშემძლე, ყოვლად მოწყალე!“

როდესაც მომლოცველი მერვეს გორაკს მიაღწევს პირველი წრე დასრულდება. მომლოცველი აქაც ქააბასკენ პირისახით დგება და ლოცვა-ვედრებას აღავლენს. შემდეგ მერვედან საფასკენ მიდის. საფას გორაკს რომ მიაღწევს მეორე წრეც სრულდება. დანარჩენი წრეებიც იგივენაირად სრულდება. მომლოცველმა სულ შვიდი წრე უნდა შეასრულოს.

5. თმების შეკრეჭა და იჰრამიდან გასვლა

იჰრამიდან გასვლა თმების შეკრეჭის გზით ხდება. მამაკაცები ან მთლიანად იპარსავენ თმებს, ან იმოკლებენ, ხოლო მანდილოსნები თმის ბოლოებიდან მცირე ნაწილს იჭრიან. ამ რიტუალის შემდეგ უმრეს იჰრამიდან გასვლა ხდება.

თემეთთუ ჰაჯის მომლოცველები ჰაჯისთვის ხელახლა იჰრამში უნდა შევიდნენ. მანამდე კი იჰრამთან დაკავშირებული შეზღუდვები მოხსნილი აქვთ. ქირანი და იფრადი ჰაჯის შემსრულებელები კი იჰრამში რჩებიან.

თემეთთუ ჰაჯის შემსრულებლები უმრეს დამთავრების შემდეგ ჰაჯისთვის იჰრამში შესვლამდე მექაში რჩებიან. ამ პერიოდში მომლოცველები ცდილობენ ყოველდღური ხუთი დროის ნამაზი და ნაფილე ნამაზები „ჰარემი შერიფ“-ში ილოცონ. ასვე ცდილობენ ხშირად იკითხონ ყურანი. შორიდან მოსულები ნაფილე ნამაზის მაგივრად ნაფილე ტავაფს ასრულებენ. მომლოცველები ცდილობენ ეს მნიშვნელოვანი დრო შინაარსიანად გამოიყენონ.

6. იჰრამში შესვლა და არაფატზე ასვლა

თემეთთუ ჰაჯის შესრულების მსურველები ძირითადად ზილ ჰიჯჯეს მთვარის მერვე დღეს იჰრამში შედიან. შესაბამისად, ამ დღეს ჯერ ყველა საჭირო სამზადისს გაივლიან და ორ მუხლ ნამაზს ლოცულობენ. შემდეგ წარმოთქვამენ განზრახვას, თელბიეს და იჰრამში შედიან. ამრიგად, მათთვის ისევ იჰრამის შეზღუდვები წესდება.

ჰაჯისთვის იჰრამში შესვლის შემდეგ მომლოცველები ნაფილე ტავაფს შემდეგ კი საის ასრულებენ. რადგანაც ბოლოს საი უნდა შესრულდეს, მომლოცველები ამ ნაფილე ტავაფის დროს იზდიბასა და რემელსაც ასრულებენ, ანუ მარჯვენა მხარი მოშიშვლებული აქვთ და სწრაფად დადიან. ჰაჯის საის ვინც ამ ფორმით შეასრულებს, ბოლოს „ზიარეთ ტავაფის“ შემდეგ საის აღარ ასრულებენ. სუნნეთის მიხედვით კი ჰაჯის საი „ზიარეთ ტავაფის“ შემდეგ, ისრამის გარეშე სრულდება.

ამრიგად, იჰრამში შესვლისა და, სურვილის შემთხვევაში ჰაჯის საის შესრულების შემდეგ, მომლოცველები არაფატზე მიდიან.

სუნას მიხედვით ზილჰიჯჯეს მერვე დღეს, მომლოცველები დილის ნამაზს მექაში ლოცულობენ და მინაში მიდიან, სადაც არაფა დღეს ატარებენ. ამრიგად, არაფატზე ასვლამდე ხუთი დროის ნამაზი მინაში სრულდება. მეორე დღეს მომლოცველები დილის ნამაზს მინაში ლოცულობენ და არაფატისკენ მიდიან. დღევანდელ პერიოდში ჰაჯის დროს დიდი ხალხმრავლობაა, ამიტომ ზოგიერთ ორგანიზაცია ჰაჯის რიტუალების დაგეგმვისას თანმიმდევრობას ცვლის და ზილ ჰიჯჯეს მერვე დღეს არაფატზე ადიან და არაფა დღეს არაფატზე რჩებიან.

7. არაფატი

არფატი არის ადგილი, სადაც ნებისმიერი განსხვავებულობა აკრძალულია და ყველა იქ მყოფი თანასწორია. აქ ადამიანის ყველა უფლება დაცულია. აქ ყოფნა არის გაცხადება იმისა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და მათი სიცოცხლე, საკუთრების უფლება, რწმენის თავისუფლება და სხვა ძირითადი უფლებები დაცულია.

მომლოცველი შუადღის ნამაზის დრომდე კარავშია და ამ ძვირფას დროს ღვთისმსახურებისთვის იყენებს. შუადღის ნამაზის მოახლოებისთანავე კარვიდან გამოდის და ნამაზისთვის მზადებას იწყებს.

ეზნის (ლოცვისკენ მოწოდება) კითხვის შემდეგ მომლოცველები, სუნნთეთის შესაბამისად, შუადღისა და სამხრობის ნამაზებს ერთად ლოცულობენ.

მლოცველები ჯერ შუადღის პირველ სუნნეთს ლოცულობენ, შემდეგ ყამეთი სრულდება და შუადღის ნამაზის ოთხ მუხლს ლოცულობენ, სელამის შემდეგ თეშრიყ თექბირებს კითხულობენ, ხელახლა ყამეთს ასრულებენ და სამხრობის ნამაზის ფარზს ლოცულობენ. სალმის შემდეგ ისევ თეშრიყ თექბირები სრულდება. ამრიგად, შუადღისა და სამხრობის

ნამაზები ერთი ეზნითა და ორი ყამეთით ერთ დროს სრულდება. ამ ორ ნამაზს შორის სხვა ნამაზის ლოცვა არ შეიძლება, ამიტომ შუადღის ნამაზის ბოლო სუნნეთი და სამხრობის ნამაზის სუნნეთი აღარ ილოცება.

ნამაზის შემდეგ ჰაჯის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა, „არაფატზე დგომა“ სრულდება. აღნიშნული რიტუალის შესასრულებლად კონკრეტულ დროს იჰრამში მყოფი მომლოცველის არაფატის ტერიტორიაზე ყოფნაა საჭირო. არაფატზე ყოფნის დრო არაფა დღეს, შუადღისას იწყება და ბაირამის პირველი დღის გამთენიისას მთავრდება. ამ დროის მონაკვეთში იქ ყოფნა აღნიშნული ფარზის შესრულებას ნიშნავს.

ნამაზის შემდეგ მომლოცველები ფეხზე დგებიან და პირისახით ქააბასკენ ვედრებას აღავლენენ. არაფატზე ვედრების ასე ფეხზე დგომით შესრულება მუსთეჰაბია. ვაქფეს პროცესში მრავალგზის მეორდება თელბიე, თექბირი, ღვთის სადიდებლები, ვედრება, მონანიება და სხვა. აქ მნიშვნელოვანია ყველამ გულწრფელად შეევედროს. საერთოდ კი არაფატის ვედრება ცალკე აღევლინება და ყველა ამ ვედრებას მიყვება. მომლოცველები გარკვეული დროით არაფატზე რჩებიან და მრავალგზის ვედრებას აღავლენენ. ისინი ცდილობენ აქ ყოფნის დრო ღვთისმსახურებაში გამოიყენონ.

მზის ჩასვლასთან ერთად მომლოცველები არაფატიდან მუზდელიფისკენ მიდიან. გზად ისევ და ისევ ლოცვა-ვედრებას აღავლენენ. მუზდელიფეში საღამოსა და ღამის ნამაზები ერთად სრულდება.

8. მუზდელიფე

ღამის ნამაზის დროის მოსვლისთანავე, ეზნის კითხვის შემდეგ ყამეთი სრულდება და მომლოცველები ჯერ საღამოს ნამაზს ლოცულობენ, თეშრიყ ექბირებს ასრულებენ და შემდეგ ეზნისა და ყამეთის გარეშე ღამის ნამაზს ლოცულობენ. მისალმების შემდეგ ისევ თეშრიყ თექბირები სრულდება. ამრიგად, ორივე ნამაზის ფარზი ერთი ეზნითა

და ერთი ყამეთით სრულდება. ამის შემდეგ ღამის ნამაზის ბოლო სუნნეთის ლოცვა შეიძლება, შემდეგ კი ვითრის ნამაზი სრულდება.

ამის შემდეგ, სანამ ვაქფეს დრო მოვიდოდეს, მომლოცველებს შეუძლიათ დაისვენონ, ან ისევ და ისევ ღვთისმსახურებით დაკავდნენ. ასევე, ამ პერიდოში მომლოცველები ეშმაკის სიმბოლურად ჩაქოლვისთვის ქვებს იმარაგებენ. ქვები თხილზე პატარა ზომის უნდა იყოს. ქვების აქ მოგროვება აუცილებელი პირობა არ გახლავთ, მათი შეგროვება სხვაგანაც შეიძლება.

მუზდელიფეში ვაქფე შუაღამიდან დილამდე გრძელდება. შუაღამიდან დილამდე აქ მცირე დროითაც ყოფნა აღნიშნული რიტუალის შესრულებისთვის საკმარისია. სუნნეთის მიხედვით ამ რიტუალს განთიადის დადგომიდან, დილის ნამაზის ლოცვის შემდეგ დრომდე ასრულებენ. თუ ხალხმრავლობაა ვაქფეს შესრულება შუაღამის შემდეგ დილამდე ნებისმიერ დროს არის რეკომენდირებული.

მომლოცველები მუზდელიფედან მინასკენ მიემართებიან. გზად ისევ და ისევ ლოცვა-ვედრებას აღავლენენ.

9. ეშმაკის ჩაქოლვა

მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის დღეებში მომლოცველები მინაში მდებარე „დიდ, საშუალო და პატარა ეშმაკებს“ ქვებს ესვრიან და ასეთნაირად მათი სიმბოლური ჩაქოლვის რიტუალს ასრულებენ. ქვების სროლას თავისი წესები გააჩნია.

ბაირამის პირველ დღეს მომლოცველები ყველაზე დიდ „ჯემრეს“ 7 ქვას ესვრიან, ხოლო მეორე და მესმე დღეს სამივე ჯემრეს 7-7 ქვას ესვრიან. ჯამში მათ (3X7=21, 21X3=63, 63+7=70) 70 ქვის სროლა უწევთ. თუ მომლოცველი ბაირამის მეოთხე დღეს მინაში აღარ იმყოფება, ქვების სროლის რიტუალის ჩატარება ამ დღეს აღარ ევალება. მომლოცველები ძირითადად ბაირამის მეოთხე დღეს მინაში აღარ იმყოფებიან.

ქვის სროლისას მომლოცველები წარმოთქვამენ ლოცვას:

„ბისმილლაჰ, ალლაჰუ ექბერ რაღმენ ლიშშეითანი ვე ჰიზ-ბიჰ“ (ღმერთის სახელით, ღმერთი დიადია, მიუხედავად ეშმაკისა და მისი მომხრეებისა). მომლოცველები თითოეულ ქვას სათითაოდ ისვრიან.

ბაირამის პირველ დღეს მომლოცველები „დიდ ჯემრეს“ 7 ქვას ესვრიან. აღნიშნული რიტუალი ბაირამის მეორე დღეს, გამთენიისას სრულდება.

ბაირამის მეორე დღეს მომლოცველები პატარა ჯემრედან დაწყებული თანმიმდევრობით თითოეულ ჯემრეს 7-7 ქვას ესვრიან. მესამე დღეს კი ეს რიტუალი შუადღისას იწყება და გამთენიისას მთავრდება.

ბაირამის მეოთხე დღეს ის მომლოცველები, რომლებიც მინადან არ წასულან, თითოეულ ჯემრეს ისევ 7-7 ქვას ესვრიან. რიტუალის შესასრულებლად დრო დილიდან მზის ჩასვლამდე გრძელდება. გათენებამდე წასულებს კი ეს უკანასკნელი აღარ ეხებათ.

10. ჰაჯის შესაწირი

თემეთთუ და ქირანი ჰაჯის შემსრულებელ მომლოცველებს მადლიერების მსხვერპლის შეწირვა ევალებათ. იფრადი ჰაჯის მომლოცველების კი მსხვერპლის შეწირვა არ ევალებათ. სუნნათის მიხედვით მსხვერპლის შეწირვა აქაბეს ჯემრეზე ქვების სროლის შემდეგ ხდება, მაგრამ საჭიროებისა და სიტუაციიდან გამომდინარე ქვების სროლამდე შეწირვაც მისაღებია.

ჰაჯის მსხვერპლის შეწირვა ჰარემის ტერიტორიაზე, ბაირამის პირველი დღის დილიდან შეიძლება. მომლოცველს შეუძლია როგორც თავად შესწიროს მსხვერპლი, ისე სხვას დააკვლევინოს. შესაბამისი ორგანიზაცია ამ პროცედურას აგვარებს და მომლოცველების მხრიდან სათანადო თანხის გადახდის შემთხვევაში მსხვერპლის შეწირვა ხდება. ჰაჯის შესაწირის ხორცი შეიძლება ყველამ მიირთვას, მათ შორის იმან, ვინც შეწირა.

11. თმების შეკრეჭა და იჰრამიდან გამოსვლა

მომლოცველები თმებს ან სრულად იპარსავენ ან იმოკლებენ და ამ გზით იჰრამიდან გამოდიან. ამრიგად, მამაკაცები შესაბამისი დროის მოსვლისთანავე თმებს ან მთლიანად იპარსავენ ან იმოკლებენ, ხოლო ქალბატონები თმის ბოლოებიდან მცირე ნაწილს იჭრიან. ამ გზით მომლოცველების იჰრამში ყოფნა სრულდება და იჰრამით დაწესებული შეზღუდვები იხსნება.

სუნნეთის მიხედვით თმების შეკრეჭისა და ამ გზით იჰრამიდან გამოსვლის დრო ბაირამის პირველ დღეს, მსხვერპლის შეწირვის შემდეგაა. მომლოცველები ბაირამის პირველ დღეს ჯერ აქაბეს ჯემრეს ქვებს ესვრიან, შემდეგ მსხვერპლს სწირავენ, შემდეგ კი იჰრამიდან გამოდიან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ პირობებში მილიონობით ადამიანი ამ შეზღუდულ დროში აქაბეს ჯემრეს ქვებს ვერ ესვრის და ვერც იმავდროულად ამდენ შესაწირს დაკლავს, ამიტომ შესაძლებელია მომლოცველმა ქვების სროლის რიტუალისა და მსხვერპლის შეწირვის გარეშეც გამოვიდეს იჰრამიდან.

12. ზიარეთ ტავაფი

ჰაჯის ერთ-ერთი პირობა ზიარეთ ტავაფია. მომლოცველები ამ რიტუალს იჰრამიდან გასვლის შემდეგ ასრულებენ. ტავაფის დრო ბაირამის პირველ დღეს, შუაღამიდან იწყება. ზიარეთ ტავაფი იჰრამიდან გასვლის შემდეგ სრულდება. ასევე შესაძლებელია იჰრამიდან გაუსვლელადაც შესრულდეს. ზიარეთ ტავაფი, სუნნეთის მიხედვით, ბაირამის პირველი სამი დღის განმავლობაში უნდა შესრულდეს, მაგრამ მისი შესრულება შემდეგ დღეებშიც შეიძლება. განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში დიდი ხალხმრავლობის გამო, ამ რიტუალის სხვა დღეებში შესრულება დასაშვებია.

ზიარეთ ტავაფის შემდეგ იჰრამიდან გასვლის მეორე საფეხურიც გავლილია, ამიტომ მომლოცველებს გარკვეული შეზღუდვები ეხსნებათ.

ის მომლოცველი მანდილოსნები, რომლებსაც კონკრეტულ დღეებში „განსაკუთრებული პერიოდი“ აქვთ, უნდა დაელოდონ და ზიარეთ ტავაფი ამ პერიოდის დასრულების შემდეგ შეასრულონ.

ის მომლოცველები, რომლებსაც არაფატზე ასვლამდე საი არ შეუსრულებიათ, ზიარეთ ტავაფის შემდეგ შეასრულებენ და ტავაფის დროს იზდიბასა და რემელსაც გაითვალისწინებენ.

საი ჰაჯის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მექაში მყოფი მომლოცველები ცდილობენ ხუთი დროის ნამაზი ჰარემი შერიფში ილოცონ და ეს დრო შინაარსიანად გამოიყენონ. ისინი ცდილობენ ხშირად შეასრულონ ნაფილე ტავაფი.

13. გამოსამშვიდობებელი ტავაფი

მიქათის საზღვრებს გარედან მოსული მომლოცველები მექადან წასვლის წინ გამოსამშვიდობებელ ტავაფს ასრულებენ. ტავაფის დაწყებამდე მომლოცველები გულით ან სიტყვიერად განზრახვას წარმოთქვამენ: „ღმერთო, შენი კმაყოფილებისთვის გამოსამშვიდობებელი ტავაფის შესრულება მსურს. გამიოლე და მიიღე შენს წიაღ“. ტავაფის შემდეგ ნამაზი სრულდება და ვედრება აღევლინება. ამით მომლოცველები ქააბას ემშვიდობებიან.

თუ მომლოცველს გამოსამშვიდოებებელი ტავაფის შესრულებამდე მექადან წასვლა მოუწია, მანამდე შესრულებული ნებისმიერი ნაფილე ტავაფი გამოსამშვიდობებელ ტავაფში ეთვლება.

ბ. იფრადი ჰაჯის შესრულება

იფრადი ჰაჯი უმრეს გარეშე სრულდება. იფრადი ჰაჯის შესრულების მსურველი მომლოცველი იჰრამში შედის, შესაბამის განზრახვას აფიქსირებს, რაც მხოლოდ ჰაჯის

შესრულების გადაწყვეტილებას გულისხმობს, შემდეგ თელბიეს წარმოთქვამს და ჰაჯის შესრულებას იწყებს. მომლოცველი ბაირამის პირველ დღემდე იჰრამში რჩება.

იფრადი ჰაჯის შემრულებელი მომლოცველი მექაში ჩასვლისთავანე ქუდუმის ტავაფს ასრულებს. ტავაფის დაწყებამდე შესაბამის განზრახვას აფიქსირებს და ტავაფს იწყებს. რაც შეეხება საის, ის ქუდუმ ტავაფის შემდეგ სრულდება. მომლოცველი ტავაფის დროს იზდიბასა და რემელსაც ასრულებს.

იფრადი ჰაჯის შემსრულებლებისათვის ჰაჯის მსხვერპლის შეწირვა საჭირო არ არის. სურვილის შემთხვევაში ნაფილე მსხვერპლს შეწირავენ.

გ. ქირანი ჰაჯის შესრულება

ქირანი ჰაჯის შემთხვევაში მომლოცველი ჰაჯისა და უმრეს ერთი და იგივე იჰრამით ასრულებს. მომლოცველი შესაბამისი განზრახვის დაფიქსირების შემდეგ თელბიეს წარმოთქვამს. აღნიშნული ჰაჯის შემსრულებელი მომლოცველი მექაში ჩასვლისას ჯერ უმრეს ტავაფს ასრულებს. ტავაფის წინ შესაბამის განზრახვას აფიქსირებს. ტავაფის შემდეგ უმრეს საი სრულდება. საის შემდეგ მომლოცველი ბაირამის პირველ დღემდე იჰრამში რჩება. აღნიშნული ჰაჯის შემთხვევაში, უმრეს დასრულების შემდეგ ქუდუმ ტავაფის შესრულება სუნნეთია.

ქირანი ჰაჯის შემსრულებელებიც ჰაჯის რიტუალების დასრულების შემდეგ მსხვერპლს წირავენ.

დ. მანდილოსნებთან დაკავშირებული სპეციალური პირობები

ჰაჯის რუტუალების შესრულებისას, პროცედურული თუ სხვა თვალსაზრისით, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებობს განსხვავებები, რომელთა შესახებ მოკლედ მოგახსენებთ:

1. ქალებს, მამაკაცებისგან განსხვავებით, ჰაჯის სპეციალური ტანისამოსის ჩაცმა არ ევალებათ. ქალები ჰაჯის დროს იგივენაირად არიან ჩაცმული, როგორც ყოველდღიური ცხოვრებაში. ჰაჯის დროს ქალები სახეს არ იფარავენ.

2. ქალები ლოცვა-ვედრებას მამაკაცებთან შედარებით ხმადაბლა წარმოთქვამენ.

3. ქალები რემელსა და ჰარველეს არ ასრულებენ.

4. ქალები ცდილობენ ხალხმრავლობას მოერიდონ. ისინი ასევე ცდილობენ მათთვის განკუთვნილ ადგილებში ილოცონ და ლოცვის დროს მამაკაცების მხარდამხარ არ დადგნენ.

5. დედათა წესის დროს იჰრამში შესვლის, ან იჰრამში ყოფნის დროს დედათა წესის მოსვლის შემთხვევაში, ქალები ჰაჯის რიტუალების შესრულებას განაგრძობენ, გარდა ტავაფისა. რაც შეეხება ტავაფს, ამ მდგომარეობაში მყოფი ქალები, ტავაფს დედათა წესის დასრულების შემდეგ შეასრულებენ.

6. იმ ქალბატონებმა, რომლებსაც დედათა წესის დასრულებამდე არაფატზე ასვლა უწევთ, იჰრამში შესვლამდე იფრადი ჰაჯის განზრახვა უნდა დააფიქსირონ.

მედინას მონახულება

ჰაჯი გულითა და გონებით „ბედნიერების ხანაში“ გარდასვლაა. მომლოცველი რამოდენიმე დღით მედინაში ღვთის შუამავლისა და ენსართა სტუმარია. ამდენად მნიშვნელოვანია მედინას მონახულება, რათა შუამავლისა და მისი თანამედროვეთა ცხოვრება ხელახლა გავიხსენოთ.

„ვფიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“
(აჰზაბი 33/21)

ესრიბი... ქალაქი, სადაც ორი ტომის, ევსისა და ჰაზრეჯის ხალხი დიდი ხნის მანძილზე ერთმანეთთან ქიშპსა და ბრძოლებში იყვნენ. აქ ასევე ცხოვრობდნენ ებრაელთა ტომებიც. იესრიბი ძველი ქალაქი იყო. აქ შემოსავლის ძირითადი წყარო ხურმა იყო. ამასთანავე ეს იყო მცენარეულით დაფარული, განსხვავებული კლიმატით ცნობილი ადგილი.

1. და 2. აქაბეს შეფიცვის დროს შუამავალთან ევსისა და ჰაზრეჯის წარმომადგენლები იყვნენ. ეს ბედნიერი ადამიანები ისლამს ეზიარნენ და მოგვიანებით კი მექელ მუჰაჯირებს უპრეცენდენტო მასპინძლობა გაუწიეს. სწორედ მედინა გახდა ის ცენტრი, საიდანაც ისლამი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. როდესაც შუამავალი მედინაში გადასახლდა, ქალაქს სახელწოდება შეეცვალა და ღვთის ნათელით, ჭეშმარიტი სარწმუნოებით გასხივოსნებული ქალაქი ეწოდა. სწორედ მედინა გახდა სარწმუნოებისა და ცივილიზაციის აკვანი.

მედინა მონატრებაა. მედინასადმი მონატრებაში შუამავლის მიმართ მონატრებაა ნაგულისხმევი. ეს არის მონატრება მის მიერ მოტანილი ღრებულებებისადმი. ეს არის ადგილი, საიდანაც არცერთი ღარიბი, უთვისტომო, გაჭირვებული, ობოლი და სხვა მოწყვლადი ადამიანი გულდაწყვეტილი არ მიდიოდა. ეს არის სიყვარულის, ხელგაშლილობისა და შემწყნარებლობის ქალაქი.

მედინელებმა შუამავალს წარმოუდგენელი სიხარულითა და მონატრებით შეხვდნენ. ვისაც ადრე ჰყავდა ნანახი ისინი განსაკუთრებულ მონატრებას განიცდიდნენ, ხოლო ვინც პირველად ნახა საოცარ მღელვარებას გრძნობდნენ.

მედინა მონატრებაა. მედინასადმი მონატრებაში შუამავლის მიმართ მონატრებაა ნაგულისხმევი. ეს არის მონატრება მის მიერ მოტანილი ღრებულებებისადმი.

ბოლოს ნანატრი სტუმარი მობრძანდა და იესრიბს მედინა ეწოდა.

ჰიჯრეთი მიტოვებაა. იმ ადგილის მიტოვება, სადაც ადამიანი იბადება და იზრდება. შუამავალს მექას მიტოვება მოუწია, ქალაქის, სადაც დაიბადა, გაიზარდა და ახალგაზრდობის წლები გაატარა. მას ქააბასთან განშორება მოუწია.

ჰიჯრა არ ყოფილა გადახვეწა. ის არც მოძალადე ურწმუნოებისგან გაქცევა იყო. ჰიჯრა მედინაში გადასვლა იყო, სადაც ისლამის გავრცელებას ფართო ასპარეზი ექნებოდა. ჰიჯრა ღვთის ბრძანების შესაბამისად განხორციელდა. ჰიჯრა გაძლიერება და უკან ძლევამოსილი დაბრუნება იყო. ჰიჯრა ღვთის გზაზე გაწეული თავგანწირვა იყო.

მედინელი მუსლიმებისთვის კი ჰიჯრა მექელი თანამორწმუნე ძმებისთვის უბადლო მასპინძლობის ჩვენება იყო. ეს იყო ძმობა, თანადგომა და სიყვარული. ისინი ჯერ კიდევ უცნობ ადამიანებს საკუთარ გულსა და ქონებას უყოფდნენ და ამით მორწმუნე ძმისადმი მოქცევის მაღალ სტანდარტს ამკვიდრებდნენ. ამიტომ ეწოდათ ენსარები, ანუ დამხმარეები. აქამდე მედინაში ორი მოძმე ტომი მშვიდობიან თანაცხოვრებას ვერ ახერხებდა, ახლა კი სულ სხვა ქალაქის მესვეურები ძეიკედლეს და ძმობის ხელი გაუწოდეს.

მედინაში გადასვლა, ცივილიზაციისკენ სწრაფვა იყო. არაბეთში უმეცრების ეპოქა იდგა და ბედუინთა ცხოვრების წესი მოქმედებდა. აქ ცივილიზაციის შეტანა იოლი საქმე არ გახლდათ. კულტურული დონე ძალიან დაქვეითებული იყო და მათზე სრულიად ახალი ცხოვრების შეთავაზება და

განვითარებისკენ ესოდენ სწრაფი ტემპით სვლა ურთულესი რამ იყო. შუამავალმა ამ სირთულეს შეეჭიდა და სწორედ ამისათვის განახორციელა ჰიჯრა.

შუამავალმა მედინელებში უმეცრების ხანის ჩამორჩენილობა აღმოფხვრა და განვითარება შესტავაზა. მან ასწავლა ფიზიკური და სულიერი სისუფთავე და ასევე შექმნა ბრწყინვალე საზოგადოება. შუამავლის თაოსნობით ამ საზოგადოებაში ყველასა და ყველაფრის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. დაცული იყო ადამიანის ღირსება და უფლებები. დაცული იყო ფლორა და ფაუნა. მანამდელი გაუტანლობა და მტრობა დასრულდა და მის მაგივრად ერთანობა, თანადგომა და ძმობა ჩამოყალიბდა. მანამდელ მედინელებს მომხვეჭელობა, წაგლეჯა, ძალმომრეობა ცხოვრების წესად ჰქონდათ. შუამავალმა კი მათ ასწავლა, რომ რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებდნენ, ის მორწმუნე ძმისთვისაც უნდა ესურვებინათ. შუამავალმა დაარწმუნა ისინი, რომ როდესაც მეზობელი მშიერი იყო, მაძღრებს არ უნდა დაეძინათ. შუამავალმა მათ შეასწავლა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა პატიოსნება, სიმართლე, სანდოობა, ალალი შრომა, ადამიანის უფლებები, სიკეთე, სიყვარული, თანადგომა და სხვა.

შუამავალმა ადამიანებს ასწავლა, რომ ურთიერთდახმარებისა და თანადგომის შედეგად საზოგადოებაში თანასწორობის განცდა, სიმპათია და კეთილდღეობა დაისადგურებდა, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ სიმშვიდესა და განვითარებაში აისახებოდა. შუამავალმა ღირსეული, პატიოსანი და მამაცი ადამიანები აღზარდა. ყურანის სწავლება, ცოდნის განვითარება და ჭეშმარიტების აღიარება ძირითადი მიმართულებები იყო. მან გახსნა თავდაპირველი სკოლა, სადაც მორწმუნეთა აღზრდა მიმდინარეობდა. ამ საზოგადოებაში ყველა დაცული იყო; ქალებმა ღირსება და ნამუსი დაიცვეს, ღარიბებმა ამოისუნთქეს და საზოგადოების ღირსეულ წევრებად იგრძნეს თავი. შუამავალი ადამიანებს ასწავლიდა, რომ უნდა განვითარებულიყვნენ, გაძლიერებულიყვნენ და დიდსულოვნება გამოეჩინათ. ამიტომ იყო, რომ მექას აღებისას მუსლიმებმა შური არ იძიეს და ყველას მიუტევეს.

გამომდინარე აქედან, მედინაში მიმავალი მომლოცველი უნდა ფიქრობდეს, რომ ისიც ჰიჯრას აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იქნება რეალური ჰიჯრა, მომლოცველს უნდა სჯეროდეს, რომ ის გადატანითი მნიშვნელობით მუჰაჯირია. მომლოცველმა უნდა დატოვოს ყველა ნაკლოვანება და წინ, განახლებული რწმენით, სულიერი აღმავლობისა და განვითარების გზას უნდა დაადგეს.

მეორეს მხრივ, ჰაჯი გულითა და გონებით „ბედნიერების ხანაში“ გარდასვლაა. მომლოცველი რამოდენიმე დღით მედინაში ღვთის შუამავლისა და ენსართა სტუმარია. ამდენად მნიშვნელოვანია მედინას მონახულება, რათა შუამავლისა და მისი თანამედროვეთა ცხოვრება ხელახლა გავიხსენოთ. იმ ადგილების ნახვა, სადაც შუამავალი და მისი თანამედროვე მორწმუნეთა საზოგადოება ცხოვრობდა, მორწმუნეთათვის განსაკუთრებული ბედნიერების მომტანია. მომლოცველი ფიქრით საუკუნეების წინა პერიოდში მიდის და შუამავლის დროინდელ მოკრძალებულ და სულიერად მდიდარ ყოფას ხედავს.

შუამავლის მეჩეთის ირგვლივ მდებარე დაბალი კედლები, კარების მაგივრად ფარდები, ვიწრო ქუჩები და პატარა ოთახები მომლოცველთა თვალში ძველ მედინას აცოცხლებს. მომლოცველს თვალწინ უდგას, თუ რაოდენ მოკრძალებული და სადა ცხოვრება ჰქონდათ საჰაბებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედინა დიდად შეცვლილია, მომლოცველი დროში მოგზაურობას ახერხებს და შუამავლის დროინდელ მეჩეთს ხედავს. საძირკველი სილაშია ჩაფლული, კარები ღია და მხოლოდ კიბლას მხარეს აქვს ხურმის ტოტები გადაფარებული. აქ ასწავლიდა შუამავალი მიმდევრებს ყველა იმ გზავნილს, რაც ღვთისგან ევლინებოდა. მომლოცველი ფიქრობს, რომ ეს ადგილი არა მარტო მედინას, არამედ მთელი ისლამური ცივილიზაციის ცენტრი იყო. მეჩეთში შესული თითქოს იმდროინდელი საჰაბეების მხარდამხარ დგება და შუამავალს უსმენს. ნეტა შუამავლის დროს რომ აქ ყოფილიყო, შუამავალთან როგორი ურთიერთობა ექნებოდა? ნეტა მოახერხებდა, რომ მუჰაჯირებისა და ენსარების ღირსეული წევრი ყოფილიყო?

მომლოცველი მორწმუნეთა ზღვაში თავს ერთ წვეთად გრძნობს. ის ამ მდგომარეობას დიდად აფასებს და სულიერ ამაღლებას გრძნობს. ის სხვათა დარდს იზიარებს და სხვათა სიხარული უხარია. მას საკუთარი თავისთვისაც იგივე სურს, რასაც მორწმუნე ძმას უსურვებს. მშიერი მეზობელი თუ ჰყავს თავად მაძღარი არ დაიძინებს.

მომლოცველები ამ მოგზაურობაში იმ იმედით მიდიან, რომ ცოდვებს მოინანიებენ და სულიერად განიწმინდებიან. მოგზაურობის ეს ნაწილი, რასაც შუამავლის მეჩეთის მონახულება ჰქვია, ამ მხრივ განსაკუთრებული სულიერი ეფექტის მომტანია. მაქსიმალური სიტკბოების მისაღებად მომლოცველთა სულიერი მზაობაა საჭირო. როგორც ხანგრძლივი გვალვისგან დახეთქილ მიწას წყალი სწყურია და წვიმის დროს ხარბად იწოვს ნანატრ წყალს, მომლოცველიც შუამავლის მიერ მოტანილი ღირებულებების მიმართ წყურვილს უნდა განიცდიდეს და აქ მოსული ხარბად ეწაფებოდეს სულიერ საზრდოს.

მართალია მომლოცველი შუამავლის ცხოვრების პერიოდს არ მოსწრებია, მაგრამ აქ ყოფნის სულირად და გონებრივად იმ პერიოდში გადასახლდება და ფიქრით იმ ეპოქაში მოგზაურობს. ის უყურებს მედინას ქუჩებს და გრძნობს, რა ბედნიერებაა იყო ამ ყველაფრის ნაწილი. მომლოცველი მაშინდელ გამორჩეულ პიროვნებებზე ფიქრობს. ჰზ. აბუ ბაქარის ერთგულება, ჰზ. ომარის სამართლიანობა და სიმამაცე, ჰზ. ოსმანის ზრდილობა და პატიოსნება, ჰზ. ალის ცოდნა და ღვთისმოსაობა და სხვა რჩეული საჰაბეები, მათი პატიოსნება, სიმართლე, თავგანწირვა და მრავალი, მრავალი დადებითი თვისებები.

მომლოცველი მთელი ცხოვრება აიათებსა და ჰადისებს ისმენს და შუამავალს მათი საშუალებით იცნობს. ახლა კი ის შუამავალის ქალაქშია, მის ქუჩებში, მის მეჩეთში. მომლოცველი დადის მედინას ქუჩებში და ყველაგან შუამავალს ესალმება.

მომლოცველი აანალიზებს, რომ სუნაზე მიყოლა მხოლოდ მიბაძვა არ არის და საამისოდ სუნას მოძღვრების შინაგანი გათავისება და იმ ზეციური პრინციპების გულწრფელი აღიარებაა, რომლებიც ყველგან და ყოველთვის მორწმუ-

ნეთა ქცევებს არეგულირებს. სუნა სულიერი განვითარებისკენ მიმავალი გზაა. მორწმუნე გრძნობს, რომ სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, სუნა მას ცივილიზებულ ადამიანად ჩამოყალიბებაში ეხმარება. სუნა საუკეთესო ზნეობის გზამკვლევია. სანდოობა, სამართლიანობა, უბრალოება, ძმობა, ერთობა, თანადგომა, სისუფთავე, სიკეთე, შემწყნარებლობა, სიყვარული, პატივისცემა და სხვა მსგავსი ღირებულებები სუნას სწავლების ძირითადი მიმართულებებია. „მე ზნეობრივი სრულყოფისათვის ვარ მოვლენილი“, - ბრძანებს შუამავალი, რომელმაც ზნეობრივად მაღალი საზოგადოება ჩამოაყალიბა.

ამ ფიქრითა და განცდებით განმსჭვალული მომლოცველი ზეციური აიათების ჭეშმარიტებაზე ფიქრობს და კიდევ ერთხელ პირობას დებს, რომ ჭეშმარიტი რწმენის პრინციპებს არ გადაუხვევს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! წინ ნუ გაასწრებთ ალლაჰს და მის შუამავალს და გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმომსმენია, ყოვლისმცოდნეა“. (ჰუჯურათ 49/1).

„იმ დღეს უსამართლო დაიკბენს ხელებს და იტყვის: „ნეტავ, ამერჩია გზა შუამავლის გვერდით!“ (ფურყან 25/27).

„ვფიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“ (აჰზაბ 33/21)

მომლოცველი მედინაში ყოფნის პერიოდში ცდილობს ყველა ნამაზი შუამავლის მეჩეთში ილოცოს. ერთ-ერთ ჰადისში ნაბრძანებია, შუამავლის სახლსა და მეჩეთის მინბერს შორის ადგილი სამოთხის ბაღებიდან ერთ-ერთი ბაღიაო. (იხ.ბუჰარი, „თათავვუ“ 18). მომლოცველი ცდილობს ამ ადგილას ორი მუხლი ნაფილე ნამაზი მაინც ილოცოს. ასევე გასათვალისწინებელია ხალხმრავლობა.

მედინაში ყოფნისას მომლოცველს საშუალება ეძლევა მოინახულოს შუამავალის საფლავიც. აქ მასთან ერთად მისი უახლოესი მეგობრები და ოჯახის წევრები არიან დაკრძალული. ჰზ. აბუ ბაქარი, ჰზ. ომარი, ჰზ. ოსმანი, ჰზ. აბბასი,

ჰზ. აიშე, ჰზ. ფატიმა, ჰზ. ჰასანი და სხვა გამორჩეული მოღვაწენი აქ განისვენებენ. მომლოცველი მათ ცხოვრებასა და ღვაწლზე ფიქრობს. აქ დაახლოებით ათი ათასამდე საჰაბეა დაკრძალული.

გარდა ამისა, მომლოცველი მედინაში ყოფნის პერიოდში სხვა ადგილებსაც სტუმრობს. ესენია:

ა. ყუბა

ყუბა მედინადან 5 კილომეტრში მდებარეობს. შუამავალმა ჰიჯრის დროს სწორედ აქ გაჩერდა და 14 დღე გაატარა. ამ დროს მეჩეთიც ააგო და ნამაზს ასრულებდა. მოგვიანებით კი, მედინაში დამკვიდრების შემდეგაც, შაბათობით ყუბაში ჩადიოდა და ნამაზს წარუძღვებოდა ხოლმე. ყუბას მეჩეთის შესახებ ყურანშიცაა საუბარი:

„და არ დადგე მასში არასდროს . უეჭველად მეჩეთი, რომელიც დაფუძნდა პირველი დღიდან ღვთისმოშიშობაზე , უფრო ღირსია, რომ დადგე მასში. იქ არიან კაცნი , რომლებსაც უყვართ, რომ განიწმინდონ. და ალლაჰს უყვარს განწმენდილები“. (თევბე 9/108)

ბ. ყიბლეთეინ მესჯიდი

როგორც ცნობილია, თავდაპირველად შუამავალი იერუსალიმისკენ ლოცულობდა და ეს იყო ლოცვის მიმართულება, მაგრამ ამავდროულად სულ ფიქრობდა, რომ ლოცვის მიმართულება ჰზ. აბრაამის კიბლა ანუ ქააბა უნდა ყოფილიყო და ამის შესახებ ღვთიურ გზავნილს ელოდებოდა. ქააბაში ნამაზის ლოცვისას ისე დგებოდა, რომ ქააბაც და იერუსალიმი ერთი მიმართულებით რჩებოდა. ჰიჯრიდან ერთნახევარი წლის შემდეგ შუამავალს ზეციური ბრძანება მოევლინა და ლოცვის მიმართულებად ქააბა დადგინდა.

„(ო, მუჰამმედ) ჩვენ დაგინახეთ, უკვე რამდენჯერ აღაპყარი (მოლოდინით ვაჰისა) სახე ზეცისკენ და უეჭველად, ჩვენ მიგაბ-

რუნებთ ყიბლისკენ , მისით კმაყოფილი იქნები. მაშ, მიაბრუნე სახე შენი მესჯიდი ჰარამისკენ და სადაც არ უნდა იყოთ (ლოცვის დროს), მიაბრუნეთ სახე თქვენი მის მხარეს. უეჭველად, რომელთაც ებოძათ წიგნი, დიახაც უწყიან, რომ იგი ჭეშმარიტება მათი ღმერთისგანაა. და ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!“ (ბაყარა 2/144)

ამ აიათის მოსმენისას ნამაზზე მდგარი ზოგიერთ საჰაბე იერუსალიმიდან ქააბასკენ შეტრიალდა. ამრიგად, მათ ნამაზი იერუსალიმისკენ დაიწყეს და ქააბასკენ მიბრუნებულებმა დაასრულეს. მეჩეთს, სადაც ეს მოვლენა დაფიქსრიდა „ყიბლეთეინ მესჯიდი“ ანუ ორყიბლიანი მეჩეთი ეწოდა.

გ. უჰუდი

მედინაში ყოფნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომლის მონახულებაც მომლოცველებისთვის საინტერესოა, არის უჰუდი, რომელიც მედინადან 5 კილომეტრით ჩრდილოეთისკენ მდებარეობს. ბედირის ბრძოლის შემდეგ მუსლიმებსა და მექელ კეპრთაყვანისმცემლებს შორის ბრძოლა სწორედ აქ გაიმართა. ბედირის ბრძოლაშ მუსლიმებმა გაიმარჯვეს და ამით გამწარებული მექელი ურწმუნოები შურისძიებას გეგმავდნენ. შუამავალს სურდა ქალაქში დარჩენილიყვნენ და მედინა დაეცვათ, მაგრამ ზოგიერთმა ახალგაზრდამ, რომლებიც ბედირის ბრძოლაში არ იღებდა მონაწილეობას, შუამავალს სთხოვეს გაშლილ ადგილას შეხვედროდნენ მტერს. შუამავალი დათანხმდა და ეს ბრძოლა უჰუდში გაიმართა.

ბრძოლის წინ შუამავალმა ერთი რაზმი სტრატეგიულ ადგილას განათავსა და მკაცრად გააფრთხილა, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ეს ადგილი არ მიეტოვებინათ. ამის მიუხედავად, როგორც კი პირველ შეტაკებისას მუსლიმებმა მტერი გაფანტეს, აღნიშნულმა რაზმმა ადგილი მიატოვა და ბრძოლის ველისკენ გაეშურა. რაზმის მეთაური მებრძოლებს წინ ეღობებოდა, შუამავლის ბრძანებას ახსენებდა, მაგრამ არავინ მოუსმინა. მტერმა ეს შენიშნა, მუსლიმები

ალყაში მოაქციეს და სძლიეს. ეს იყო შედეგი უპასუხისმგებლო ქცევისა. ამ მოვლენის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

„და ალლაჰმა აღგისრულათ თავისი (შეწევნა) აღთქმა, როცა მისი ნებით ხოცავდით მათ, ვიდრე არ შედრკით თქვენ და დავა არ დაიწყეთ მის ბრძანებაზე და აღარ შეასრულეთ იმის შემდეგ, როცა გიჩვენათ, რაც გიყვარდათ თქვენ. თქვენ შორის იყვნენ, ვისაც ეს ქვეყანა სურდა, და თქვენ შორის იყვნენ, ვისაც ის ქვეყანა სურდა; შემდეგ უკუგაქცია მათგან (დამარცხებული უკან მობრუნდით), რათა გამოეცადეთ. (ამ ყველაფრის მიუხედავად) შეგინდოთ თქვენ. დიახაც, რომ ალლაჰი მოწყალების მიმნიჭებელია მორწმუნეთათვის“. (ალი იმრან 3/152)

მართალია შუამავალმა ისინი მკაცრად გააფრთხილა, მაგრამ ნადავლის მოპოვების სურვილმა სძლია მათ და დათქმული ადგილი დროზე ადრე მიატოვეს. ამის შედეგად მოგებული ბრძოლა წააგეს და სამოცდაათი შეჰიდი შესწირეს.

უჰუდი დიდი გამოცდა და დიდი გაკვეთილი იყო. ამ ბრძოლაში თავად შუამავალიც დაიჭრა და კბილიც დაიზიანა. ამ ბრძოლაში დაეცა შუამავლის საყვარელი ბიძა, დიდი მეომარი, სიმამაცითა და გმირობით განთქმული ჰზ. ჰამზა. მას მარტო მოკვლა არ აკმარეს, სხეული სულ დაუჩეხეს, ყურები მოაჭრეს და მკერდიდან გული ამოაცალეს.

ამის მიუხედავად შუამავალი ყოველთვის პატივისცემით ახსენებდა უჰუდის მთას.

დ. ჰენდექი

მოსალოდნელი თავდასხმის გამო, შუამავლის ბრძანებით ქალაქ მედინას დიდი თხრილი შემოავლეს. სხვებთან ერთად შუამავალიც მუხლჩაუხრელად მუშაობდა და რამოდენიმე კვირის მუშაობის შემდეგ თხრილი მზად იყო. თხრილი იმდენად ფართო და ღრმა იყო, რომ ვერც ქვეითი და ვერც

მხედარი ვერ გადაივლიდა. ამ თხრილის ზოგიერთი ნაწილი ოთხმოციან წლებამდე შეიმჩნეოდა, მაგრამ დღეს უკვე ასფალტია დაგებული.

მუსლიმებისთვის ჰენდექის ბრძოლაც ერთგვარი გაკვეთილი იყო. შუამავალმა, როგორც ყოველთვის, აქაც თადარიგი დაიჭრა. მის მიერ შემუშავებული სტრატეგია და პრევენციული ღონისძიებები ზუსტი და ეფექტური იყო. მომხვდური დიდი ძალებით მოვიდა. ყურანში ნაბრძანებია:

„აკი, დაგესხმნენ ისინი თქვენ ზევიდან და ქვევიდან და მაშინ მზერა გაიყინა უიმედობის გამო, გულნი ყელს მიებჯინა და თქვენ ალლაჰის შესახებ ნაირ-ნაირი ეჭვი გამოთქვით.

სწორედ იქ გამოიცადნენ მორწმუნენი და განიცადეს დიდი თრთოლვა!“ (აჰზაბ 33/10-11)

ეს ბრძოლა 24 დღე გაგრძელდა. შემდეგ მუსლიმებს ღვთიური დახმარება მოევლინა, ამასთანავე საშინელი ქარბორბალა ატყდა, რამაც მტრის ჯარი გაფანტა. ისინი მცირე ჯგუფებად დაიშალნენ და უკუიქცნენ. შედეგად მუსლიმებმა ეს ბრძოლა მინიმალური დანაკარგით გადაიტანეს.

ამრიგად, შუამავლის ქალაქის მონახულება და იქაური ისტორიის ადგილზე გაცნობა ყოველი მუსლიმისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ჰაჯიდან დაბრუნება და შემდგომი ცხოვრება

მომლოცველი სამშობლოში დაბრუნებისას რწმენის, ცოდნის, სიყვარულის, პატივისცემის, ზრდილობისა და მორალის ამაღლებას გრძნობს.ის უკვე საკუთარ სახლშია, მაგრამ მისი მოგზაურობა არ დასრულებულა...

„...ყველანი ალლაჰთან მიიქცევით. მაშინ გაცნობებს თქვენ იგი, რასაც სჩადიოდით“. (მაიდე 5/105)

დრო ერთ-ერთი უდიდესი წყალობათაგანია, რომელიც ღმერთმა გვიწყალობა და ეს დრო, როგორც წყალი, მიედინება და უკან აღარ ბრუნდება. ამ წმინდა გარემოში გატარებული ეს შეზღუდული დრო ადამიანს სიზმარივით ეჩვენება. სანამ მომლოცველი ცდილობს ამ საოცარ ადგილებს შეეჩვიოს, ყველაფერს ყურადღება მიაქციოს, ყველა რიტუალი შინაარსიანად შეასრულოს და ყველაფერი შინაგანად იგრძნოს, უეცრად გაიაზრებს, რომ განშორების დრო დამდგარა.

„რა კარგია ხილვა, მაგრამ განშორება რომ არ იყოს!“- ფიქრობს მომლოცველი. ეს შეიძლება პირველი შემთხვევაც კი იყოს, როცა შინ დაბრუნება არ უხარია. ღმერთის სახლიდან წასვლა არ უნდა. როგორც პატარა ბავშვი, რომელსაც დედის კალთას ძალით მოგლეჯენ, ისეთი უკმაყოფილოა და ისეთნაირადვე უძნელდება.

ადამიანის წარმავალი სიცოცხლეც ხომ ასეთია. ადამიანის ცხოვრების დღენი ხომ დათვლილია! ნეტა ჩვენი ცხოვრების წლებიც ისეთივე შინაარსიანი იყოს, როგორც აქ გატარებული დღეები!

ქააბასთან განშორებისას მომლოცველის გულში ქარიშხალი ტრიალებს. ერთის მხრივ გულში უსაზღვრო მადლიერების გრძობას ატარებს, რადგან ესოდენ დიდი წყალობა ეღირსა, მთელი მსოფლიოს მუსლიმები გაიცნო, მათთან ერთად ილოცა, ღმერთის სტუმარი იყო, ჰაჯის ვალდებულება შეასრულა და მეორეს მხრივ მისი გული სავსეა მწუხარებით, რადგან ქააბას, ზემზემისა და არაფატის წყურვილი არ მოუკლავს და განშორება უწევს.

იქნებ ხელმეორედ ვეღარც კი იხილოს. თან ღელავს, იქნებ ვერ შეძლო და ეშმაკი ვერ დათრგუნა. იქნებ საკუთარი ცდუნებები ჯეროვნად ვერ დაიოკა. იქნებ მისი მსახურება ღვთის წინაშე მიღებული არ არის. იქნებ ეს ძვირფასი დრო შინაარსიანად ვერ გამოიყენა. იქნებ ვერ განიწმინდა. თა-

„რომელთაც ეწიათ რაიმე უბედურება, და თქვეს: უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ“. (ბაყარა 2/156)

ნამორწმუნე ძმები კარგად არც კი გაუცნია, რომ ისევ განშორება უწევს. მათი დარდი არ გაუზიარებია, საკუთარი არ გაუმხელია და უნდა დაშორდეს...

ამ ფიქრებითა და განცდებით განმსჭვალული მომლოცველი ტოვებს ქააბას და რადგან იცის, რომ გულს აქ ვერ დატოვებს, თავად ქააბას იბეჭდავს გულში და თან მიაქვს. ღმერთს სამყოფელი ხომ ადამიანთა გულებია, ამიტომ მომლოცველი ღმერთის სახლსაც გულში ითავსებს. ამის შემდეგ ყველა ნამაზზე საკუთარ ძარღვებში მოძრავი სისხლი გულს გაივლის და ქააბას ტავაფს შეასრულებს. ამის შემდეგ მისი გული დაცულია, როგორც ჰარემი, სადაც ურწმუნოება, ტყული, თვალთმაქცობა, შური, ბოღმა და მსგავსი ნაგეტიური ფიქრები ვერ გაიჭაჭანებს.

ქააბასთან ერთად გულში გაძლიერებული სიყვარული უსახლდება. სიყვარული ღვთისა, შუამავლისა, მუსლიმებისა... ამასთანავე ის სწუხს თანამორწმუნე ძმების მდგომარეობაზე. მათ გაჭირვებაზე, მათ პრობლემებზე.

განუზომელ სიხარულს ანიჭებდა ის გარემოება, რომ აქ მოსული მომლოცველები რწმენითა და ზნეობით აღსავსენი იყვნენ. ამასთანავე წუხილს იწვევდა ის ფაქტიც, რომ ბევრი მუსლიმის საცხოვრებელ ადგილას უსამართლობა, ომი და გაჭირვება იყო. მათი გამხნევება და ხარში დგომაა საჭირო, ფიქრობს მომლოცველი. ჰაჯი, როგორც ღვთისმსახურება, ერთ-ერთი დასტურია იმისა, რომ მუსლიმები ძმები არიან და მნიშვნელობა არ აქვს სად ცხოვრობენ, მათი რწმენა და ღირებულებები ერთია.

მომლოცველმა იცის, რომ ჰაჯიდან სახლში დაბრუნებისას ისევ ღმერთს უბრუნდება.

„რომელთაც ეწიათ რაიმე უბედურება, და თქვეს: უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ“. (ბაყარა 2/156)

ადგილები, რომლებიც მომლოცველმა ჰაჯის დროს მოილოცა, ის ადგილებია, სადაც გაცობრიობის მანათობელი

სხივი იქნა მოვლენილი. მომლოცველი ცოდვებისგან განიწმინდა და ახლა მისი ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა ამ განწმენდილობის შენარჩუნებაა.

სახლში დაბრუნებული მომლოცველი მადლიერების ნიშნად ორ მუხლ ნამაზს ლოცულობს და მნახველებს უამბობს, თუ სად იყო, რა ნახა და რა განცდები დაეუფლა. შეიძლება მოგზაურობის დროს სიძნელეებიც შეხვდა, მაგრამ ესენი აღარც ახსოვს და მათ შესახებ არც ყვება.

მომლოცველმა ჰაჯზე ყოფნისას თითქოს განკითხვის დღის რეპეტიცია გაიარა. ამის შემდეგ მისი ცხოვრება ორ ნაილად იყოფა; ჰაჯზე წასვლამდე ცხოვრება და ჰაჯის შემდეგი ცხოვრება. ის უკვე სულიერ ცხოვრებას სუფთა ფურცლიდან იწყებს და ყოველმხრივ ეცდება არ დაალაქავოს. ჰაჯის დროს ის მოგზაურობდა როგორც წარსულში, ისე საიქიოში და აქ შეძენილი განცდებით, აქ მიღებული გამოცდილებით უნდა რომ მომავალი დაგეგმოს.

ხალხში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჰაჯად წოდებულმა მომლოცველმა, როგორც მარხვის შემთხვევაში ხდება, თავისი სტატუსი უნდა დაიცვას. მისი პასუხიმგებლობები არ შეცვლილა, მაგრამ მისი ეს სტატუსი ეხმარება მას, რომ უფრო მეტად მოერიდოს ცოდვებს, უფრო მეტად მოთოკოს ცდუნებები და უფრო კარგი მუსლიმი იყოს. როგორც მარხულს ევალება თავის შეკავება, ისე ჰაჯსაც. მარტო მუსლიმად დაბადება და მუსლიმად ყოფნა არ კმარა, საიქიოშიც მუსლიმად უნდა წავიდეთ. ისეა ჰაჯის შემთხვევაც, მარტო მოლოცვა არ კმარა. იქიდან დაბრუნების შემდეგ, იქ მიღებული გამოცდილების საფუძველზე უკეთესი სულიერი ცხოვრება უნდა ავაგოთ.

ადამიანებს სურთ, რომ ჰაჯის სტატუსის მატარებელი პიროვნება კარგი მუსლიმი იყოს. შესაბამისად მისი ყოველი ნაბიჯი განსაკუთრებული დაკვირვების საგანია. თუ ის ცუდად მოიქცევა ამით შესაძლოა მუსლიმების იმედგაცრუება გამოიწვიოს. შესაბამისად ჰაჯი ყოველთვის სამაგალითო და სამართლიანი უნდა იყოს.

მომლოცველი, რომელიც ჰაჯიდან დაბრუნდა და უკვე ჰაჯად იწოდება, სულიერი და ზნეობრივი თვალსაზრისით უფრო ამაღლებულ მდგომარეობას უნდა წარმოაჩენდეს,

ვიდრე მანამდე. ამ მოვლენამ მისი რწმენა, ღვთისმოსაობა და ზნეობრივი ხარისხი უნდა გააუმჯობესოს. რაოდენაც მისი შინაგანი ბუნება მზად იქნება საამისოდ და ამ ყველაფერს გულწრფელად გამოხატავს, იმდენადვე მისი ჰაჯი მიღებულია. ჰაჯიდან დაბრუნებული მომლოცველი ცდილობს იქაური სულიერი ატმოსფერო გადმოიტანოს და იქ მიღებული სულიერი მონაპოვარი არ გაუფერულდეს.

ჰაჯზე ნამყოფი მომლოცველი თანამორწმუნე ძმის დარდების გამზიარებელია და ამას ადრინდელზე მეტი მონდომეით აკეთებს. მან რა თქმა უნდა იცის, რომ თანამორწმუნე ძმების დარდის გაუზიარებლად სრულყოფილი მორწმუნე ვერ იქნება. მას მუდმივად ახსოვს ქააბას ირგვლივ, მინაში, არაფატზე, მუზდელიფეში მორწმუნეთა ზღვაში ერთი წვეთი რომ იყო. ის ამ განცდას მუდმივად ატარებს და მუდმივად გრძნობს.

ჰაჯიდან დაბრუნებული მომლოცველი ყოველდღიურად სულ მცირე ხუთგზის ლოცვას აღავლენს და ქააბასკენ მდგარი სულიერ მოგზაურობას განახორციელებს ხოლმე. ის ყოველ ჯერზე ცხადად გრძნობს ქააბაში მოგზაურობას.

ჰაჯიდან დაბრუნებული მორწმუნე ფიზიკურად დაღლილია, რადგან იქ ერთმანეთის მიყოლების მრავალი რიტუალი შეასრულა, მაგრამ ძალიან ბედნიერია. მან არამარტო ვალდებულება მოიხადა, არამედ ისლამის ისტორია, შუამავლის ცხოვრება გაანალიზა და ცხადად შეიგრძნო. შუამავლობამდელი ცხოვრება, შუამავლობის მოვალეობის დაკისრება, ფარული ქადაგება, ჭეშმარიტი რწმენის გაცხადება, დევნა, ბოიკოტის წლები, ჰიჯრა ეთიოპიაში, შემდეგ დიდი ჰიჯრა, მედინას პერიოდი და ა.შ. ამ ყველაფერმა მომლოცველის თვალწინ კიდევ ერთხელ გაიარა. მედინას პერიოდში ისლამის აღმავლობა დაიწყო. ეს იყო ბედნიერების ხანა, როგორც მას ხალხმა უწოდა. შემდეგ მუსლიმებმა მექა უბრძოლველად გაათავისუფლეს. მათი რწმენა, მათი სიმტკიცე და შემართება საოცარ შედეგში აისახა. მომლოცველმა ეს ყველაფერი უფრო სიღრმისეულად გაანალიზა და ვალმოხდილი დაბრუნდა შინ, თუმცა მოგზაურობა ჯერ არ დასრულებულა...

დამატებითი ინფორმაცია

1. შუამავლის გამოსამშვიდობებელი ჰაჯი

(22 თებერვალი- 27 მარტი, 632)

25 ზილყადე, შაბათი: შუამავალი მედინადან გავიდა და 9 კილომეტრის მანძილის მოშორებით ზულჰულეიფეში შუადღის ნამაზი ილოცა, რომლის შემდეგაც იჰრამში შევიდა. იქიდან ბეიდაში თელბიე წარმოთქვა. (სხვა ვარაუდის თანახმად, შუამავალი ზულჰულეიფეში შუადღისას აღწევს და ღამეს იქ რჩება, რათა მომლოცველები შეიკრიბონ. იჰრამში კი მეორე დღეს შუადღისას შედის) შუამავალმა ზულჰულეიფეს მეჩეთში შუადღის ნამაზი და კიდევ ორი მუხლი ნამაზი ილოცა, სამსხვერპლე პირუტყვი დანიშნა და აქლემზე ამხედრდა. ბეიდაში ჩასული იჰრამში შევიდა.

26 ზილყადე, კვირა: შუამავალმა მედინადან 41 კმ. დაშორებით მელელში, სეიალეს გორას მიაღწია, ივახშმა და საღამოსა და ღამის ნამაზი ილოცა.

27 ზილყადე, ორშაბათი: შუამავალმა დილის ნამაზი 71 კმ. დაშორებით ირქუზზაბეიში ილოცა, შემდეგ კი სამი კილომეტრის დაშორებით რევჰამდე მივიდა. იქიდან მუნსარაფში ჩავიდა და სამხრობის, საღამოსა და ღამის ნამაზი იქ ილოცა.

28 ზილყადე, სამშაბათი: შუამავალმა დილის ნამაზი 110 კმ. მანძილზე მდებარე ელ- ესაიეში ილოცა და არჯაშ გადავიდა, რომელიც იქიდან 3 კილომეტრითაა მოშორებული.

29 ზილყადე, ოთხშაბათი: შუამავალმა სუქაიამდე მიაღწია.

1 ზილჰიჯჯე, ხუთშაბათი: შუამავალმა მედინადან 190 კილომეტრით დაშორებულ ებვამდე ჩააღწია.

2 ზილჰიჯჯე, პარასკევი: შუამავალი ჯუჰფეში ჩავიდა და ჯუმის ნამაზი ილოცა.

3 ზილჰიჯჯე, შაბათი: შუამავალმა ქუდეიდეს მიაღწია და ნამაზი იქ ილოცა.

4 ზილჰიჯჯე, კვირა: შუამავალმა მექადან 80 კმ-ში მდებარე უსფანს მიაღწია და იქიდან გამიმში ჩავიდა.

5 ზილჰიჯჯე, ორშაბათი: შუამავალი უკვე მექადან 22 კილომეტრშია, სადაც სანიეთეინსა და ქუდას შორის ღამის გასათევად დარჩა.

6 ზილჰიჯჯე, სამშაბათი: დილას შუამავალი აქლემზე ამხედრდა და ქუდადან ებთაჰში მივიდა. შემდეგ შუამავალი მექაში ზედა მხრიდან, ხოლო ქააბაში ბენი შეიბეს კარიდან შევიდა, სადაც მისი ეს მოგზაურობა დასრულდა. შუამავალმა ქააბას ტავაფი, შემდეგ კი საფასა და მერვეს გორაკებს შორის საი შეასრულა. ღამე კარავში დარჩა, რადგან მიმდევრებთან ყოფნა არჩია.

7 ზილჰიჯჯე, ოთხშაბათი: შუამავალი მექაში დარჩა და შუადღის შემდეგ ხალხს ესაუბრა.

8 ზილჰიჯჯე, ხუთშაბათი: შუამავალი მინაში წავიდა და იქ დაბანაკდა.

9 ზილჰიჯჯე, პარასკევი: მზის ამოსვლის შემდეგ შუამავალი არაფატისკენ წავიდა.

10 ზილჰიჯჯე, შაბათი: (მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის პირველი დღე) შუამავალმა აქაბეს ჯემრეზე ქვის სროლის რიტუალი ჩაატარა და მინაში დაბრუნდა. შემდეგ ხუტბა წარმოთქვა, მსხვერპლში შეწირა და იჰრამიდან გამოვიდა. ამის შემდეგ შუამავალი მექაში წავიდა და ტავაფი შეასრულა, შემდეგ ისევ მინაში დაბრუნდა და შუადღის ნამაზი ილოცა.

11-13 ზილჰიჯჯე, კვირა-სამშაბათი: ეს დღეები მინაში გაატარა და ეშმაკის სიმბოლური ჩაქოლვის რიტუალი შეასრულა.

14 ზილჰიჯჯე, ოთხშაბათი: შუამავალი გამთენიისას მექაში შევიდა, გამოსამშვიდობებელი ტავაფი შეასრულა, დილის ნამაზი ილოცა და მზის ამოსვლის შემდეგ მექადან მედინასკენ აიღო გეზი.

15-17 ზილჰიჯჯე, ხუთშაბათი-შაბათი: შუამავალმა ეს დღეები გზაში გაატარა. 18 ზილჰიჯჯე, კვირა. შუამავალი ჰუმის ჩანჩქერთან დაბანაკდა.

19 ზილჰიჯჯე, ორშაბათი: შუამავალი გზას აგრძელებს.

20 ზილჰიჯჯე, სამშაბათი: შუამავალმა ზულჰულეიფში ჩააღწია და ღამე გაათია.

21 ზილჰიჯჯე, ხუთშაბათი: შუამავალი მედინაში ჩავიდა.

2. ჰაჯის კალენდარი. (თემეთთუ ჰაჯის მიხედვით)

მიქათში იჰრამი: მომლოცველი ასრულებს განბანვას და თელბიეს თანხლებით იჰრამში შედის. ასევე ლოცულობს ორ მუხლ ნამაზს.

უმრეს ტავაფი: მესჯიდი ჰარამში მისული მომლოცველი ჯერ უმრეს ტავაფს ასრულებს. ტავაფი ჰაჯერი ესვედზე მისალებით იწყება. პირველ სამ წრეზე მამაკაცებს მარჯვენა მხარი მოშიშვლებული აქვთ და ენერგიულად უვლიან წრეს (იზდიბა და რემელი). მომლოცველმა ქააბას შვიდჯერ უნდა შემოუაროს, შემდეგ კი ორი მუხლი ნამაზი ილოცოს.

საფასა და მერვეს საი: საი საფას გორაკიდან იწყება და მომლოცველი საფასა და მერვეს გორაკებს შორის მანძილს შვიჯერ გადის. მწვანე ბოძებს შორის მომლოცველები სირბილით გადიან. საის დროს ოთხჯერ მერვეს გორაკზე, სამჯერ კი საფას გორაკზე მიდიან. საიდან დაბრუნებული მომლოცველები თმებს იკრეჭენ და იჰრამიდან გადიან.

თერვიეს დღე: მომლოცველები დილას განბანვას ასრულებენ, შემდეგ ჰაჯის შესრულების მიზნით იჰრამში შედიან. ამ დროს შეუძლიათ ნაფილე ტავაფის შესრულება და ასევე

ჰაჯის საისაც. შემდეგ მომლოცველები არაფატზე მიდიან. თუ მომლოცველები მინაში მიდიან, მაშინ დღის ხუთივე ნამაზი იქ სრულდება. გათენებისთანავე მომლოცველები არაფატისკენ მიდიან.

არიფე დღე: ამ დღეს შუადღისა და სამხრობის ნამაზები ერთად სრულდება. შემდეგ მომლოცველები ლოცვა-ვედრების თანხლებით ვაქფეს ასრულებენ. მზის ჩასვლის შემდეგ ისინი მუზდელიფეში გადადიან. იქაც საღამოსა და ღამის ნამაზები გაერთიანებული ფორმით სრულდება. მომლოცველები კენჭებს აგროვებენ. სრულდება მრავალი ლოცვა-ვედრება.

ბაირამის პირველი დღე: დილის ნამაზის ლოცვის შემდეგ არემარის განათებამდე მუზდელიფეშ ვაქფე სრულდება. ამის შემდეგ მომლოცველები მინაში მიდიან. მინაში ჩასული მომლოცველები აქაბეს ჯემრეს შვიდ კენჭს ესვრიან. შემდეგ მსხვერპლს სწირავენ, თმებს იკრეჭენ და იჰრამიდან გადიან. ამის შემდეგ მომლოცველები მექაში მიდიან და ზიარეთ ტავაფს ასრულებენ. თუ თერვიეს დღეს ჰაჯის საი არ შესრულებულა, ახლა უნდა შესრულდეს.

ბაირამის მე-2 და მე-3 დღე: ამ დღეებში, შესაბამისი დროის გამონახვის დროს, მომლოცველები პატარა, საშუალო და დიდ ჯემრეებს კენჭებს ესვრიან. თითოეულ მათგანს 7-7 ქვე უნდა ესროლონ.

გამოსამშვიდობებელი ტავაფი: მექადან წასვლის წინ მომლოცველები უკანასკნელად სტუმრობენ ქააბას და გამოსამშვიდობებელ ტავაფს ასრულებენ, ხოლო შემდეგ ორ მუხლ ნამაზს ლოცულობენ. შემდეგ მომლოცველები ქააბას ემშვიდობებიან.

3: რამოდენიმე საკითხი, რომლებსაც ჰაჯის დროს ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ თავში აღწერილია ის შემთხვევები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაშ ჰაჯის რიტუალის შესრულებისას და-

ფიქსირდა და რომელთა შესახებ ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული.

ა. ღვთისმსახურება

- არის შემთხვევები, როდესაც მომლოცველები მესჯიდი ჰარამში და მესჯიდი ნებევიში ყოფნისას ერთმანეთში საუბრობენ. ამის მაგივრად, მომლოცველმა იქ ყოფნის დრო ნაფილე ნამაზისა და ლოცვა-ვედრებისათვის უნდა გამოიყენოს.

- მესჯიდი ჰარამსა და მესჯიდი ნებევიში შესვლისას, მომლოცველმა ორი მუხლი ნამაზი უნდა ილოცოს. ეს სუნნეთია. ამ დროს აკრძალული დრო არ უნდა ემთხვეოდეს.

- ნამაზის დროს მწკრივებში დადგომის მსურველებს უნდა დავეხმაროთ. ეს ყურანისეული ბრძანებაა: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიწოდებენ: ადგილი დაუთმეთ თავშეყრის ადგილებში! დაუთმეთ, რათა მოგიტევოს ალლაჰმა თქვენ. ხოლო როცა გეუბნებიან: ადექით!– ადექით. აღამაღლებს ალლაჰი, რომელთაც ირწმუნეს თქვენგან და რომელთაც ებოძათ ცოდნა ხარისხებით. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!“ (მუჯადელე 58/11)

- თუ აუცილებელი არ არის ნამაზზე მდგარი მომლოცველების წინ არ უნდა გავიაროთ. ზოგიერთი მომლოცველი ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

- მომლოცველები მესჯიდი ჰარამსა და მესჯიდი ნებევიში ჯუმის ნამაზის შემდეგ ზუჰრი ახირის ფარზს ლოცულობენ. ამის მაგივრად უმჯობესია გაცდენილი ან ნაფილე ნამაზი ილოცონ.

- მანდილოსანი მომლოცველები უნდა ეცადონ ქალებისთვის გამოყოფილი ადგილებით ისარგებლონ.

- ღვთისმსახურებისა და ტავაფის შესახებ სხვებს არ უნდა მოვუყვეთ, რათა მოჩვენებითობისგან თავი დავიზღვიოთ.

- მრავალგზის უმრეს შესრულებასთან შედარებით ტავაფის შესრულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

- ფარზი ნამაზების ლოცვა სასტუმროს ან სხვა ადგილების ნაცვლად მესჯიდი ჰარამში ან მესჯიდი ნებევიში უფრო მეტი მადლია.

- გაჭირვებულ მომლოცველებს მოწყალების სახით უნდა დავეხმაროთ.

ბ. ქცევები

- მომლოცველს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ჰაჯი მოთმინების გამოცდაა და შესაბამისად უნდა იქცეოდეს. დაუშვებელია გაბრაზება, რისხვის გამოხატვა, აგრესიული ქცევა, ძალადობა და სხვა. მომლოცველი მართალიც რომ იყოს უნდა მოითმინოს და სიმშვიდე შეინარჩუნოს.

- ჰაჯის დროს ვაჭრობა მისაღებია, მაგრამ საჭიროების გარეშე ბაზრობებზე ხეტიალი ფიზიკურ და გონებრივ გადაღლილობას იწვევს, რამაც შეიძლება ღვთისმსახურების შესრულებას ხელი შეუშალოს. ჰაჯზე ყოფნის დღეები შეზღუდულია, ამიტომ ამ მოკლე დროში ყველაზე მომგებიანი „ვაჭრობა“ ღვთისმსახურებაა, კერძობ ქააბას ტავაფი.

- საჩუქრების შეძენაში შეჯიბრებას ღვთისმსახურებაში შეჯიბრება სჯობს.

- მომლოცველი ისე უნდა იქცეოდეს, რომ ისლამის ზნეობას შეეფერებოდეს. დაუშვებელია უხეშბა, ამპარტავნება, მედიდურობა და სხვა. მომლოცველი მუსლიმის სახელს ატარებს და ამასთანავე ის იმ ქვეყნის წარმომადგენელია, საიდანაც ჩამოვიდა, ამიტომ უნდა ეცადოს, რომ სხვებზე ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს.

- მომლოცველი ყველას მიმართ შემწყნარებელი უნდა იყოს და ყველა შემთხვევას გაგებით უნდა მოეკიდოს.

- ჰაჯი ის ადგილია, სადაც მომლოცველებმა მუსლიმთა ძმობა საუკეთესო ფორმით უნდა წარმოაჩინონ. სხვა მომლოცველებთან ურთიერთობისას სასურველია იოლი კომუნიკაციისა და კარგი ურთიერთობის დამყარება. მომლოცველს უნდა ახსოვდეს, რომ „ღიმილი მოწყალებაა“.

- ჰაჯი ის ადგილია, სადაც სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოსული მომლოცველები ერთიმეორეს ეცნობიან. მომლოცველებმა უნდა მოერიდონ ისეთ ქცევებს, რომლებიც სხვების მიმართ უპირატესობის განცდას წარმოქმნის. წარმომავლობით უპირატესობის მტკიცება უმეცრების ხანის გადმონაშთია. უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოსაობაშია.

- დაუშვებელია დაცინვა, გამასხარავება, დამცირება, ძალადობა და ა.შ.

- სხვა ადამანებზე დაკვირვებისა და მათ ნაკლოვანებებზე ფიქრის მაგივრად, ადამიანმა საკუთარ ნაკლოვანებებსა და მათ გამოსწორებაზე უნდა იფიქროს.

- სხვათა მიმართ კეთილგანწყობა უნდა გვქონდეს.

- ჰაჯის მსგავსი რთული პროცესის დროს სხვა მომლოცველების უფლებები არ უნდა დავარღვიოთ. ყველა ადამიანი თანასწორია და თანასწორად უნდა მოვექცეთ. დაუშვებელია ისეთი ქცევა, რომელიც სხვათა დისკრიმინაციას გამოიწვევს.

- ჰაჯის დროს თავი უნდა შევიკავოთ ეგოისტური ქმედებებისგან. უნდა ვიყოთ მაქსიმალურად შემწყნარებლები და თავაზიანები.

- მომლოცველს თანამორწმუნე ძმისათვისაც იგივე უნდა სურდეს, რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებდა.

- უმცროსებს სიყვარულით, უფროსებს კი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. მოხუცებს, ინვალიდებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ადამიანებს უნდა დავეხმაროთ.

- არაფატიდან მიწის, აქლემის ენის და სხვა მსგავსი რამეების წამოღება ისლამის რწმენას არ შეესაბამება და ცრურწმენის კატეგორიაში გადის.

გ. ჯანმრთელობა

- სისუფთავე რწმენისეული აუცილებლობაა, ამიტომ უნდა დავიცვათ ჰიგიენა და ასევე არ უნდა დავაბინძუროთ გარემო.

- მომლოცველი ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეს. ყურადღება უნდა მიაქციოს საკვებს. ასევე გასათვალისწინებელია მზისა და ჰაერის ფაქტორები.

- ამ წმინდა გარემოში თავი უნდა დავაღწიოთ ისეთ მავნე ჩვევებს, როგორიცაა სიგარეტის მოწევა. სიგარეტი მავნებელია, როგორც ჯანმრთელობისთვის, ისე ფინანსური მდგომარეობისთვის. იჰრამში მყოფი მომლოცველის მიერ სიგარეტის მოწევა ნიშნავს, რომ მან იჰრამის არსი კარგად ვერ გაიგო.

- მოხუცები, ავადმყოფები, მაღალი წნევის მატარებლები, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონენი უნდა მოერიდონ ისეთ სიმაღლეებზე ასვლას, როგორიცაა ჰირასა და სევრის გამოქვაბულები.

- სპეციალური წამლების საჭიროების მქონენი, ასევე სპეციფიკური დაავადების მქონენი ვალდებულნი არიან საქმის კურსში ჩააყენონ მხლებლები, რათა გართულების შემთხვევაში ადეკვატური მოქმედება გაადვილდეს.

დ. უსაფრთხოება

- მომლოცველებმა ყურადღება უნდა გამოიჩინონ ყოველგვარი საფრთხის მიმართ. სიფრთხილე იქონიონ, რათა თავიდან აიცილონ ქურდობა, აფერისტობა და სხვა. ბევრი ფული და ძვირფასეულობა არ უნდა ატარონ.

- მანდილოსანი მომლოცველები მარტო არ უნდა დადიოდნენ, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც არავინაა და ასევე მარტო არ უნდა ისარგებლონ ტრანსპორტით.

- მომლოცველები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ადგილობრივი პოლიციის და საჯარისო ნაწილების მითითებებს.

წყაროები

ბეიჰაქი, ებუ ბაქრ აჰმედ ბ. ელ-ჰუსეინი, ეს-სუნენულ ქუბრა,

ებუ აბდულლაჰ აბდუსსელამ, მექთებეთურ-რუშდ. რიად 2004.

უჰარი, მუჰამმედ ბ. ისმაილი. ელ-ჯამიუს საჰიჰ. (მევსუათულ-ჰადისიშ-შერიფ) სალიჰ ბ. აბდულაზიზ, დარუს-სელამი. არაბეთი 2000.

დარექუთნი, ალი ბ. ომერი, ეს-სუნენი, I-IV, ეს სეიდ აბდულლაჰ ჰაშიმ იემანი ელ-მედენი. დარულ მარიფე, ბეურუთი, 1996.

ებუ დავუდი, სულეიმან ბ. ელ-ეშას ეს-სისიტანი, ეს-სუნენი, I-IV, მუჰამმედ მუჰიდდინ აბდულჰამიდ, ელ-მექთებეთულ ისლამი, სტამბოლი.

იბნ მაჯე, ებუ აბდულლაჰ მუჰამმედ ბ. იეზიდ ეს-სუნენ, I-II,

მუჰამმედ ფუად აბდულბაქი, დარულ-ჰადის, ქაირო, 1994

მალიქ ბ.ენესი. ელ-მუვათთა. I-II, მუჰამმედ ფუად აბდულბაქი, დარულ-ჰადის, ქაირო, 1993

მუსლიმ, იბნულ ჰაჯჯაჯი, ელ ყურეიში. ელ ჯამიუს-საჰიჰ. (მევსუათულ-ჰადისი შერიფ) სალიჰ. ბ. აბდულაზიზი. დარუსსელამი, არაბეთი, 2000.

ნესაი, ებუ ბდურრაჰმან აჰმედ ბ. შაიბ, ეს-სუნენ, I-IX, აბდულფეთთაჰ ებუ გუდდე, დარულ-ბეშაირილ-ისლამიე. ბეირუთი 1994.

თაბერი, მუჰამმედ ბ. ჯერირი, თარიჰულ უმემ ველ-მულუქ. I-V,

დარულ ქუთუბულ-ილმიე. ბეირუთი 1407.

ვაქიდი, ებუ ბდურრაჰმან მუჰამმედ ბ. ომერი, ქითაბულ მეგაზი, I-III, მარსდენ ქონს, ალემულ ქუთუბ, ბეირუთი